



ქართული
ზოგადი ინფორმაცია

საქართველო

03 ღ 06 0
№ 7 1985 წ.

ISSN 0180-1624





ეროვნული
ბიბლიოთეკა





საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შედეგები

1985 წლის 1 ივლისს გაიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმი. პლენუმმა განიხილა სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის საკითხები.

ამ საკითხების გამო პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა.

პლენუმმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა კიდევ უფრო დაიხვეწოს სახალხო დემოკრატია საბჭოების საქმიანობა, რომ

ჩვენი საზოგადოების პოლიტიკური სისტემის თითოეული რგოლი ზუსტად ასრულებდეს თავის ფუნქციებს, კიდევ უფრო ამაღლდეს პარტიის ხელმძღვანელი როლი, გაძლიერდეს მისი გავლენა სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის ყველა უბანზე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

დაკმაყოფილდა ამხ. გ. ვ. რომანოვის თხოვნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრისა და ცენტრალურ-

რი კომიტეტის მდივნის მოვალეობისაგან მისი განთავისუფლების შესახებ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით.

პლენუმმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატობიდან პოლიტბიუროს წევრად გადაიყვანა ამხ. ე. ა. შვებარდნაძე და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნებად აირჩია ამხ. ბ. ნ. ელცინი და ამხ. ლ. ნ. ზაიკოვი.

ამით სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მუშაობა დაამთავრა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება

დეკრეტით ა. ა. გრომიკოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩევის შესახებ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

არჩეულ იქნეს დეპუტატი ანდრია ანდრიას ძე გრომიკო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვ. კუზნეცოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. მენთეაშაშვილი.

მოსკოვი, კრემლი. 1985 წლის 2 ივლისი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება

დეკრეტით მ. ს. გორბაჩოვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად არჩევის შესახებ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

არჩეულ იქნეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად დეპუტატი მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. გრომიკო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. მენთეაშაშვილი.

მოსკოვი, კრემლი. 1985 წლის 2 ივლისი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრად ამხ. ე. ა. შვებარდნაძის დანიშვნის შესახებ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დაინიშნოს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრად ამხ. ელუარდ ამბროსის ძე შვებარდნაძე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. გრომიკო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. მენთეაშაშვილი.

მოსკოვი, კრემლი. 1985 წლის 2 ივლისი.



სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ანდრია ანდრიას ძე გრომიკო.

საქართველოს პარლამენტის ინფორმაციული ცენტრი



საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის პრეზიდიუმი
 ბიულეტენი



ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის პოსტზე პარტიის გენერალური ხაზის, სკკპ ყრილობებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელებაში დიდი დამსახურებისათვის, ეკონომიკის, მეცნიერების, კულტურის განვითარებაში, აქტუალური სოციალური პრობლემების გადაწყვეტაში, მშრომელთა ახალგაზრდობის ინტერნაციონალურ და პატრიოტულ აღზრდაში, დისციპლინისა და წესრიგის განმტკიცებაში, რესპუბლიკაში ჯანსაღი ზნეობრივ-პოლიტიკური, საქმიანი, შემოქმედებითი ვითარების შექმნაში პირადი დიდი წვლილისათვის ამხანაგი ედუარდ ამბროსის ძე შევარდნაძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **პ. გილაშვილი**.
 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **თ. ლაშქარაშვილი**.

თბილისი. 1985 წლის 5 ივლისი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ედუარდ ამბროსის ძე შევარდნაძე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

6 ივლისს გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

პლენუმი განსწავლდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა **ბ. პ. ნიკოლსკიმ**.

პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

პლენუმმა ამხ. ე. ა. შევარდნაძე გაათავისუფლა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნისა და ბიუროს წევრის მოვალეობისაგან სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრად მის დანიშვნასთან დაკავშირებით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანად პლენუმმა აირჩია ამხ. **ჯ. ი. პატიაშვილი**, რომელიც მუშაობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანად.

პლენუმზე გამოვიდა ამხ. **ჯ. ი. პატიაშვილი**.

პლენუმმა აღნიშნა, რომ რესპუბლიკის კომუნისტები, ყველა მშრომელი ერთსულოვნად იწონებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის ივლისის პლენუმის, სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის მუშაობის შედეგებს, მაღალი პოლიტიკური აღმავლობა გრძნობით აცხადებენ, რომ მზად არიან კვლავაც განუხრელად განახორციელონ პარტიის მიერ შემუშავებული კურსი.

რესპუბლიკის კომუნისტების, ყველა მშრომელის სახელით პლენუმმა გულითადი მადლობა მოახსენა ამხანაგ ე. ა. შევარდნაძეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის პოსტზე პარტიის გენერალური

რი ხაზის, სკკპ ყრილობებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელებაში დიდი დამსახურებისათვის, ეკონომიკის, მეცნიერების, კულტურის განვითარებაში, აქტუალური სოციალური პრობლემების გადაწყვეტაში, მშრომელთა, ახალგაზრდობის ინტერნაციონალურ და პატრიოტულ აღზრდაში, დისციპლინისა და წესრიგის განმტკიცებაში, რესპუბლიკაში ჯანსაღი ზნეობრივ-პოლიტიკური, საქმიანი შემოქმედებითი ვითარების შექმნაში პირადი დიდი წვლილისათვის.

პლენუმმა აღუთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტს, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, რომ საქართველოს პარტიული ორგანიზაცია, მშრომელები ყოველ ღონეს მოახმარენ მიღწეული წარმა-

ტებების განმტკიცებასა და მათს შემდგომ ზრდას შეძენილი გამოცდილების საფუძველზე და კვლავაც უკომპრომიზო ბრძოლას აწარმოებენ ჭერ კიდევ არსებული ყველა ნაკლის აღმოფხვრისათვის, ყოველგვარი ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ, ძალ-ღონესა და ენერჯიას არ დაიშურებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელი პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, ღირსეულად შეხვდებიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობასა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობას.

პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ამხ. **მ. ბ. შევარდნაძემ**.

ამხანაგ ბ. პ. ნიკოლსკის ბაჰოსკლა

ამხანაგებო!
 როგორც მოგეხსენებათ, ამ დღეებში გამართულმა ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატობიდან ამხანაგი ედუარდ ამბროსის ძე შევარდნაძე გადაიყვანა პოლიტბიუროს წევრად, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებით, რომელიც მიიღო ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს სესიამ, იგი

დაინიშნა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მაღალ პოსტზე.
 ნება მიბოძეთ, ამხანაგებო, თქვენი სახელით გულითადად მივულოცო ედუარდ ამბროსის ძეს ეს დაწინაურება და ვუსურვო ჯანმრთელობა, დაუშრეტელი ენერჯია, უფრო მეტი წარმატებანი ესოდენ მაღალ პოლიტიკურ და სახელმწიფო პოსტზე.
 ედუარდ ამბროსის ძის შესახებ თითოეულ ჩვენგანს შეუძლია ძალიან ბევრი

კეთილი სიტყვა თქვას. მისი დიდი მუშაობა და შესანიშნავი პირადი თვისებები ღირსეულად აღინიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმზე, სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიაზე. ამხანაგი ე. ა. შევარდნაძე 1972 წლიდან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანია. თითქმის ათი წელია შედის სკკპ ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში, 1978 წლიდან



ძვირფასო ამხანაგებო!
ბევრი რამ იქიდან, რაც მინდოდა თქვენთვის მეტქვა, თქვენ უკვე იცით. იცით, რომ 1 ივლისს გაიმართა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომ პლენუმის შემდეგ ორ დღეს მუშაობდა სსრ კავშირის მეტერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესია. თქვენთვის კარგად არის ცნობილი პლენუმისა და სესიის გადაწყვეტილებებიც. მათ შორის, ორგანიზაციულ საკითხებზე.

დღეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მორიგ პლენუმზე ასევე განიხილა ორგანიზაციული საკითხი. იგი ამხანაგმა ბ. ვ. ნიკოლსკიმ მოგახსენათ. მინდა სულითა და გულით მადლობა გითხრათ, ბორის ვასილის ძე, გულითადაც, თბილი მოლოცვისათვის, კეთილი, წრფელი სურვილებისათვის. ვგრძნობ, რომ ყოველივეს, რაც ჩემზე ითქვა, იზიარებენ აქ შეკრებილი ამხანაგები და ეს განსაკუთრებით მახარებს, განსაკუთრებით ძვირფასია ჩემთვის.

მართალი გითხრათ, ვღელავდი ამ ტრიბუნაზე ამოსვლისას. და ეს გასაგებიც არის. ძნელია, დაიოკო შემოწოლილი გრძნობები.

ერთი მხრივ, — იმ უდიდესი ნდობისათვის უზუნაესი პასუხისმგებლობის შეგნება, რომელიც პარტიამ, მისმა ცენტრალურმა კომიტეტმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიურომ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა გამიწიეს, და, ამავე დროს, — გრძნობა უსაზღვრო მადლიერებისა ასეთი ნდობისათვის.

ჩემი პარტიული ამხანაგების წინაშე მინდა ვთქვა, რომ კარგად მესმის, რაოდენ დიდი პატივი დამდეს. იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრი — რას უნდა რაცხედეს ამაზე მეტად კომუნისტი? მუშაობდე მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვის უშუალო ხელმძღვანელობით, — ეს დიდი სკოლაც არის და უდიდესი პასუხისმგებლობაც.

ბევრს მაგალებს ის გარემოება, რომ შევენაცვლე ანდრია ანდრიას ძე გრომიკოს, რომელიც თითქმის 30 წელიწადს ედგა

სათავეში საგარეო საქმეთა სამინისტროს, და რომლის სახელი, მიხეილ სერგის ძის თქმით, ფართოდ არის ცნობილი როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

ნება მიბოძეთ, ამხანაგებო, თქვენი სახელით გულითადად მიულოცოთ ჩვენს ახალ სრულიად საკავშირო მამასახლისს და სულითა და გულით ვუსურვო დღეგრძელობა, ჯანმრთელობა და კარგად ყოფნა, ახალი ძალები და ახალი ენერჯია ჩვენი პარტიისა და მთელი საბჭოთა ხალხის საკეთილდღეო, კომუნისტური გამარჯვების სასიკეთო შრომაში.

ჩემი მხრივ, შემოძლია აღგიტყვათ, ძვირფასო ამხანაგებო, რომ არ დავიშურებ ძალ-ღონეს, ენერჯიასა და ცოდნას, რათა ღირსეულად განვაგრძო დაკისრებული საქმე. თუმცა კარგად მესმის, რომ ისინი ვერ იქნება საკმარისი. საჭიროა დამატებითი რეზერვები. და რახან საჭიროა, უნდა გამოიძებნოს. მოგეხსენებათ, ჩვენთვის უცხო არ არის რეზერვების ძიება. სიტყვამ მოიტანა, და თქვენ იცით, რომ როდესაც ერთად გვიძებნია, შეუპოვრად გვიძებნია, ყოველთვის მიგვივინია ამ რეზერვებისათვის.

თუ ჩემს ახლანდელ თანამდებობას გავითვალისწინებთ და ისე მივუდგებით საქმეს, მაშინ ჩემი გამოსვლა საერთაშორისო პრობლემებით უნდა დამეწყოს. მაგრამ ვიმედოვნებ, რომ ჩვენ კიდევ შეგვხვდებით ერთმანეთს და ვისაუბრებთ ამ პრობლემებზე, საერთაშორისო კლიმატის დათბობის ფონზე, რისთვისაც ჩვენი პარტია ძალ-ღონეს არ იშურებს.

თუმცა, ორიოდ სიტყვით მაინც შევეხები. იმაზე, თუ როგორ განვამტკიცებთ შემდგომში ჩვენი სამშობლოს ეკონომიკურ ძლიერებას, რაოდენ წარმატებით შევასხამთ ნორცს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებებს, და ამას ვიზამთ არა შორეულ პერსპექტივაში, არამედ სწორედ ახლა, დღეს-ხვალ, იმაზე, რაოდენ ენერჯიულად და თანამიმდევრულად დავამკვიდრებთ ქვეყანაში ჯანსაღ მორალურ-ფსიქოლოგიურ კლიმატს, სწორედ ახლა,

ერთული დაძაბული საერთაშორისო ვითარების პირობებში, — დიდად არის დამოკიდებული ჩვენი პარტიის საგარეო-პოლიტიკური კურსის განხორციელების წარმატება. ჩვენი საგარეო პოლიტიკა, საერთაშორისო ასპარეზზე ჩვენი ქვეყნის მდგომარეობა და ქვეყნის შინაპოლიტიკური მდგომარეობა ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირდება და ერთ განუყოფელ მთლიანობას წარმოადგენს. რაც უფრო ღონიერია ჩვენი ეკონომიკა, მით უფრო წინადაია ჩვენი საგარეო პოლიტიკა, მით უფრო ეფექტიანად შევძლებთ ვიბროლოთ მშვიდობისათვის, ატომური კატასტროფის თავიდან აცილებისათვის.

ახლა კი მინდა გითხრათ, რომ უღრმესი მადლიერების გრძნობასთან და უდიდესი პასუხისმგებლობის შეგნებასთან ერთად, მეორე მხრივ, მეუფლება სხვაგვარი გრძნობაც, და ეს, ალბათ, აღამიანურად გასაგებია, რომ ჩემთვის არც ისე ადვილია, არც ისე იოლია დაწმორდე ძვირფას აღამიანებს, ამხანაგებს, რომლებთან ერთადაც მიმუშავია ამდენ ხანს, მშობლიურ პარტორგანიზაციას, რომელმაც გამზარდა, აღმზარდა და რომელსაც, მართლაც რომ ყველაფერს უნდა ვუმაღლოდე.

და ეს სევდანარევი გრძნობა სრულიად ბუნებრივია: ჩვენ ხომ, ამხანაგებო, ამდენ წელიწადს ერთად ვიყავით, გვერდი-გვერდ, მხარდამხარ ვშრომობდით, ერთად ვხარობდით წარმატებებით და ერთად განვიციდით მარცხის სიმწარეს. არადა, იგი გვექონდა, ისევე როგორც გვექონდა ხარვეზები, გვექონდა შეცდომები, მაგრამ პარტია, ისევე როგორც ჩვენი ხალხი, მუდამაჟამს სულგრძელად გვპატიობდა, რადღაც ამ ხარვეზებს გამოუტყდებოდა ჩამოგვართმევდა, ამასთან ღირსეულად აფასებდა ჩვენს მუდმივ მზადყოფნას დაგვეძლია ეს შეცდომები, აღმოგვეფხვრა ხარვეზები, აღგვეკვეთა ნაკლოვანებანი.

ასეთ ნდობას უნდა უფრთხილდებოდე, აფასებდე, არ იყენებდე ბოროტად, და ამასთანავე, რა თქმა უნდა, უნდა გამოგვექონდეს დასკვნები ნაკლოვანებებიდან და შეცდომებიდან, იქიდან, რაც არ გაგიკეთებია და არ დაგისრულებია, არ მიგიყვან-

ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრობის კანდიდატია. სამშობლოს წინაშე დამსახურებისათვის მას მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება.

პარტიული და სახელმწიფო მოღვაწეობის მრავალმხრივი გამოცდილება, ხაზგასმით აღინიშნა პლენუმსა და სესიაზე, პარტიის საქმის ერთგულება, შეუპოვრობა და ინიციატივა სკკპ პოლიტიკის განხორციელებაში, მისთვის დამახასიათებელი დიდი ერთდიცია და კულტურა — ყოველივე ეს გვინერგავს რწმენას, რომ ედუარდ ამბროსის ძე შევარდნაძე წარმატებით გაართმევს თავს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პასუხსაგებ მოვალეობას. უფრო მოკლედ და უფრო ტევადად, ალბათ ძნელია რამე თქვა.

ედუარდ ამბროსის ძე შევარდნაძის სახელთან დაკავშირებულია მნიშვნელოვანი ცვლილებანი, რომლებიც უკანასკნელი 13 წლის მანძილზე მოხდა საბჭოთა

საქართველოს ცხოვრებაში, ის უდიდესი მიღწევები, შემოქმედებითი ძიება, რომლებისთვისაც არაერთგზის მიუცია მაღალი შეფასება სკკპ ცენტრალურ კომიტეტს. რესპუბლიკის წინაშე ედუარდ ამბროსის ძის დამსახურების საუკეთესო დადასტურებაა მისდამი კომუნისტების, ყველა მშრომელის, მოსახლეობის, ახალგაზრდობის დამოკიდებულება.

ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრად არჩევა და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრად დაწინაურება პარტიაში, ქვეყანაში ე. ა. შევარდნაძის უდიდესი ავტორიტეტის აღიარებაა. ამასთან, ეს გვაძალებს ჩვენ, საქართველოს კომუნისტებს, მთელ პარტიულ ორგანიზაციას ვიმუშაოთ უკეთ, უფრო ბეჯითად უკანასკნელი წლების მანძილზე რესპუბლიკაში მიღწეული წარმატებების დამკვიდრებისა და განვითარებისათვის.

ნება მიბოძეთ, საქართველოს კომუნის-

ტთა, ყველა მშრომელის სახელით გულითადი მადლობა მოგახსენო ამხანაგ ე. ა. შევარდნაძეს, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის პოსტზე დიდ, ნაყოფიერ საქმიანობას ეწეოდა პარტიის გენერალური ხაზის, მისი ყრილობებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის უნარიანი ხელმძღვანელობისათვის, იმ დიდი პირადი წვლილისათვის, რომელიც მან შეიტანა მრავალეროვანი საქართველოს ეკონომიკის, მეცნიერების, კულტურის წარმატებებში, სოციალურ განვითარებაში, დისციპლინისა და წესრიგის განმტკიცებაში, რესპუბლიკაში ჯანსაღი მორალურ-პოლიტიკური ატმოსფეროს, საქმიანი, ამხანაგური ვითარების შექმნაში. ყოველივე საუკეთესოს, ყოველივე სიკეთეს გისურვებთ, პატივცემულო ედუარდ ამბროსის ძე! (ტაში).

ნია ბოლომდე, უნდა გამოგქონდეს სათანადო გაკვეთილი. და რაც მთავარია—ყველანი ერთად, გაერთიანებული ძალისხმევით უნდა ვძლევდეთ წამოჭრილ სიძნელებებს.

ეტყობა, კვლავაც ასე გემართება მოქცევა.

ამასთან დაკავშირებით, ამხანაგებო, ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ კიდევ ერთი ორგანიზაციული საკითხი.

შემიძლია მოგახსენოთ, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ, პოლიტიბიურომ გაითვალისწინეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს, ცენტრალური კომიტეტის წევრების, თუ გნებავთ, რესპუბლიკის ყველა კომუნისტის აზრი, და საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანად რეკომენდაცია მისცეს ამხანაგ ჯუმბერ ილიას ძე პატიაშვილს.

ამ დარბაზში მყოფნი, მთელი ჩვენი აქტივი, რესპუბლიკის მშრომელები კარგად იცნობენ ამხანაგ ჯ. ი. პატიაშვილს. იგი ჩვენ თვალწინ გაიზარდა და ჩამოყალიბდა როგორც თვალსაჩინო პარტიული ხელმძღვანელი.

(ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ შეკრებილთ გააცნო ჯ. ი. პატიაშვილის ბიოგრაფია, რომელიც ქვეყნდება ჟურნალის ამავე ნომერში).

ალბათ, ყველანი სავსებით დამეთანხმებით, თქვა შემდეგ ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ, რომ ცენტრალური კომიტეტის მდივნის პოსტზე ამხ. ჯ. ი. პატიაშვილი ენერგიულად, ინიციატივიანად მუშაობდა. მას ახასიათებს ისეთი თვისებები, როგორიც არის პრინციპულობა, თბიქტურობა, მომთხოვნელობა, შეუპოვრობა, სიმტკიცე, ენერგიულობა მომწიფებული საკითხების გადაწყვეტაში, კარგი ერუდიცია, აზროვნების მასშტაბურობა, ყოველივე ახლის, პროგრესულის აღლოიანი აღქმა.

ეს გულისა, სადა, დარბაისელი კაცი გამოირჩევა შინაგანი წესიერებით, თავმდაბლობით, პარტიისა და ხალხის საქმის ერთგულებით. ყოველივე ამან დიდი ავტორიტეტი და პატივისცემა მოუხვეჭა ჯუმბერ პატიაშვილს მთელ აქტივში, ყველა მშრომელს, რესპუბლიკის მთელ მოსახლეობას შორის.

ამხ. ჯ. ი. პატიაშვილი კარგად იცნობს ეკონომიკას, ორგანიზაციულ-პარტიული და იდეოლოგიური მუშაობის საკითხებს. მას მუდმივი კონტაქტები აქვს მუშათა კლასთან, სოფლის მშრომელებთან, მეცნიერების, შემოქმედის ინტელიგენციის წარმომადგენლებთან; კარგად იცნობს რესპუბლიკის პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირულ, კომკავშირულ კადრებს.

ჯუმბერ პატიაშვილი საუცხოო მეოჯახეა.

იგი თითქმის თხუთმეტი წელიწადია ცენტრალური კომიტეტის წევრია და შედის მისი ბიუროს შემადგენლობაში, არჩეული იყო საქართველოს სსრ უკანასკნელი ხუთი მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, დაჯილდოებულია ლენინისა და ოქტომბრის რევოლუციის ორდენებით, ორი შრომის წითელი დროშის ორდენით, მედლებით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს დავალებით შემომამქვს წინადადება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური

კომიტეტის პირველ მდივანად ავირჩიოთ ამხანაგი ჯუმბერ ილიას ძე პატიაშვილი.

(ამხანაგ ჯ. ი. პატიაშვილს ერთხმად ირჩევენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანად).

ერთსულოვანი არჩევა კომუნისტთა აბსოლუტური ნდობის მაჩვენებელია, ხაზგასმით აღნიშნა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ.

ნება მიბოძეთ, ამხანაგებო, თქვენი სახელით, რესპუბლიკის მთელი პარტიული ორგანიზაციის სახელით, თქვა მან, მხურვალედ და გულთადად მივულოცო ჯუმბერ ილიას ძე პატიაშვილს და ვუსურვო ჯანმრთელობა, კარგად ყოფნა, სიხარული და დიდი ბედნიერება, ახალი წარმატებანი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის პოსტზე შრომაში, ახალი გამარჯვებანი ჩვენი დიდი სამშობლოს საყვითლდელიად, ჩვენი ლენინური პარტიის სასახლოდ.

დღეს განსაკუთრებით ცხადად მახსენდება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის სექტემბრის პლენუმი, რომელმაც დასაბამი მისცა რესპუბლიკის პარტორგანიზაციის აქტიურ ბრძოლას იქამდე ცოტა ხნით ადრე მიღებული გადაწყვეტილების — პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესრულებისათვის, რომელიც საეტაპო გახდა საქართველოს მთელი კომუნისტური პარტიისათვის.

ახლა, თითქმის 13 წლის შემდეგ, გვაქვს საფუძველი ვთქვათ, რომ ამ წლებში ბევრი რამ გაკეთდა, და ამას ვამბობთ ყალბი თავმდაბლობის გრძობის გარეშე.

მაშინ პლენუმზე ითქვა, რომ ჩვენ არ შეგვიძლია ძირითადი ყურადღება არ დავუთმოთ ეკონომიკისა და იდეოლოგიის სფეროს, იმ, ჯერ კიდევ გადასაწყვეტ ამოცანებსა და ნაკლოვანებებს, რომლებიც ხელს გვიშლის წინსვლა-განვითარებაში.

სწორედ ასეთ ამოცანებსა და ნაკლოვანებებს მიაპყრობდა ყურადღებას უკანასკნელი წლების მანძილზე საქართველოს მთელი კომუნისტური პარტია.

ვფიქრობ, დღეს შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენ ყველანი, საქართველოს კომუნისტები, სწორად ვიქცეოდით, როდესაც ჩვენი პარტორგანიზაციის მთელ საქმიანობაში მთავარი ადგილი დავუთმეთ ეკონომიკის, როგორც პარტიის ყველაზე საინტერესო, ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკის განვითარებისათვის ზრუნვას.

ამ ჩვენი კურსის სისწორეში ერთხელ კიდევ დავრწმუნდით სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის შემდეგ, რომლის მთელ მუშაობას წითელ ზოლად გასდევდა ლენინური აზრის იმის შესახებ, რომ პოლიტიკა არის ეკონომიკის კონცენტრირებული გამოხატულება, მისი განზოგადება და დაგვირგვინება და სადაც მ. ს. გორბაჩოვმა თქვა, რომ საბჭოთა საზოგადოების განვითარებას გადაწყვეტილია განსაზღვრავს ეკონომიკაში მომხდარი თვისებრივი ძვრები, მისი გადაყვანა ინტენსიური ზრდის რეალსებზე, ეფექტიანობის ყოველმხრივი ამაღლება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის შემდეგ განვილიშმა დრომ კიდევ უფრო მეტად განვიმტკიცა აზრი: მისი მნიშვნელობა მარტოდენ ის კი არ არის, რომ პარტიის XXVII ყრილობის სამზადისის პროგრამა შეიმუშავა და და-

ამტკიცა. ეს პლენუმი, ისევე როგორც მას შემდეგ სკკპ ცენტრალური კომიტეტში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების საკითხებზე გაჭიმულნი ვართ ბირი, საეტაპო მოვლენად იქცა პარტიის ცხოვრებაში და არსებითად ჩამოყალიბდა პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის სტრატეგია უახლოესი წლებისათვის და უფრო შორეული პერსპექტივისათვის.

ფუბრუნდები რა პარტორგანიზაციის, მთელი რესპუბლიკის ცხოვრებაში პოზიტიურ ცვლილებათა განხორციელებისათვის ჩვენი შეუპოვარი და მტკიცე ბრძოლის საწყისი პერიოდს, მინდა ვთქვა, რომ ყოველივე, როგორც ცნობილია, შედარებით შეიცნობა.

დღეს აღარ მოგიყვანთ ციფრებს, ისინი ყველას კარგად მოგეხსენებათ. ავილოთ მხოლოდ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ორი დადგენილება—1972 წლის დამდეგ მიღებული „სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“ და 1983 წლის დამდეგს — „მართვის სისტემის სრულყოფისათვის, ეკონომიკური მუშაობის დონის ამაღლებისა და რესურსების რაციონალური გამოყენებისათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ“.

ავილოთ და უბრალოდ შევადაროთ, შევუჯეროთ ერთმანეთს. ამ შედარებისთანავე სრულიად ცხადი გახდება ცვლილებები, რომლებიც ამ წლების მანძილზე მოხდა ეკონომიკის სფეროში — საგრძნობლად შემცირდა და კვლავინდებურად მცირდება განსხვავება სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საშუალო რესპუბლიკურ და საშუალო საკავშირო მაჩვენებლებს შორის, თანდათან ვძლევთ საქართველოს რესპუბლიკის შედარებითს ჩამორჩენას ამ უმნიშვნელოვანეს სფეროში; — წლითწლიობით იზრდება ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები, რომლებიც სულ უფრო წონადი ხდება; — იზრდება რესპუბლიკის წვლილი საერთო-საკავშირო დოვლათში.

როდესაც ამ პოლიტიკურ დოკუმენტებს ადარებ, ხვდები, რაოდენ დიდი ნაბიჯი გადაგვიდგამს წინ. ამ დოკუმენტებში მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან არა მარტო შეფასებები, არა მარტო დასკვნები და წინადადებები. თვით დასახული ამოცანებიც უფრო მნიშვნელოვანი, თუ გნებავთ, თვისებრივად სხვაგვარი გახდა. ამაღლდა რესპუბლიკის შემდგომი ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიჯნები. სულ ცოტა ხნის წინათ ისინი სრულიად მიუწვდომელი გვეგონა. ახლა სავსებით რეალურად გვესახება, და ყველას მტკიცედ გვწამს, რომ მათ უსათუოდ დავლაშქრავთ. ესეც ხომ ჩვენი ზრდის დასტურია.

ასეთი ზრდის საფეხურებს განეკუთვნება ფართო მასშტაბის ეკონომიკური ექსპერიმენტებიც, რომელთა გეოგრაფია რესპუბლიკაში სულ უფრო მეტად ფართოვდება; საქართველოს სახალხო მეურნეობის ტერიტორიულ-დარგთმორისი მართვის სრულყოფის საყოველთაოდ აღიარებული გამოცდილება; მეცნიერებისა და წარმოების ინტეგრაციის შემდგომი გაღრმავება; სწავლულთა და პრაქტიკოსთა პარტნიორობის პრინციპის თანამიმდევრული განხორციელება; რომელსაც დასაბამი მისცა მეცნიერებისა და მეცნიერულ-

ტექნიკური პროგრესის საკითხებისადმი მიძღვნილმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, რაც ჩვენ ამ ცოტა ხნის წინათ ვაცნობეთ სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გამართულ თათბირს, სადაც ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება — ეს არის ცხოვრების მოთხოვნა, პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის ძირეული საკითხი.

დღეს წარსულ წლებს ვიხსენებთ იმასთან დაკავშირებით და იმ მიზნით, რომ ვუზრჩოთ რესპუბლიკის კომუნისტებს, ყველა მშრომელს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ახალ ხელმძღვანელობას, წარმატებით განეგრძოთ დაწყებული. საქმე, გაეფართოებინოთ და გაეღრმავებინოთ, კიდევ უფრო მეტად განევითარებინოთ იგი, მიეღწიოთ ახალი წარმატებებისათვის.

და თუ დღეს სიტყვა შემკვიდრებობაზე ჩამოვარდა, როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმზე აღინიშნა, შემკვიდრებობითაა ლენინური გაგებით ნიშნავს უცილობელ წინსვლას, ახალი პრობლემების გამოვლენასა და გადაჭრას, ყოველივე იმის თავიდან მოშორებას, რაც აბრკოლებს ზრდა-განვითარებას.

უცილობელი წინსვლა მოითხოვს, კიდევ უფრო მეტად სრულყოფილ ეკონომიკის პრობლემათა კონკრეტული ხელმძღვანელობის გამოცდილება. ეს კი ნიშნავს არასდროს არ დავერდეთ მიღწეულს, არ ვიკმაროთ მონაპოვარი, არ განვეწყოთ არხენიანად. დაუკმაყოფილებლობის გრძნობა მუდამ უნდა აწვალდეს კომუნისტებს, პირველ რიგში, ჩვენს ხელმძღვანელ კადრებს. ამასთან მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ სამეურნეო მშენებლობის საკითხებს თანამედროვე პირობებში ჩვენთვის მართლაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება და რომ კადრები სწორედ ეკონომიკის მართვის პრაქტიკული მუშაობით იწრებებიან.

ჩვენ სწორად ვიქცევოდით; როდესაც რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციას თავისი ყურადღების ცენტრში მუდამ ჰქონდა და ახლაც აქვს კადრებთან მუშაობის საკითხები, საკადრო პოლიტიკის პრობლემები.

ჩვენ ყველა საფუძველი გვაქვს ვთქვათ, რომ ამ ბოლო წლებში კადრების საკითხებს გადამწყვეტი ადგილი უკავია საქართველოს კომპარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის ბიუროს, სამიწველოს, ადგილობრივი პარტიული კომიტეტების, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოების საქმიანობაში. ამ პრობლემათა გადაჭრის გზაზე დიდმნიშვნელოვანი ნიშანსეგები გახდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის XVII და 1985 წლის XXI პლენუმები.

თქვენ კარგად იცით, რომ ნაკლოვანებანი, რომლებსაც პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განსახორციელებლად ბრძოლის დასაწყისშივე წავაწყდით, — ეკონომიკის სფეროში რესპუბლიკის სერიოზული ჩამორჩენა, სირთულენი, რომლებსაც დღესაც ვაწყდებით მორალური ფსიქოლოგიური, თუ გნებავთ, პოლიტიკური ცხოვრების დარგში, ეროვნებათშორისი ურთიერთობის სფეროში და

ა. შ. — ყველა ეს ნაკლი განპირობებული იყო სწორედ იმ შეცდომებით, რომლებსაც რესპუბლიკის პარტიული კომიტეტები უშვებდნენ კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის საქმეში.

ამ ნაკლოვანებების, დიდი ხარვეზების აღნიშნულ სფეროში უხეში შეცდომების აღმოფხვრაში დაგვეხმარა რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციაში შემუშავებული კადრებთან მუშაობის მწყობრი სისტემა, სისტემური მიდგომა ამ და სხვა გადასაჭრელი პრობლემებისადმი, რომლებზეც ჩვენ ვმუშაობდით.

როგორც ერთხელ ვთქვით, ამ მიმართულებით ზოგი რამ გვაკეთეთ, ზოგის გაკეთება მოგვიწევს შემდგომში. და ამის გაკეთება მოუწევს ცენტრალურ კომიტეტს, მის ბიუროს. ყველაზე მთავარია — ნიადაგ სრულყოფილ კადრებთან მუშაობის დამკვიდრებული სისტემა, ვინაიდან მას, ისევე როგორც ყოველ სხვა სისტემას, სჭირდება განუწყვეტელი გაუმჯობესება, განახლება, დღის მოთხოვნებთან შესატყვისება.

ეს მოთხოვნები კი დღითიდღე იზრდება, განსაკუთრებით ახლა, როდესაც ვემზადებით პარტიის XXVII ყრილობისათვის, როდესაც პარტიულ ორგანიზაციებში იწყება ანგარიშგება-არჩევნების კამპანია, რომლის დროსაც უნდა ჩამოვყალიბოთ ხელმძღვანელი პარტიული ორგანოები, შევავსოთ ისინი ახალი ძალებით, გადავჭრათ მომწიფებული საკადრო საკითხები, ამასთან უმკაცრესად დავიცვათ კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის ლენინური პრინციპები, უზრუნველყოფთ პარტიულ ორგანიზაციათა, უწინარეს ყოვლისა, პირველად ორგანიზაციათა ბრძოლისუნარიანობის გაძლიერება, განვამტკიცოთ პარტიული ორგანიზაციების კავშირი მასებთან, რამაც საბოლოო ანგარიშით ყოველნაირად უნდა შეუწყოს ხელი პარტიის ხელმძღვანელი როლის ზრდას.

დროის მოთხოვნაა ხელს ვუწყობდეთ კომუნისტთა აქტიურობისა და პასუხისმგებლობის ამაღლებას, ხელმძღვანელი კადრებისადმი მომთხოვნელობისა და მომკითხველობის, საზოგადოებრივი მოვალეობისადმი დამოკიდებულებისათვის, პარტიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, როგორც მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვმა თქვა, „პარტიელის წმინდა და უმწიკვლო სახისათვის“ პარტიის ყოველი წევრის მიმართ მომთხოვნელობის გადიდებას.

სწორედ ამ მიზნებს ემსახურება რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციაში დაწყებული პრაქტიკა — კომუნისტთა ანგარიშგების მოსმენა და მათი პარტიული დახასიათების დამტკიცება. პარტიული მუშაობის ახალი ფორმა ჩვენში ჯერ მხოლოდ პირველ ნაბიჯებს დგამს, მაგრამ იგი ამთავითვე ფართო გავრცელებას პოულობს სხვადასხვა რეგიონში, ქვეყნის დიდ პარტიულ ორგანიზაციებში.

და ეს საქართველოს კომპარტიას ავალდებს, კვლავაც განავითაროს სოციალისტური დემოკრატია, დაამკვიდროს სოციალისტური თვითმმართველობის პრინციპი, იღვაწოს, რომ ყოველი კომუნისტი იყოს თავის ადგილზე, ყოველი კომუნისტი პასუხს აგებდეს თავისი ამხანაგების წინაშე და მთლიანად პარტიის წინაშე, და რომ მისი სინდისი პარტიის წინაშე სუფთა იყოს. რო-

გორც ცნობილია, პარტიის ავტორიტეტი — ეს თითოეული კომუნისტის ავტორიტეტი. მისი პირადი მაგალითის ძალაა. სწორი იქნება, თუ საქართველოს პარტიული ორგანიზაცია განაგრძობს კონკრეტულ თვითკრიტიკის ყოველმხრივ განვითარების, კომუნისტთა მიმართ მომთხოვნელობისა და მომკითხველობის გადიდების, თვითდამშვიდებისა და ყოყოჩობის ელემენტების წინააღმდეგ შეუპოვარი ბრძოლის გეზს.

პარტია მოითხოვს: არც ერთი კომუნისტი, არც ერთი მუშაკი არ უნდა დარჩეს კონტროლის ფარგლებს გარეთ, ყოველ შემოწმებას უნდა მოჰქონდეს პრაქტიკული სარგებლობა, ემსახურებოდეს საქმის ინტერესებს. ამისათვის კი საჭიროა ნიადაგ ვუნერგავდეთ კომუნისტებს პიროვნულ თავმდაბლობას, ვებრძოდეთ ამპარტაუნობას, განკერძობას, აქტიურად ვამკვიდრებდეთ კოლექტიურობას, ხელმძღვანელობის კოლექტიურობას, ყოველნაირად ვავითარებდეთ შემოქმედებითის საწყისებს ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მუშაობაში, ვამაღლებდეთ მისი თითოეული წევრის პერსონალურ პასუხისმგებლობას და ამავე დროს ვუწყვედეთ მეტ ნდობას, ვანიჭებდეთ მეტ დამოუკიდებლობას. პრაქტიკა გვარწმუნებს: როდესაც ადამიანებს ნდობას უწევინ, როდესაც მათ დამოუკიდებლობას ანიჭებენ, ისინი უფრო სრულად წარმოაჩენენ შესაძლებლობებს, უჩინდებათ დამატებითი ძალები, დამატებითი რეზერვები.

არასდროს არ უნდა დაგვაიწყდეს, რომ ყველა ადამიანს ერთი ადლით ვერ მიუღებები, ყველა როდია ერთნაირი. და თუმცა ჩვენ, კომუნისტები, თანამოსაქმენი ვართ, ყოველ ჩვენგანს აქვს თავისი, განსხვავებული ხასიათი. აქ გვმართებს ინდივიდუალური მიდგომა, გვმართებს ტაქტის უმკაცრესი დაცვა, პატივისცემული დამოკიდებულება, და რაც მთავარია — მუშაობა უნდა ემყარებოდეს კოლექტიურობისა და ორმხრივი ნდობის პრინციპებს. მხოლოდ ამ პირობით თუ მივაღწევთ წარმატებას.

და სწორედ ასე უნდა განვაგრძოთ, ალბათ, მომავალშიც.

პარტია მოგვიწოდებს: სულ სხვა თვალით შევხედოთ ყველა ნაკლსა და ნეგატიურ მოვლენას, ყოველგვარ ხარვეზს. წესრიგისა და დისციპლინის განმტკიცების საკითხი დღეს განსაკუთრებით აქტუალურია. ეს, როგორც მიხეილ სერგის ძემ თქვა, დღის დაჟინებული მოთხოვნაა. უწინარეს ყოვლისა, დისციპლინის განმტკიცება, მომთხოვნელობის გადიდება გვმართებს პარტიულ აქტივს შორის, ხელმძღვანელ კადრებს შორის.

წესრიგი ქვეყანაში და მშვიდობა დედამიწაზე — აი, რას მოელის, რას მოითხოვს ხალხი პარტიისაგან.

ვაიხსენეთ: პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესრულება ჩვენ იმით დავიწყეთ, რომ ყოველი ღონისძიებით და ყოველმხრივ განვამტკიცებდით დისციპლინას — ყველა დონეზე და ყველა რგოლში: ეს განლაგთ საგეგმო, სახელმეკრულებო, საწარმოო, საფინანსო, შრომითი, საშემსრულებლო;

ვაყარებდით ჯეროვან წესრიგს ყველგან და ყველაფერში, უწინარეს ყოვლისა, საზოგადოებრივ წესრიგს, ის კი არა, დისციპლინის სტატისტიკაც შემოვიღეთ.

თუ რა ცვლილებები მოხდა ამ სფეროში განვლილი წლების მანძილზე, ყველას კარგად მოგახსენებთ. დისციპლინა პლუს დემოკრატია გახდა საქართველოს მთელი უკანასკნელი წლების საქმიანობის ორი საყრდენი წერტილი. ამ მუშაობის გამოცდილება კვლავაც უნდა განვავარდოთ და განვავითაროთ, და არამცდარად არ დავჯერდეთ მიღწეულს.

პარტია გვაფრთხილებს: იმისათვის, რომ განვამტკიცოთ დისციპლინა და წესრიგი, ყოველმა კაცმა თავისი საქმე უნდა აკეთოს, კეთილსინდისიერად უნდა შეასრულოს თავისი უშუალო მოვალეობანი. ყველამ კარგად უნდა იცოდეს არა მარტო ის, თუ რა აკეთოს, არამედ ისიც, თუ როგორ აკეთოს, შეეძლოს ჩვენი პარტიის პოლიტიკის დროული, პრაქტიკული რეალიზება. ხოლო ის, ვინც არ აპირებს გარდაიქმნას, უფრო მეტიც — აფერხებს ახალი ამოცანების გადაწყვეტას, როგორც მიხეილ სერგის ძემ თქვა, გზიდან უნდა ჩამოგვეცალოს, ხელი არ შეგვიშალოს. ჩვენ უნდა გვექონდეს ერთი ყველასათვის საერთო დისციპლინა, ერთი ყველასათვის საერთო კანონი, ყველასათვის ერთნაირი მოთხოვნები. და ამ წესს უნდა ვასრულებდეთ მკაცრად, განუხრელად!

ეკონომიკა, კადრების პოლიტიკა, იდეოლოგია, დემოკრატია, დისციპლინა — აი ის რგოლები, რომლებიც პარტიული ორგანიზაციის მთელი ორგანიზატორული და პოლიტიკური საქმიანობის ხერხემალს შეადგენენ. ეს მძლავრი ბერკეტები მუდამ უნდა იყოს საბრძოლოდ შემართული, მუდამ მოქმედებდეს, მუდამ მუშაობდეს. და იმაზე, მივალწევთ თუ ვერა ამას, დიდად არის დამოკიდებული პარტიული ორგანიზაციის მთელი პოლიტიკურ-აღმზრდელი მთავრობის, იდეოლოგიური მუშაობის ეფექტიანობა. და ამ სფეროში ბევრი რამ უნდა გაკეთდეს. მიღწეული უნდა დავამკვიდროთ.

დღეს ყველა საფუძველი გვაქვს ვთქვათ, რომ საქართველოში ცხოვრობენ და შრომობენ მსურველ პატრიოტები, ჭეშმარიტი ინტერნაციონალისტები, რომლებმაც კარგად იციან, თუ რა ფასი აქვს ხალხთა მეგობრობასა და ძმობას — საბჭოთა სოციალისტური წყობილების ძალისა და სიმტკიცის, ჩვენი სამშობლოს ძლიერების საფუძველს.

მთელი ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეო თავდადებული შრომით, საყოველთაო-სახალხო დოვლათში შეტანილი წვლილით, კომუნისტური პარტიის, ლენინური იდეების უსაზღვრო ერთგულებით, ინტერნაციონალური სოლიდარობის იმ თანდაყოლილი გრძნობით, რომელიც, შეიძლება ითქვას, სისხლში აქვს გამჯდარი ჩვენს ხალხს, საბჭოთა საქართველოს მშრომელებმა ღრმა პატივისცემა და დიდი ავტორიტეტი მოიხვეჭეს საბჭოთა კავშირის ყველა სხვა ხალხებს შორის. და ამ პატივისცემას, ამ ავტორიტეტს უნდა ვაფასებდეთ და თვალისჩინივით ვუფრთხილდებოდეთ.

ბევრი ღირსშესანიშნავი, ბევრი სამახსოვრო ნიშანსვეტია იმ მეგობრობისა და ძმობის მატთანავე, რომელიც ქართველ ხალხს, საბჭოთა საქართველოს, მთელი ამიერკავკასიის ხალხებს აკავშირებს საბ-

ჭოეთის სხვა ხალხებთან და, უწინარეს ყოვლისა, დიდ რუს ხალხთან. ეს არის საბჭოთა საქართველოს 60 წლისთავი, სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავი და, განსაკუთრებით, რუსეთ-საქართველოს სამეგობრო გეოგრაფიკის ხელშეკრულების 200 წლისთავი, დიდი გამარჯვების 40 წლისთავი. ეს არა მარტო ისტორიის თარიღებია, არამედ სამუდამო ნაჭდევიც არის ჩვენს ხსოვნასა და გულში.

ჩვენ ბევრი, ძალზე ბევრი რამ ვიღონეთ, რათა კიდევ უფრო მეტად განვმტკიცებინა მეგობრული, ძმური კავშირი რუს ხალხთან, რომელსაც ჩვენი ხალხი, ისევე როგორც ქვეყნის ყველა ერი და ეროვნებანი, უნდა უმადლოდეს ფიზიკური განადგურების საფრთხისაგან ხსნას, ეკონომიკური და კულტურული აღორძინების გზაზე დადგომას.

ჩვენ მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ დიდი რუსი ხალხის წყალობით, რუსეთთან ერთიანობის მეოხებით საქართველო ეზიარა რუსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობას, მოწინავე კულტურას.

ერთხელ ჩვენ უკვე ვთქვით, და დღეს გვინდა გავიმეოროთ, რომ მთელი ჩვენი ისტორიის მანძილზე, დიდი ოქტომბრის გამარჯვებით დაწყებული, სოციალისტური მშენებლობის ყველა ეტაპზე საბჭოთა საქართველო ნიადაგ გრძნობდა დიდი რუსი ხალხის თანადგომასა და დახმარებას.

დღესაც და მომავალშიც ადამიანებს უნდა ვუხერხავდეთ რუსი ხალხისადმი უსაზღვრო სიყვარულისა და ძმური მეგობრობის გრძნობას, კვლავაც სრულყოფილად ეროვნებათშორის ურთიერთობას, ნიადაგ ვიჩენდეთ ზრუნვას საბჭოთა საქართველოში მცხოვრებ ყველა ხალხთა ეკონომიკური, სოციალური, კულტურული განვითარებისათვის.

პატრიოტული, ინტერნაციონალისტური აღზრდა განუწყვეტელი და მუდმივი პროცესია. ამიტომ ეს მუშაობა ერთი წუთითაც არ უნდა შევანელოთ, იგი უნდა წარმოებდეს გამუდმებით, შეადგენდეს ჩვენს უპირველეს საზრუნავს. ჩვენ შექნილი გვაქვს მშრომელების, მეტადრე ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდის საგულისხმო გამოცდილება, რომელსაც ჭეშმარიტად მეცნიერულ საფუძველზე გაერთიანებული ძალისხმევით ეწევიან რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები და წითელდროშოვანი ამიერკავკასიის სამხედრო და სასაზღვრო ოლქების კომუნისტები. აქ უკვე კარგა ხანია დამყარდა მჭიდრო და ნამდვილად შემოქმედებითი პარტიულ-პოლიტიკური თანამშრომლობა. ეს ურთიერთობაც კვლავაც ყოველი ღონისძიებით უნდა განვამტკიცოთ.

საქართველო საზღვრისპირა რესპუბლიკაა და ჩვენი უპირველესი მოვალეობაა, განვამტკიცოთ ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობა და ძმობა.

აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს ხალხთა მეგობრობა, ურთიერთდახმარება, ურთიერთობა — ეს არის ტრადიციული, ისტორიული, საუკუნეებში ფესვგადგმული, დროით ნაცადი ნამდვილი მმადნაფიცობა. ეს მეგობრობა და ძმობა იწრთობდა და მტკიცდებოდა ერთობლივ სისხლისმღვრელ ბრძოლებში თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, ჩვენი ხალხების ეროვნული აღორძინების, სამყაროს რევოლუციური გა-

ნახლების, დიდი ოქტომბრის გამარჯვების, საზოგადოების სოციალისტური გარდაქმნისათვის, ახლა კი ეს მეგობრობა და ეს ძმობა განსაკუთრებით გაიფრთხილა და აყვავდა და უკვე გამოაქვს შესანიშნავი ნაყოფი.

აქ ბევრი რამ გაკეთდა, ბევრის გაკეთება შევძელით უკანასკნელ წლებში, უკანასკნელ ხანს, და ყოველივე ამას განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ, უსაზღვროდ ვუფრთხილდებით. მაგრამ არც მიღწეულზე შეჩერება შეგვშვენიის. საჭიროა, ამ არქიმინიშენელოვან და არქიპასუსსაგებ საქმეში განვაგრძოთ წინსვლა, ყოველნაირად გავაფართოოთ და განვავითაროთ ამიერკავკასიის რესპუბლიკების ხალხთა ეკონომიკური, მეცნიერული, კულტურული ურთიერთობა.

უკანასკნელ წლებში მართლაც უდიდესი მუშაობა განხორციელდა თვით ჩვენს რესპუბლიკაში ეროვნებათშორის ურთიერთობის სრულყოფისათვის, შექნილია ნამდვილად საინტერესო, მე ვიტყვოდი, უნიკალური გამოცდილება, დაძლეულია ბევრი სიძნელე.

ახლა ყველა საფუძველი გვაქვს წამოვაცენოთ ამოცანა: გადავამტკიცოთ საქართველო განვითარებული სოციალისტური საზოგადოების პირობებში ეროვნებათშორის ურთიერთობის შემდგომი სრულყოფის თავისებურ ლაბორატორიად. ყოველივე მიღწეული შესაძლებლობას გვაძლევს, დავისახოთ ასეთი ამოცანა.

მთელი ეს წლები ჩვენი მთავარი იმედი იყო და არის ახალგაზრდობა. სხვაგვარად ვერც იქნება. მომავლის პარტია არ შეიძლება არ იჩენდეს განსაკუთრებულ მზრუნველობას ახალგაზრდობისათვის, განსაკუთრებულ დაინტერესებას ახალგაზრდობის პრობლემებით. და აქ თუნდაც უმცირესი შესუსტება, სიფხიზლის სულ უმნიშვნელო მოღუნება, ყოველგვარი ხარვეზი ძალზე ძვირად უღირს ჩვენს საზოგადოებას.

თუ სერიოზულად ვლაპარაკობთ მემკვიდრეობითობის პრინციპებზე, თაობათა მემკვიდრეობითობაზე, უწინარესად უნდა ვიჩენდეთ ლენინურ მზრუნველობას ჩვენი ახალგაზრდობის, ჩვენი სიჭაბუკის — ჩვენი რესპუბლიკისა და ჩვენი ქვეყნის მომავლის — აღზრდისათვის, ჩვენი ხალხის ხვალისდელი დღის, სოციალიზმისა და კომუნისმის ბედისათვის.

ამხანაგებო! მოსკოვიდან თბილისში გამომგზავრების წინ მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვთან მომიხდა საუბარი. მან ძალზე გულთბილად მოიხსენია ჩვენი რესპუბლიკა, მისი პარტი-ორგანიზაცია, ჩვენი საქმეები, და მთხოვა, ყველა კომუნისტის, ყველა მშრომელისათვის გადმოემცა მისი სურვილები, რომლებიც გაისმა იმ რწმენის დასტურად, რომ საქართველოს პარტიორგანიზაცია კვლავაც იმუშავებს ინიციატივანად, შემოქმედებითად, საინტერესოდ, შექნილი დადებითი გამოცდილების საფუძველზე.

ეს კი ნიშნავს — უფრო თამამად ვამხილოთ ნაკლოვანებანი, ავამოქმედოთ ყველაზე ღრმა რეზერვები, რათა გავზარდოთ საბჭოთა საქართველოს წვლილი საერთო-საკავშირო დოვლათში, კიდევ უფრო მეტად ავამაღლოთ რესპუბლიკური პარტიორგანიზაციის პრესტიჟი და ავტორიტეტი.

დაუფიქრდით, ამხანაგებო: ჩემთვის გაწეული დიდი ნდობა, რომელზეც ზემოთ მოგახსენეთ, — ეს ხომ არსებითად საბჭოთა საქართველოს ყველა კომუნისტის,

ყველა მშრომელის საქმიანობის დიდი შეფასებაა.

დღეს მინდა შევიპირო თქვენი მხარდაჭერა და უღრმეს მადლობასთან ერთად აღვუთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიუროს, მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვს, რომ ასეთი ნდობისა და ასეთი შეფასების პასუხად საქართველოს პარტიული ორგანიზაცია, ყველა კომუნისტი, ჩვენს რესპუბლიკაში მცხოვრები ყველა ხალხი, მუშათა კლასი, სოფლის მშრომელები, ჩვენი ინტელიგენცია, ქალები, ახალგაზრდობა, საბჭოთა არმიის მემორები — უკლებლივ ყველანი მთელ თავიანთ ძალღონესა და ენერგიას, მთელ თავიანთ გარჯას მოახმარენ ჩვენი საბჭოთა სოციალის-

ტური სახელმწიფოს ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებას.

დასასრულ, ძვირფასო ამხანაგებო, ნება მიბოძეთ, ერთხელ კიდევ მოგახსენოთ ყველას უღრმესი მადლობა გულითადი მოლოცვისა და კეთილი, მეგობრული სურვილებისათვის, ძმურად ჩავიკრათ ყველანი გულში და დამწვიდობების უამს ვითხრათ: უკანასკნელი დღეების ყველა მოვლენა — ეს ისეთი გამონაკლისი შემთხვევაა, როდესაც სიტყვებით ვერ გამოხატავ შენს დამოკიდებულებას მათდამი. ასეთი სიტყვები ალბათ არც მოიძებნება. აქ სიტყვები კი არა, საქმეა საჭირო. და მე საქმით გამოვხატავ მადლობას ჩემთვის გაწეული დიდი

ნდობისათვის, თქვენი სულიერ სითბოსა და გულითადობისათვის, გამოვხატავ მადლობას თქვენდამი, პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი, ცენტრალური კომიტეტის პოლიტიუროსადმი. გიგ — მიწისქვეშა დიდი მადლობა, ძვირფასო მეგობრებო, მხარდაჭერისათვის, თანადგომისათვის, ერთად გატარებული შემოქმედებითი შრომით აღსავსე წლებისათვის.

აყვავება და ბედნიერება საბჭოთა საქართველოს საბჭოთა ხალხების ძმურ ოჯახში!

(ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის სიტყვა დიდი ყურადღებით მოისმინეს, დარბაზში ხშირად გაისმოდა ხანგრძლივი ტაში).

ამხანაგ ჯ. ი. პატიაშვილის გამოსვლა

ამხანაგებო!

ძნელია ედუარდ ამბროსის ძე შევარდნაძის შემდეგ გამოსვლა. კიდევ უფრო ძნელია იმ დიდი მუშაობის განგრძობა, რომელსაც რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია ეწეოდა მისი ხელმძღვანელობით. ამიტომ დღეს სხვადასხვაგვარ გრძნობებს განვიცდი: ძალიან ვლელავ და ამავე დროს ძალიან მიხარია და მემამაყება ესოდენ დიდი ნდობა. მინდა რამდენიმე სიტყვა ვთქვა, მათ შორის პირადად ედუარდ ამბროსის ძის მიმართაც.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დღევანდელი პლენუმი ჩემთვის განსაკუთრებული მოვლენაა, რომელიც უდიდეს პასუხისმგებლობას მაკისრებს. ეს პასუხისმგებლობა ნაკარნახევია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიუროს გადაწყვეტილებით — რეკომენდაცია მოეცა ჩემთვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის პოსტზე, ჩვენი პლენუმის გადაწყვეტილებით, რომელმაც ამირჩია ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად. კარგად მესმის და შეგნებული მაქვს, რაოდენ დიდია გაწეული ნდობა და რაოდენ უდიდესია პასუხისმგებლობა. ეს ცნებები კომუნისტისათვის ყოველთვის ერთმანეთთან არის დაკავშირებული, რადგან პარტიის უდიდესი ნდობა უცვლელად გულისხმობს უზუნაეს პასუხისმგებლობასაც.

მახსენდება, როგორ იწყებოდა ედუარდ ამბროსის ძის ხელმძღვანელობით პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების — იმ გადაწყვეტილების რეალიზაცია, რომელიც ისტორიული იყო ჩვენი რესპუბლიკისათვის. რესპუბლიკის თითოეული კომუნისტისათვის სწორედ ამ სამასსოვრო პერიოდიდან იწყება მტკიცე ბრძოლა ყოველგვარი ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ, სწორედ მაშინ ჩაეყარა მტკიცე საძირკველი მიზანმიმართულ მუშაობას ყოველივე ახლის, მოწინავეს, პერსპექტიულის დამკვიდრებისათვის. ახლა ყველანი დავრწმუნდით, რომ მხოლოდ ჯანსაღი მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატისათვის დაუცხრომელი,

უკომპრომისო ბრძოლის, ჩვენი მორალის, ჩვენი საზოგადოების ყოველგვარი ანტიპოდებისადმი დაუნდობლობის ვითარებაში, მხოლოდ მიღწეულით მუდმივი დაუკმაყოფილებლობის, მუშაობის პროგრესული ფორმებისა და მეთოდების დანერგვისადმი მუდმივი სწრაფვის ატმოსფეროში შეიძლება ჩაისახოს ყოველივე ნამდვილად შემოქმედებითი, ცოცხალი, საინტერესო, რითაც დღეს სამართლიანად ამაყობს რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია. გაბედული და მტკიცე მოქმედების, ნამდვილი ნოვატორობის, ნდობისა და პრინციპულობის, დაკისრებული საქმისათვის უდიდესი პასუხისმგებლობის სწორედ ასეთ ატმოსფეროში შესაძლებელი გახდა უკანასკნელი წლების მანძილზე ჩვენ მიერ მოპოვებული წარმატებანი.

და ჩვენ განსაკუთრებული მადლიერებით აღვნიშნავთ იმ ნამდვილად დიდ როლს, რომელიც ამხანაგმა ედუარდ ამბროსის ძე შევარდნაძემ შეასრულა რესპუბლიკაში პარტიული ცხოვრებისა და პარტიული ხელმძღვანელობის ლენინური ნორმებისა და პრინციპების აღდგენისათვის, მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღებისათვის, ყოველგვარი ნეგატიური მოვლენების აღმოფხვრისათვის ამ გამწმენდ ბრძოლაში. ვფიქრობ, საერთო აზრს გამოვთქვამ, თუ ვიტყვი რომ ყველამ, ვისაც დიდი პატივი და უდიდესი ბედნიერება ხვდა წილად ემუშავა ედუარდ ამბროსის ძის ხელმძღვანელობით, ბევრი რამ ისწავლა მისგან. ეს წლები ჩვენთვის გახდა ცხოვრებისა და პარტიული მუშაობის ნამდვილი სკოლა, აღმშენებლობის სკოლა. ამ წლებმა, პირდაპირ უნდა ითქვას, ბევრად გაამდიდრეს პარტიული მუშაკები, აქტივისტები, თითოეული ჩვენგანი, როგორც პიროვნებათა, რადგან ვცდილობდით ედუარდ ამბროსის ძისაგან გადმოგველო მისი ხასიათის ასეთი განმასხვავებელი თვისებები, როგორც არის სრული შეურიგებლობა ყოველგვარი ნეგატიური მოვლენებისადმი, მუდმივი სწრაფვა დისციპლინისა და მართლწესრიგის ყველგან განმტკიცებისადმი მზრუნველი, სათუთი და ამასთან

მკაცრი და პრინციპული, ერთი სიტყვით, ნამდვილი ლენინური დამოკიდებულება კადრებისადმი. ჩვენ ვსწავლობდით თქვენგან, ედუარდ ამბროსის ძე, თავდადებულ შრომასა და დაუცხრომელ ზრუნვას რესპუბლიკისა და მისი მშრომელების ბედისათვის, მტკიცე და გაბედულ მიდგომას ყოველგვარი პრობლემებისადმი, პრინციპულობას, მომთხოვნელობას საკუთარი თავისა და სხვებისადმი.

ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სახელით აღვუთქვამთ დიდად პატივცემულ ედუარდ ამბროსის ძეს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მთელ შემადგენლობას, რომ კვლავაც დაუცხრომლად ვივლით ამ გზით, განვახორციელებთ ამ გეზს!

ამ დღეებში თითოეული ჩვენგანი, რესპუბლიკის ყველა მშრომელი, საბჭოთა საქართველოში მცხოვრები ყველა ეროვნების ადამიანები უდიდეს სიხარულსა და სიამაყეს განიცდიან იმის გამო, რომ ედუარდ ამბროსის ძე შევარდნაძე აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიუროს წევრად და დანიშნეს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრად. ყოველივე ეს კიდევ ერთხელ მკაფიოდ ადასტურებს იმ დიდ ავტორიტეტს, რომელიც საქართველოს კომპარტიამ მოიხვეჭა მისი ხელმძღვანელობით.

ნება მიბოძეთ, ძვირფასო ედუარდ ამბროსის ძე, ჩვენი რესპუბლიკის მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, სახალხო ინტელიგენციის სახელით მხურვალედ და გულითადად მოგილოცოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიუროს წევრად არჩევა და ჩვენი დიდი სამშობლოს საგარეო საქმეთა მინისტრის უაღრესად პასუხსაგებ პოსტზე დანიშვნა! ნება მიბოძეთ, ედუარდ ამბროსის ძე, დღეს ამ დარბაზში მყოფთა, ჩვენი მრავალეროვანი რესპუბლიკის მთელი მოსახლეობის სახელით კიდევ ერთხელ უღრმესი მადლობა მოგახსენოთ იმის გამო, რაც თქვენ გააკეთეთ საბჭოთა საქართველოს აყვავებისათვის, ყველა მისი მშრომელის კეთილდღეობისათვის! ალბათ, გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის

შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების, სხვა გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლის წლები რესპუბლიკის კომპარტიის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ნაყოფიერი და შედეგიანი პერიოდი იყო.

უდავოა, ბევრი რამ გაკეთდა. მაგრამ, როგორც ხშირად ამბობს ედუარდ ამბროსის ძე, თუშეცა ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ ყველაფერი არა. მართლაც, მიღწეული წარმატებების მიუხედავად, მოგველის დიდი მრავალმხრივი და დაძაბული მუშაობა.

უწინარეს ყოვლისა, უნდა დავამკვიდროთ მიღწეული და ვიაროთ წინ, დავიპყროთ ახალი მიწები. ამისათვის კი ყველგან უნდა ავამოქმედოთ გამოუყენებელი რეზერვები, რომლებიც ჩვენში ჯერ კიდევ ბევრია. და ამ რეზერვების წყაროა არა მარტო, ვთქვათ, ნედლეულისა და მასალების მომჭირნობა, არამედ ყველა მომწიფებული საკითხის კომპლექსური, ეფექტიანი გადაწყვეტა. ჩვენი საზოგადოების დიდი დინამიზმის არსია მუდმივი წინსვლა. ამას კი მივალწევთ იმ პირობით, თუ უზრუნველვყოფთ მუდმივ პროგრესს უაღრესად ფართო წრის მიმდინარე და პერსპექტიული ამოცანების — პოლიტიკური, ეკონომიკური, ორგანიზაციული, სოციალური, მათ შორის მატერიალური კეთილდღეობის დონის ამაღლების კულტურისა და განათლების, სამმართველო,

სამეურნეო და სხვა ამოცანების გადაწყვეტაში. ასეთია სკკპ ცენტრალური კომიტეტის, მისი პოლიტიბიუროს ახლანდელი კურსი, რომელმაც ყველაზე კონცენტრირებული გამოხატულება და შემოქმედებითი განვითარება პოვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილისა და ივლისის პლენუმების გადაწყვეტილებებში, პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვის მოხსენებებსა და გამოსვლებში.

ახლა მთელი ჩვენი მეცადინეობა უნდა მოხმარდეს კომუნისტთა ავანგარდული როლის შემდგომ ამაღლებას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა აქტიურ და ფართო დანერგვას, პარტიული, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცებას. ჩვენ კვლავინდებურად შეურიგებელი უნდა ვიყოთ ყოველგვარი ნაკლოვანებებისადმი, კიდევ უფრო უნდა გავაძლიეროთ ბრძოლა მათ წინააღმდეგ. ღრმად, კომპეტენტურად უნდა შევისწავლოთ დასახული საკითხები და პრობლემები, გამოვქმენოთ მათი გადაწყვეტის ყველაზე რაციონალური, ოპტიმალური გზები. როგორც მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების საკითხებზე, სკკპ ცენტრალური კომიტეტში ახლანაგ გამართულ თათბირზე გაკეთებულ მოხსენებაში თქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა მიხეილ

სერგის ძე გორბაჩოვმა, ახლა მთავარი ორგანიზაციული, ეკონომიკური და სოციალური ფაქტორების მობილიზაცია, წესრიგის დამყარება, პასუხისმგებლობისა და დისციპლინის გაძლიერება, წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესება, რათა უზრუნველვყოთ ყოველივე იმის უკეთ გამოყენება, რაც ჩვენს ქვეყანას მოეპოვება.

მიმართა რა თათბირის ტრიბუნლიდან მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების, სკკპ სამხარეო, საოლქო კომიტეტების მდივნებს, ქვეყნის ყველა კომუნისტს, მიხეილ სერგის ძემ ხაზგასმით აღნიშნა: ახლა ჩვენ ყველანი ვაბარებთ გამოცდას, ცხოვრების გამოცდას, მაშ, ნება მიბოძეთ, ძვირფასო ამხანაგებო, თქვენი სახელით აღვუთქვა ჩვენი პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, მის პოლიტიბიუროს, პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვს, რომ საბჭოთა საქართველოს პარტიული ორგანიზაცია, კომუნისტები, ყველა მშრომელი, ისევე როგორც წინათ, ღირსეულად ჩააბარებენ ამ გამოცდას, კვლავაც წარმატებით გადაწყვეტენ ჩვენ წინაშე მდგომ პასუხსაგებ და რთულ ამოცანებს, ყველაფერს ილონებენ, რათა გაამართლონ დიდი ნდობა, ღირსეულად შეხვდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობას! (ტაში).

ჯუმბერ ილიას ქმ პატიაშვილი —

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი

ამხ. ჯ. ი. პატიაშვილი დაიბადა 1889 წელს მოსამსახურის ოჯახში. ზკპ წევრია 1962 წლიდან. დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, სპეციალობით ზნაველული აგრონომია, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი. შრომითი საქმიანობა ამხ. ჯ. ი. პატიაშვილმა დაიწყო კომპარტიული ორგანოებში, იყო საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კომპარტიის მდივნის მოადგილე, მდივანი; სწავლობდა ას-

პირანტურაში, მუშაობდა ამავე ინსტიტუტის უმცროს მეცნიერ თანამშრომლად. 1965 წლიდან ამხ. ჯ. ი. პატიაშვილი კვლავ კომპარტიულ სამუშაოზეა — არის რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორი, სექტორის გამგე, სრულიად საქართველო ალკც ცენტრალური კომიტეტის სოფლის ახალგაზრდობის განყოფილების პასუხისმგებელი ორგანიზატორი. 1969-1970 წლებში იგი საქართველოს ალკც ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანია, 1970-1973 წლებში

კი პირველი მდივანი. 1973-1974 წლებში ამხ. ჯ. ი. პატიაშვილი მუშაობდა პარტიის გორის რაიკომის პირველ მდივანად, 1974 წლიდან კი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანია. საქართველოს კომპარტიის XXIV, XXV და XXVI ყრილობებზე ამხ. ჯ. ი. პატიაშვილი არჩეული იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრად. 1971-1973 წლებში იგი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, 1974 წლიდან კი ბიუროს წევრი;

არის საქართველოს სსრ მეშვიდე და მომდევნო მოწვევათა უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. ამხ. ჯ. ი. პატიაშვილი არჩეული იყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად, სრულიად საქართველო ალკც ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატად. ამხ. ჯ. ი. პატიაშვილი დაჯილდოებულია ლენინისა და ოქტომბრის რევოლუციის ორდენებით, ორი შრომის წითელი დროშის ორდენით, მედლებით.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მთავარი რედაქტორი

სარედაქციო კოლეგია:

დროშა

ხუბა ბერულავა


№7 (583) ივლისი, 1985

გულნარა ბახტაძე (პ/გ. მდივანი), ვასილ გვებაძე, ნათელა გიორგოზიანი, თენგიზ გოგოლაძე (მთ. რედაქტორის მოადგილე), ოთარ დემეტრაშვილი, სერგო ღარიშვიძე, ვახტანგ ეშვანაძე, ოთარ თურქია, დინარა ნოდია (მხატვარ-რედაქტორი), ლადო სულაბერიძე, ილია ტაბაღაძე, ნუგზარ ფოფხაძე, გიორგი ჩაჩავანი, უჩა ჯაფარიძე.

შურნალი გამოდის 1928 წლიდან
ხოვალთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო შურნალი

საქართველოს კავშირის გამომცემლობა

© „დროშა“, 1985 წ.



სახელი, როელიც გადასუქავს იზოცსლუკს

ქალაქი ცხაპანა, 22 ივნისი, 1985

შესრულდა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს თვალსაჩინო მოღვაწის, ვ. ი. ლენინის ერთგული მოწაფისა და თანამებრძოლის, საქართველოსა და ამიერკავკასიაში რევოლუციური სოციალურ-დემოკრატიული მოძრაობის ერთ-ერთი წამომწყებების მიხეილ გრიგოლის ძე ცხაკაიას დაბადების 120 წლის-თავი.

ბოლშევიკთა პარტიის ერთ-ერთი ძველი წევრის, ურყევი რევოლუციონერ-ლენინელის იუბილე ფართოდ აღინიშნა ჩვენს ქვეყანაში. მიხა ცხაკაიას ცხოვრებისა და დაუცხრომელი მოღვაწეობის ამბავი აღწერეს გაზეთმა „პრავედამ“ და სხვა ცენტრალურმა და რესპუბლიკურმა გამოცემებმა. ლენინური გვარდიის მამაც მებრძოლს მიემდვნა სამეცნიერო სესიები და თემატური საღამოები, ღირსშესანიშნავ თარიღთან დაკავშირებული წიგნები და მონოგრაფიები.

და აი, დღესასწაული ეწვია რევოლუციის გმირის სამშობლოს, ქალაქს, რომელიც მის სახელს ატარებს, სადაც დასრულდა საიუბილეო ზეიმი. მისმა მონაწილეებმა გვირგვინებით შეამკეს ქალაქის ცენტრში აღმართული ვლადიმერ ილიას ძე ლენინისა და მიხა ცხაკაიას ძეგლების კვარცხლბეკები, რითაც უსაზღვრო სიყვარული და ღრმა პატივისცემა გამოხატეს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლისადმი, მისი მეგობრისა და თანამებრძოლის — თავიანთი გამოჩენილი თანამემამულისადმი. მათ ყვავილები მიიტანეს დიდი სამამულო ომის ფრონტებზე დაღუპული მემორების დიდების მემორიალთან, მონაწი-

ლეობა მიიღეს რევოლუციამდელი სამეგრელოს ცხოვრებისა და ყოფის ამსახველი ეთნოგრაფიული კუთხის გახსნის ცერემონიაში, დაათვალიერეს მიხა ცხაკაიას მემორიალური მუზეუმის განახლებული ექსპოზიცია.

საზეიმოდ არის მორთული ა. ხორავას სახელობის რაიონული კულტურის სახლი. მიხეილ ცხაკაიას დაბადების 120 წლის-თავისადმი მიძღვნილ საზეიმო კრებაზე მოვიდნენ რაიონის მშრომელთა წარმომადგენლები, ძველი ბოლშევიკები და კომკავშირელები, ახალგაზრდობა. ისინი, ვინც ღირსეულად განაგრძობს პარტიისა და ხალხის სახელოვან რევოლუციურ, საბრძოლო და შრომითს ტრადიციებს. აქვე არიან თბილისიდან და რესპუბლიკის სხვა ქალაქებიდან და რაიონებიდან ჩამოსული სტუმრები.

პრეზიდენტში არიან ამხანაგები ელუარდ შევარდნაძე, ბორის ნიკოლსკი, ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკები.

საზეიმო კრება შესავალი სიტყვით გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ელუარდ შევარდნაძემ.

მგზნებარე რევოლუციონერ-ლენინელზე, მის თანამებრძოლებზე, მათს დიდ ცხოვრებაზე, რომლის მაგალითითაც იზრდებიან კომუნისტთა სულ ახალ-ახალი თაობები, ილაპარაკეს საქართველოს სსრ

მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორმა გ. ციცივილმა, პარტიის გულდაუთხის რაიკომის პირველმა მდივანმა კ. ოზგანმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ი. კაჭარავამ, გეგუჭკორის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის დირექტორმა მ. ხაინდრავამ, ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის დირექტორმა ფ. მახარაძემ, ომისა და შრომის ვეტერანმა შ. ხუხუამ, ცხაკაიას რაიონის სოფელ ეკის გაზეთ „კომუნისტის“ სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიემ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა მ. ხოფერიამ, ყურნალ „დროშის“ მთავარმა რედაქტორმა, პოეტმა ხ. ბერულავამ, პარტიის ცხაკაიას რაიკომის პირველმა მდივანმა ბ. ჯიჭიამ, ცხაკაიას ხალიჩების კომბინატის მუშა მ. შენგელიამ.

კრებაზე კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის მისალმება გაისმა ფიცად, რომ უერთგულდებნ მალალ იდეალებს, რისთვისაც იბრძოდნენ სამშობლოს საუკეთესო შვილები, მზად იქნებიან მალა ატარონ უფროსი თაობების ესტაფეტა, მთელი ძალ-ღონე მოახმარონ პარტიის დიდ წინასწარდასახულობათა განხორციელებას.

სრულდება პარტიული ჰიმნი „ინტერნაციონალი“.

საზეიმო კრების მონაწილეთათვის გაიმართა კონცერტი.



სპორტი- კორუპსი ეპორუარი

მკვირავის ნაამბობი

ალექსი ჩხეიძე

გაზაფხულის დღეა. მსუბუქი, თბილი ნიავე მწვანე მინდორს ეალერსება. თბილისის დინამოელებთან ვდგავარ, ხელში ბურთი მიჭირავს, ვგრძნობ, ჩვენს წინ როგორ ფაციფუცობს ფოტორეპორტიორი.

მე ვერ ვხედავ ვერც მწვანე ბალახით დაფარულ ფეხბურთის მოედანს, ვერც ჩემს გარშემო მჭიდროდ შემოკრებილ ფეხბურთელებს, ვერც ფოტორეპორტიორს, რომელიც ჩვენი ჯგუფის გადასაღებად ემზადება. არავითარი მიწიერი ხმა არ მეყურება, რადგან სრულიად ყრუ, სრულიად უსინათლო ვარ. მარჯვენა პროთეზული ხელით მაგრად მიჭირავს თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელების ავტოგრაფებით დამშვენებულ ბურთი. ამით გამოხატეს მათ ჩემდამი პატივისცემა, როგორც ძველი სპორტსმენისა და სამშობლოს დამცველისადმი.

რეპორტიორი წინ და უკან დარბის, ალბათ, ცდილობს, კარგი სურათი გადაგვიღოს. ვდგავარ და ვგრძნობ სპორტული ბაზის მწვანე ველის სურნელებას.

ძვირფასო მკითხველო, ძნელია გადმოგცეთ ჩემი მღელვარება, მღელვარება კაცისა, რომელიც დიდი ხნის წინ გამოემშვიდობა ფეხბურთის მოედანს... ახლა ისევ აქ ვდგავარ.

ჩემს გონებაში ამოტივტივდა დიდი ხნის წარსული ამბები, გამახსენდა ჩემი სპორტული ახალგაზრდობა და მზვერავის შეუპოვრობა.

აი ყველაფერი, რაც მოხდა: 1941 წლის 22 ივნისის დღე თბილისში მზიანი იყო. მიუხედავად აუტანელი

სიცხისა, ფეხბურთის თამაში გვექონდა გაჩაღებული. ამ დღეს ფინალში ეზოს გუნდებს შორის ქალაქის პირველობაზე ერთმანეთს ხვდებოდა „შევარდენი“ და „მერცხალი“. მატჩი თბილისის ცენტრალური პარკის ბოლოში, „სიკაბუჯის“ სტადიონზე ჩატარდა. დიდძალი მაყურებელი გვესწრებოდა, ისმოდა შეძახილები და ტაში. ორივე გუნდი მალალ ტემპში თამაშობდა. ბურთს წამითაც არ ვაჩერებდით, დაძაბული ჟინით ვთამაშობდით, მინდორზე ბევრს ვმოძრაობდით, ყმაწვილური მხიარული შეძახილებით ერთმანეთს ვამხნევედით და მოწინააღმდეგეს აზარტულად ვუტევდით.

მე „შევარდენის“ მარჯვენა ნახევარმცველი ვიყავი. ბურთს მოვიგდებდი თუ არა, მოწინააღმდეგის კარისკენ მივისწრაფოდი. ჩვენი გუნდი მეორე ტაიმში მთელი მონდომებით უტევდა, მაგრამ „მერცხალი“ მაგრად გვხვდებოდა. ძირითადი დრო ფრედ 1:1 დამთავრდა. გამარჯვებულის გამოსავლინებლად დაინიშნა ოცდაათწუთიანი დამატებითი ტაიმი. ჩვენმა გუნდმა დიდი ჯაფის ფასად გამოგლიჯა გამარჯვება „მერცხალს“. ოცდაათ წუთში მხოლოდ ერთი ბურთის გატანა შეეძლო. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, მაგრამ სულ მალე ყმაწვილურ აღმაფრენას შავი ღრუბელი გადაეფარა. როცა სტადიონიდან ბალის გავლით შინ ვბრუნდებოდით, რეპროდუქტორებთან ხალხის ჯგუფები შევნიშნეთ. ისინი დაძაბულად, მღუშარედ უგდებდნენ ყურს მოსკოვს...

ჩვენს ქვეყანას თავს დაესხა ფაშისტური გერმანია. საბჭოთა ხალხი ფეხზე დადგა. ახალგაზრდობა, რომელთა შორის ბევრი სპორტსმენი იყო, სამშობლოს დასაცავად მიდიოდა.

ჩვენი გუნდიდან თითქმის ყველა ფეხბურთელი მოხალისედ წავიდა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ საბრძოლველად. მხოლოდ მე არ წამიყვანეს, რადგან წლოვანებით ყველაზე პატარა ვიყავი „შევარდენში“. სამხედრო კომისარიატის კარს მაინც არ ვცილდებოდი, ფრონტზე წაყვანას დაჟინებით მოვითხოვდი. ჭალარა პოლკოვნიკი ჩემს ყოველ მისვლაზე ერთსა და იმავეს მეუბნებოდა: „შენ ჯერ პატარა ხარ, შინ წადი!“

შინ კი დაბოლმილი ვბრუნდებოდი.

1942 წელს ფრონტის ხაზი თბილისს მოუახლოვდა. მტრის რამდენიმე თვითმფრინავი კიდეც გამოჩნდა საქართველოს დედაქალაქის თავზე. სურვილი არ მასვენებდა, რომ გამარჯვებისათვის სულ მცირედი რამე მაინც გამეკეთებინა. თხუთმეტი წლისა ვიყავი, როცა კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის სამხედრო საამქროში დავიწყე მუშაობა. ყუმბარებს ვტვირთავდი ავტომანქანებზე. მძიმე სამუშაო იყო, მაგრამ ფიზიკურად ისე ვიყავი მომზადებული, ჩემი ასაკისათვის შეუფერებელი სამუშაო ვაჟკაცურად ავიტანე.

მთელი ქარხანა დიდი ენთუზიზმით მუშაობდა. ქარხანაში ბევრი ახალგაზრდა იყო. ვაკვირდებოდი მათ საქმიანობას. ვინც ფიზიკურ ვარჯიშს რეგულა-

რულად მისდევდა, მას სწრაფი რეაქცია და შრომის დიდი უნარი გააჩნდა, ყოველდღიურ ნორმას დიდი გადაჭარბებით ასრულებდა. მაშინ კიდევ ერთხელ ვირწმუნე, თუ რა სარგებლობის მოტანა შეუძლია სპორტს.

მიუხედავად იმისა, რომ ქარხანაში მუშაობით, ხოლო სკოლაში სწავლით ვიყავი გადატვირთული, სპორტისთვის თავი არ მიმიხეობია. ყოველ კვირა დღეს ავტოდრომზე დავდიოდი, სადაც გულმოდგინედ ვმეცადინებოდი. ამჟერად ჩემი გატაცება მოტოსპორტი იყო. შეჯიბრებებშიც ვმონაწილეობდი.

ომი არ წყდებოდა. ფრონტებზე სისხლისმღვრელი ბრძოლები გრძელდებოდა. ჩვენი მეომრები თავდადებით ერკინებოდნენ ოკუპანტებს...

დიად სამწუხარო ამბავი შევიტყვე: სამშობლოსათვის ბრძოლაში დაიღუპნენ ჩემი პარტნიორი ფეხბურთელები: მიხეილ ზამთარაძე, საშა გაგუა, რაჩიკ ინზარიანი, ხოლო მეკარე გივი ვაშაკიძე მძიმე ჭრილობების განკურნების შემდეგ შინ ინვალიდი დაბრუნდა...

ამის შემდეგ რა გამაჩერებდა ქარხანაში! ისევ სამხედრო კომისარიატს მივადექი, როგორც იქნა, აღსრულდა ჩემი ოცნება. 1943 წლის სექტემბერს საზღვაო ფლოტში მოვხვდი. როგორც მეწადა, უმაღლეს ბრძოლის წინა ხაზზე არ გამიშვეს. შავი ზღვის ფლოტის ეკიპაჟიდან ბათუმში გამგზავნეს, სადაც ცხრა თვის განმავლობაში შავი ზღვის ფლოტის უმცროს მეთაურთა სამხედრო-საზღვაოსნო სკოლაში ვსწავლობდი. 1944 წლის მაისის ბოლოს დავამთავრე სკოლა და ოდესაში დუნაის ფლოტილის ნაღმოსან კატარღების ბაზაში გამამწყესეს. კატარღაზე ერთი თვე ვიმსახურე, საბრძოლო ოპერაციებშიც მივიღე მონაწილეობა. გემზე სამსახური მომწონდა, მაგრამ მე მაინც ბრძოლის შუაგულ ცენტრში ტრიალი მერჩინა. სარდლობამ ჩემი თხოვნა დააკმაყოფილა და საზღვაო ქვეითთა ნაწილში გადამიყვანეს. გავხდი მზვერავი. ბრძოლებით განვლე გზა ოდესიდან ვენამდე.

დაზვერვაში ძალიან დამეხმარა სპორტი. სწორედ მან გვიშველა მზვერავებს, გადაგვეცურა დუნაი, ფეხით გავგველო ასობით კილომეტრი, გავრკვეულიყავით მძიმე ვითარების ორიენტაციაში. დუნაიზე დანგრეულ ხიდებთან ყინულოვან წყალში ვყვინთავდით და ჩვენი გემებისათვის გასასვლელებს ვეძებდით.

ვიამობთ ერთ ამბავს, სადაც გადაწყვეტი როლი სწორედ სპორტმა შეასრულა.

1944 წელს აგვისტოს ცხელი დღე იყო. ავტომანქანათა კოლონა, რომელშიც ქვეითი მეზღვაურები ვისხედით, დუნაისაკენ დიდი სისწრაფით მიემართებოდა. მიყვარს სისწრაფე, ასეთ დროს თავს ისე ვგრძნობ, როგორც ჩიტი მოკრიალებულ ცაზე.

მეწინავე მანქანაში, როგორც ყოველთვის, მზვერავები ვიყავით. ჩემს გვერდით იჯდა კატია მიხაილოვა, საშუალო ტანის, შავგვრემანი, ცისფერთვალემა, ტიპური რუსი ქალიშვილი. მას ქვეითი მეზღვაურის ემბლემა იმპრესია გაეხატა

და ხაკისფერი ქვედატანი ეცვა. ომს თავისი დადი დაესვა მისთვის. იძულებული იყო, თხუთმეტი წლისას ხელში ავტომატი აეღო. რამდენჯერმე იყო დაჭრილი. ეკეთა ზემდეგის სამხრები, მკერდს წითელი დროშისა და სამამულო ომის ორდენები უმშვენებდა. ჩემი მეგობრები, ვიტალი და ივანე იქვე ისხდნენ. ვიტალი ზასპელსკი იმ ჯანჯარში რაღაცას იწერდა, ხოლო ივანე მიდამოს გაჰყურებდა. ჩვენსავე მანქანაში იყო უფროსი ლეიტენანტი ივანე კოჩინი. იგი მეთაურობდა მეზღვაურთა ნაწილს, მასვე ექვემდებარებოდნენ ჩვენი რაზმის მზვერავები. იგი ჩელიაბინსკში დაიბადა. ფაშისტთა პირველი დარტყმა ბელორუსიის საზღვარზე მიიღო. 1944 წლის გაზაფხულზე ქვეითი მეზღვაურების ნაწილში მოხვდა. ფრონტის მრავალ უბანზე მოუხდა მტერთან შერკინება ამ მამაც ოფიცერს. გიმნასტურაზე დაჭრილობის ოთხი ნიშანი ეკეთა, სამი წითელი, რაც მსუბუქ ჭრილობებს ნიშნავდა და ერთი ოქროსფერი — მძიმე ჭრილობის აღმნიშვნელი.

მანქანაში ყველას ცისფერი დუნაი ეკერა პირზე. ეს მდინარე მანამდე თვალთ არავის გვენახა, ჩვენს შორის რამდენიმე მხოლოდ კინოფილმ „დიდი ვალსიდან“ იცოდა რასაც წარმოადგენდა.

მოულოდნელად გავჩერდით. კაცი გადმოგვიხტა გზაზე და გაცხარებით აქნევდა ხელებს. გამოირკვა, რომ მახლობელ სოფელში, რომელიც ჩვენ უნდა გავგველო, გერმანელები იყვნენ ჩასაფრებული.

გმადლობთ, მეგობარო! ომში ვითარება სწრაფად იცვლება. ვიცოდით, რომ ჯერ კიდევ დილით ამ სოფელში ჩვენები იყვნენ...

რაზმის უფროსმა გვიბრძანა, დაგვეზვერა გზა. მეწინავე მანქანამ გზა განაგრძო. კვალდაკვალ გამოგვევა ჯავშანტრანსპორტიორი. საბარგულში ავტომატ-მომარჯვებულები ვიყავით და მიდამოს ყურადღებით გავყურებდით. პატარა, მაგრამ ამღვრეული მდინარის იქით გამოანათა დიდი სოფლის თეთრმა სახლებმა. სოფელში შევედით. საოცარი სიჩუმე სუფევდა. ეს ცუდად გვენიშნა. მანქანამ სვლა შეანელა და ბოლოს გავჩერდით. კოჩინმა უბანს დურბინით ვახედ-გამოხედა. ჩვენ კი, მისი ბრძანებისამებრ, მიწაზე გადმოვხტით. არ ვიცი, რას ელოდნენ გერმანელები, ცეცხლი უცებ არ გავგისხნეს. მცირე დაყოვნების შემდეგ კი ატყდა სროლა. ვინც კი საბარგულზე იყო, მტრის ცეცხლმა მოცელილი გამოყარა მიწაზე. თავში სასიკვდილოდ დაიჭრა მძღოლი.

კოჩინმა გვიბრძანა, გაიფანტენით, თვითონ კი რაციით ავტოკოლონას დაუკავშირდა.

ფაშისტები იერიშზე გადმოსვლას ვერ ბედავდნენ, როგორც ჩანდა, ისინი ცოტანი იყვნენ. ჩვენ ჯავშანტრანსპორტიორის ტყვიამფრქვევი გვიცავდა. მალე სოფელს მეავტომატეთა ასეული მოადგა, მერე ცეცხლი გახსნა ჩვენმა არტილერი-

ამ. აგარდა მწვანე მაშხალა, ქვეითებმა მეზღვაურებთან ერთად იერიში მიიტანეს სოფელზე. ბრძოლა სწრაფად დასრულდა, სოფლის ქუჩაზე ჩამოქრევს ტყვეთა კოლონა. აქა-იქ კიდევ ისმობს კანტიკუნტი სროლის ხმა.

ბრძოლით მოქანცული მძიმედ ვსუნთქავდი. ფაშისტების მიერ მიტოვებულ ტყვია-წამლით დატვირთულ საბარგულებთან უცებ შევნიშნე ეტლიანი მოტოციკლეტი. მის დანახვაზე გული ამიჩქროდა. ტყუილად როდი ვეტანებოდი მოტოსპორტს! მოტოციკლეტთან მივირბინე, მოვმართე. ძრავის ნაცნობმა ხმამ უფრო ამაღელვა, ბენზინის ბაკი გავსინჯე, თითქმის სავსე იყო. ყველაფერი სალი და საიმედო ჰქონდა „ცუნდანის“ მარკის მანქანას. მზვერავისათვის ასეთი ალაფი პირდაპირ აღმოჩენა იყო. ახლა ისრა მაკლია, ვინმე მოვისვა ეტლში ტყვიამფრქვევთან. მახლობლად ვიტალი ზასპელსკი დავინახე. ხელი დავუქნიე. უმაღლეს მოიბრინა, ტყვიამფრქვევი გასინჯა და ეტლში ჩახტა. მე მანქანა მოვმართე და გზაზე გავიყვანე. ტყვე გერმანელებს ჩაუქროლეთ, სოფლის ბოლოს რომ გავედით, გზაზე მსუბუქი მანქანა შევნიშნეთ. ღია მსუბუქი მანქანა სწრაფად შორდებოდა სოფელს, ეტყობა, ფაშისტმა ოფიცრებმა გაქცივით უშველეს თავს.

— სად წავგიხვალთ! — გავიფიქრე და ვაზს მოვუმატე, მანქანას გამოვეკიდე. მსუბუქი მანქანიდან გვესროლეს. ვიტალიმ ტყვიამფრქვევის ცეცხლით უპასუხა.

მდინარესთან ღია ადგილზე გავედით. მეორე ნაპირზე გერმანელი ოფიცრების მანქანა თიხის წებოვან ლაფში ჩაეფლო. ახლა მოხერხებული პოზიცია ჩვენ გვეჭირა, მომალლო ნაპირზე ვიდევით და სამიზნე ხელის გულივით ჩანდა. ვიტალიმ მითხნა:

— ტყვიას თავზევით დავაყრი! მე ადვილად მიუხვდი ამხანაგს, რაზედაც მანიშნებდა. ჩვენ ხომ მზვერავები ვიყავით, ასეთი შემთხვევა ხელიდან არ უნდა გავგვეშვა და რაღაც არ უნდა დაგვჯდომოდა, ოფიცრები ცოცხლად უნდა ჩავგვეგლო ხელში.

— ვერ წავგიხვალთ, კაციჭამიებო!..

მოტოციკლეტი წინ გაიჭრა. ცოტაც და მტრის ოფიცრები ჩვენს ხელთ იქნებოდნენ. მაგრამ მსუბუქმა მანქანამ დასძლია ლაფი და გზაზე აგარდა. უდაოა, გამოცდილი მძღოლი უჯდა მის საჭეს. ავტომანქანა თანდათან გვეშორდებოდა. ზასპელსკიმ ტყვიამფრქვევის რამდენიმე მოკლე ჯერი მიაყარა, მერე კი ვეღარ მოითმინა და იყვირა:

— ალიოშა, გავიქცივიან... სწრაფად, სწრაფად!

მდეურის აზარტი მომეცა. პატარა მდინარე სწრაფად გადავლახე და მოტოციკლეტი გზაზე შევაგდე. წინ მანქანა მიჰქროდა. ჩვენ კარგად ვხედავდით მანქანაში მსხდომთ. ოფიცრები, უკანა სავარძელზე რომ ისხდნენ, თვალს არ გვაშორებდნენ. შოფრის გვერდით მჯდომს კი ერთხელაც არ მოუხედავს, იჯდა ვახევებული.

უცებ ჯავშანტრანსპორტიორის ძრავის ზმა მომესმა. წამით მოვიხედე. ჩვენი მანქანა გვეწეოდა. როგორც ჩანს, დასახმარებლად წამოსულიყო. მთელი ძალით მოჰქროდა, კოლბოხებიან გზაზე ირწყეოდა. მაგრამ ჩვენ ისეთი სისწრაფით მივქროდით, ჯავშანტრანსპორტიორი მალე ჩამოგვეშორდა. მტრის მანქანას კი ვეწეოდით. მანძილი თანდათან მოკლდებოდა. თვალს არ ვაშორებდი მტრის ავტომანქანის ვირაუს და გამალებული ვფიქრობდი, როგორ შემემცირებინა მანძილის სხვაობა. ამასთან არ მშორდებოდა ფიქრი იმაზე, ვაითუ სადმე მტრის ჯარი ყოფილიყო ჩასაფრებული.

— მაგრამ იყავი, ვიტალი! — შევძახე მეგობარს, გზიდან მკვეთრად გადავუხვიე და ველზე გავიჭვირეთ. საოცარია, როგორ არ გადავცვივდით! მანძილი რომ მოკლდებოდა, ისევ გზაზე ავგარდით მტრის მანქანის წინ. მოტოციკლეტი შუა გზაზე გავაჩერე. ფაშისტების მანქანა დიდი სისწრაფით გვიანლოვდებოდა. ვიტალიმ ტყვიამფრქვევი მომართა, მე ავტომატი მოვიმარჯვე. გონებაში სწრაფად გამიელვა: „თუკი შოფერს მოვარტყამთ, მანქანა სულ ერთია ინერციით წამოვა და გადაგვთელავს, ნუთუ ტარანზე წამოვლენ გერმანელები?!“

ის იყო ჩანჩახისთვის უნდა გამომეკრა თითი... გასროლა აღარ დამჭირდა. მანქანამ სვლას უკლო, დამუხრუჭდა. ინერციით გამოსრიალდა და ჩვენს მოტოციკლეტს მიენარცხა. გერმანელებს ნერვებმა უმტყუნეს.

ახლა ვიგრძენი, სახეზე წურწურით რომ ჩამოდრიდა ოფლი. მაგრამ საქმე რომ ბოლომდე უნდა მიგვეყვანა. სანამ ფაშისტები გონს მოეგებოდნენ და სროლას აგვიტყდნენ, ავტომატომარჯვებული გადმოვხტი და მანქანასთან მივიჭვირე. სახეგაფითრებული შოფერი ტუჩებს იკვნეტდა. მე უფრო მეტად მის გვერდით მჯდომი მაინტერესებდა. ეს იყო პიტლერელი გენერალი.

ასე დამთავრდა გამოვლენება ფრონტულ გზაზე. ჩვენს მიერ ხელში ჩაგდ-

ბული გენერალი დივიზიის მეთაური აღმოჩნდა, ხოლო ორი თანხლები ოფიცერი, მისი აღიუტანტყბი იყვნენ.

დუნაიზე ბრძოლები გრძელდებოდა. ვენის გათავისუფლების შემდეგ მე ისევ ნალმოსან კატარაზე მოვხვდი მესაჭედ. გემები გამყავდა დანაღმულ ველთა ფარვატერში.

1945 წლის ჯანვარულზე ნალმის აფეთქებისას მძიმედ დავიჭვირე. ისეთი შემაზრზენი ძალის აფეთქება იყო, ყურის ბარანები დამიხუთქა, მსხვილმა ნამსხვრევმა მარჯვენა თვალი ამომიგდო, ხოლო მარცხენაში სინათლე ჩამიქრო. ჩამემსხვრა ოთხი ნეკნი და მარჯვენა ლავიწი, დამიზიანდა ხერხემალი, მძიმე ჰრილობა მივიღე მუხლში და ორივე ფეხზე, აღარ მქონდა ორივე ხელის მტევანი...

ასეთ მძიმე მდგომარეობაში მიმიყვანეს სამხედრო ჰოსპიტალში, როცა ექიმებმა დამხედეს, უთქვამთ, რამდენიმე საათში მოკვდებოდა.

მაგრამ სპორტსმენის ორგანიზმი და ნებისყოფა სიკვდილს არ ნებდებოდა.

ცოცხალი დავრჩი.

ექიმებმა დიდი წვალების შემდეგ აღმიდგინეს სმენა მარჯვენა ყურში. ამაოდ დამვრა ოკულისტების ცდა — თვალში სინათლე არ დამბრუნებია. მკურნალობის შემდეგ ვიქენი დემობილიზებული. თვრამეტი წლისა მძიმე ინვალისი გავხდი, მაგრამ სპორტსმენის ძლიერმა სულმა არ მიმატოვა. მტკიცედ გადავწყვიტე, დამეწერა დოკუმენტური წიგნი, მოგონებანი დიდ სამამულო ომზე. კარგად მესმოდა, რომ ამ სამუშაოს დიდი დრო სჭირდებოდა. ჩემი ნორჩი მეგობრების, მოსწავლეთა დახმარებით, მოთმინებით ვაგროვებდი მასალებს დუნაის გამათავისუფლებელ ბრძოლებზე. ბევრი სიძნელის დაძლევა მომიხდა. ამ სამუშაოსთან ერთად სამხედრო-პატრიოტულ აღმზრდელი მუშაობას ვეწეოდი ახალგაზრდებს შორის, გამოვდიოდი რადიოთი და ტელევიზიით, ვებქდავდი წერილებს.

1961 წელს მოულოდნელად დაგვრუვდი. ექიმებმა მხოლოდ ნაწილობრივ აღმიდგინეს სმენა, სასმენი აპარატს მუშევრებით შემდეგო გამეგო რამე.

გაორკეცებული ენერგიით განვაგრძობდი წიგნზე მუშაობას. ვამუშავებდი და სისტემაში მომყავდა უამრავი მასალა. ნაამბობს მოთხრობის სახე მივეცი, რომ მკითხველს გულზე მოხვედროდა. ჩემი წიგნი „მზვერავის ჩანაწერები“ 1981 წელს სამხედრო გამომცემლობამ დასტამბა, ხოლო 1982 წელს გამომცემლობა „მოლოდინა გვარდიამ“ დაბეჭდა შეცვლილი სათაურით „დუნაის მზვერავის ჩანაწერები“. წიგნი ამჟერად მდიდრულადაა ილუსტრირებული, გაფართოებულია, გამოცემულია დიდი ტირაჟით. გამოსვლისთანავე დიდი პოპულარობა მოიპოვა ახალგაზრდებს შორის, ხოლო საკავშირო ლიტერატურულ კონკურსზე ამ ნაშრომისათვის მომენიჭა ოსტროვსკის პრემიის ლაურეატის წოდება.

ოთხი წლის წინ ჩემი ჯანმრთელობა გაუარესდა, ისევ დავყრუვდი, ამჟერად უკვე უიმედოდ.

ექიმებს ძალა აღარ შესწევთ, დამენმარონ. ბრმა, დაყრუებული, უხელო, უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში აღმოვჩნდი, მაგრამ სიმშვიდეს მაინც არ ვკარგავ და შრომისუნარიანობას ვინარჩუნებ.

მკითხველს ალბათ უკვირს, როგორ ვამყარებ ურთიერთობას გარე სამყაროსთან, ადამიანებთან. უშუბლზე თითით მიწერენ ასოებს და მე მათ თავისუფლად ვკითხულობ. ასე მიკითხავენ ახალ გაზეთებს. ასე რომ, ქვეყნის ამბებში გარკვეული ვარ. რასაკვირველია სპორტული ცხოვრებაც მაინტერესებს. მახარებს საბჭოთა ფიზკულტურელების წარმატებანი. დასასრულს მე მინდა, ჩვენს ახალგაზრდა სპორტსმენებს მთელი გულითა და სულით ვუსურვო ახალ-ახალი წარმატებანი, დიდი ადამიანური ბედნიერება. დაე, ყველას უყვარდეს სპორტი — ძვირფასი მეგობარი!




„დროშა“ ულოცავს

ქურნალ „დროშის“ სარედაქციო კოლეგია სულითა და გულით ულოცავს საქართველოს სსრ სახალხო მხატვარს დიმიტრი ერისთავს დაბადების 50 წლის თავს და უსურვებს მას ჯანმრთელ სიცოცხლეს, ახალ ბრწყინვალე შემოქმედებით გამარჯვებებს მშობლიური კულტურის სადიდებლად და საკეთილდღეოდ.


ჩვენი ქურნალის ჩანართი მთლიანად ეთმობა ძვირფასი იუბილარის შემოქმედების ნიმუშებს.






ილუსტრაცია ოთარ ჭილაძის რომანისა
„უოველმან ჩემმან მპოვნელმან“.

დიმიტრი ერისთავი



გარდერობი.




სანდრო მამასახლისის პორტრეტი.



მღვსავი (ძველი თბილისი).




ბოზა ქალაქი.




დიმიტრი პრისტავაძი

საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი.

ტელეფონები.





კახტანგ გეგელიას პორტრეტი.



გეგელიას
პორტრეტი

თამარი.

დიმიტრი ერისთავი

ბაზარი (ძველი თბილისი).



შალვა ნუცუბიძის ცხოვრების იხილეთ

ქართული
საბჭოთაო

სარგი ღვრიშვილი, აპადემიკოსი.

შალვა ნუცუბიძის მოსვლა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროში არ გამკვირვებია. მასთან აქ შეხვედრას კარგა ხანს მოველოდი: გარეუბნის რაიონმასკომმა გამოიგზავნა დადგენილება შ. ნუცუბიძისათვის გლდანში მიწის ნაკვეთის ჩამორთმევის შესახებ. მისი სისრულეში მოყვანა სოფლის მეურნეობის სამინისტროს ევალებოდა.

შალვა ნუცუბიძის საჯარო გამოსვლები მრავალჯერ მომისმენია, მეც ვყოფილვარ აღტაცებული მისი დიდი ნიჭითა და მახვილგონიერებით, მაგრამ პირადად მას მანამდე არ შევხვედრივარ.

ბატონი შალვა აღელვებული ჩანდა. საუბრის დაწყებისას კიდევ უფრო მეტად აინთო.

— ბატონო სერგი, ვწუხვარ, რომ სრულიად უბრალო საქმეზე უნდა შეგაწუხოთ. თქვენ კულტურული კაცი ბრძანდებით და რა თქმა უნდა, იცით, რომ მე ფილოსოფოსი ვარ. მოხდა ისე, რომ ამ ბოლო ხანს მე შემოქმედებითი მუშაობის უფლება შემეზღუდა, ახლა, „ღმერთების“ ნაცვლად, მიწას ვებრძვი! რამდენიმე წლის წინათ გლდანში მომცეს რიყითა და ჭავჭავი დაფარული მიწის ნაკვეთი. მე და ჩემმა მეუღლემ ხანგრძლივი, თავდაუზოგავი შრომის შედეგად შესანიშნავი ვენახი, ბალი და ყვავილნარი გავაშენეთ. რომ ნახოთ გაგებნარდებათ, ნამდვილი წალკოტია. და აი, ერთ დღეს მობრძანდა ვიღაც პრიმატების ჯგუფის „ინსერტე სედის“ წარმომადგენელი და გამოგვიცხადა — „თქვენ ბალი ჩამოგერთვით, აქაურობა უნდა დატოვოთ!“ რა მოხდა ისეთი, რომ თონითა და ბარით შრომა ამეკრძალოს?! იქნებ მიწა გაკლიათ? ჩვენი ბალის ირგვლივ, რამდენიც გნებავთ, იმდენი რიყე და ჭავჭავია და, რაც მთავარია, გლდანის ნაკვეთი ჩემთვის მხოლოდ ჩვეულებრივი ბალი არ არის! იქ დაკრძალულია ჩემი პატარა ვაჟი, იქაა აგრეთვე ჩვენი გამოჩენილი მეცნიერების მიერ დარღული სამახსოვრო ხეები. რატომ, ან ვისთვისაა საჭირო, რომ ჩემი ბალი კვლავ მიწის უვარგის ნაკვეთად გადაიქცეს?! მრავალჯერ დავსჯილვარ უსამართლოდ, მაგრამ ეს

მეტისმეტია! გთხოვთ, გააუქმეთ უკანონო გადაწყვეტილება. დიდხანს ვისაუბრეთ. გამოვიღე სეიფიდან გარეუბნის რაიონმასკომის დადგენილება და ვაჩვენე. გაუკვირდა — არ მეგონა, თუ ასე ენერგიულად იბრძოდნენ ჩემს წინააღმდეგო. შევეთანხმდით, ყველაფერს გავარკვევდით და შედეგს შევატყობინებდით. გამომშვიდობებისას გამაფრთხილა, ერთი კვირის შემდეგ კვლავ მოგაკითხავთო.

რაიონმასკომის დადგენილება იურიდიულად სწორი აღმოჩნდა, მისი შეცვლა შეუძლებელი შეიქნა. როგორ უნდა მოვქცეულიყავით?! საქმის ასეთი მდგომარეობა გავაცანი საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელ ამხანაგებს და ვითხოვე სიტყვიერი ნებართვა, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტროს გლდანის რაიონმასკომის აღნიშნული დადგენილება არ მოეყვანათ სისრულეში. შალვა ნუცუბიძის მრავალმხრივი დამსახურება მათ კარგად იცოდნენ და დამთანხმდნენ: თქვენ „უკანონო“ მოქმედებას ჩვენ არ გავარჩევთ, ბალი შ. ნუცუბიძის დარჩება, მაგრამ თუ საქმე რესპუბლიკის გარეთ განმარტდება, მაშინ, რა თქმა უნდა, თქვენ დასჯა არ აგცდებათო, — ასე გამაფრთხილეს ხელმძღვანელმა მუშაკებმა.

დათქმული დროც მოვიდა და ბატონი შალვა სამინისტროში კვლავ მობრძანდა. ყველაფერი დაწვრილებით და შეულამაზებლად ვუთხრე. დინჯად მომისმინა, ჩაფიქრდა და მკითხა:

— თქვენ როგორ ვარაულობთ, რამდენ ხანს დაგტოვებენ ამ პოსტზე?

რაც შემეძლო, დავამშვიდე ბატონი შალვა; დავპირდი, რომ ყოველ შემთხვევაში კიდევ ერთი სოფლის მეურნეობის მინისტრი, რომელიც მე შემცვლიდა, არ შეეხებოდა მის ბალს გლდანში.

— ბატონო სერგი, ახლა 1955 წელია, ღმერთმა დიდხანს კარგად გამოყოფთ, მაგრამ მაინც უნდა ვითხრათ: ვაი თუ თქვენი მინისტრობა შავრენის ტყავივით შემომადნეს ხელში, მაშინ?!

იმავე წლის ბოლოს მართლაც დაგტოვე სამინისტრო. სამუშაოდ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში ვადამიყვა-



ნეს. სოფლის მეურნეობის მინისტრად დანიშნეს ვალერიან ქერქაძე. სამინისტროს საქმეების გადაბარებისას, სეიფის გასაღები და გლდანის რაიონმასკომის დადგენილება ერთად გადავიცი და პირობა ჩამოვართვი, რომ შალვა ნუცუბიძის ნაკვეთს ხელს არ ახლებდა. ასეც მოხდა. შალვა ნუცუბიძეს ბალი საბოლოოდ შეუნარჩუნეს.

გადიოდა წლები და ბატონ შალვას აკადემიაში სულ უფრო ხშირად ვხვდებოდი. 1959 წლის გაზაფხულის ერთ დღეს მომიინახულა და მთხოვა, მასთან ერთად პრეზიდენტთან შევსულიყავი. ნიკო ჩემი ძველი მეგობარია, მაგრამ თქვენ, როგორც აკადემიკოს-მდივანი, უეჭველად უნდა დაეწყოთ საუბარს, ჩემი პირადი საკითხი უნდა დავსვაო.

ნიკო მუსხელიშვილმა შალვა ნუცუბიძე თბილად მიიღო, გამოკითხა, თუ როგორ ცხოვრობდა და ამქამდ რაზე მუშაობდა. საუბარში ეტყობოდა, რომ ერთმანეთის კარგი იცოდნენ და ავიცი.

— ნიკო, შენ ჩემი საქმიანობა კარგად მოგეხსენება. თბილისის უნივერსიტეტის დაარსების ერთ-ერთი მონაწილე ვარ. 1921 წელს სამშობლო არ მიმიტოვებია, ენერგიულად ვიღვწოდი, არა ერთი და ორი მონოგრაფია და სახელმძღვანელო შემქმნია: ქართული ფილოსოფიური აზროვნების სამრეკლოში მეც ჩამომიკრავს ხარი! ამ ცხოვრების გზაზე არც

მეგობარი მომკლებია და არც მტერი, თუ კი ვინმეს გამოუტეცია, რას ნიშნავს „გარდი უეკლოდ არავის მოუკრეფიაო“, ეს ნამდვილად მე ვარ! 1941 წელს, როდესაც საქართველოს მეცნიერებათა აკადემია შეიქმნა, არავის გავახსენდი. ღმერთმა შეგინდეთ! მართალია აკადემიაში 1944 წელს ამირჩიეს, მაგრამ თქვენი „კურადლება“ არც შემდეგში მომკლებია. 5 წლის შემდეგ ფილოსოფიის ინსტიტუტიდან გამათავისუფლეს, ხოლო 1953 წელს აკადემიის ნამდვილი წევრის წოდება ჩამომართვეს. ახლა, მადლობა ღმერთს, კვლავ ფილოსოფიის ინსტიტუტის თანამშრომელი მაინც ვარ. ნიკო, ხომ არ დადგა დრო, რომ უფრო ვაბედულად მოიქცე და დააყენო საკითხი ჩემი აკადემიაში აღდგენის შესახებ? მე მოწყალეხარ არ მოვიტხოვ, შენ იცი, რომ მე მწარე ბედი ვერ მერევა, ჩემი ვარსკვლავი ჯერ არ ჩამქრალა, ისევ ბრწყინავს. მე მოვიტხოვ „ჩემი საკითხის“ კვლავ გარჩევას, აკადემიის მიერ მის გადასინჯვას. შენი პასიურობა მაკვირვებს, მოგჩერებია და ვერ გამოვიგია, ბოლოს და ბოლოს, რა ნიშნის მიხედვით ხარ პრეზიდენტი?!

ნიკომ პაპიროსი ჩააქრო, შალვას თვალეში ჩახედა და აულელვებლად უპასუხა:

— შალვა, შენი მოქმედების ასპარეზი ყოველთვის ისეთი ფართო და არაჩვეულებრივი იყო, რომ მე მიჭირდა შენთვის

სკოლა სოფელ სიბოში

თვალყურის დევნება, არასოდეს არ მესმოდა, თუ რა ხდებოდა შენს ირგვლივ და რატომ ხდებოდა! მართალი ვითხრა, არც ახლა ვიცი, თუ რა უნდა მოვიმოქმედოთ. ეს შენ უნდა გვითხრა, შენ უნდა გვიკარნახო. რაც შეეხება ჩემი პრეზიდენტობის ნიშან-თვისებებს, ადრე ამაზე არასოდეს არ მიფიქრია, ახლა მხოლოდ ერთს ვატყვი: ალბათ, რაღაც მაქვს ისეთი, რაც შენი თვალთახედვის არეში ამჟამად არ ხვდება. რას ვიხამთ, ახალ არჩევნებამდე მაინც უნდა შეეგუოთ არსებულ ვითარებას. შენი აკადემიის ნამდვილ წევრად აღდგენის საკითხის განხილვას უშუალოდ დაუვუქრ მხარს. პრაქტიკულად ეს საქმე აკადემიკოს-მდივანს ეხება და ამას სერგი მოუვლის!

საუბარი დიდხანს გაგრძელდა. ნიკო მუსხელიშვილი და შალვა ნუცუბიძე კეთილად დამორიდნენ ერთმანეთს.

გვიდა რამდენიმე კვირა და პრეზიდენტმა დავალება მომცა: პრაქტიკულად შეუდექით შ. ნუცუბიძის აკადემიის ნამდვილ წევრად აღდგენის საქმეს. ეს ამბავი ბატონ შალვას სასწრაფოდ ვაცნობი.

1960 წლის აპრილში მივიღეთ მითითება, რომ მოგვეწვია საერთო კრება და დაგვესვა „ნუცუბიძის საკითხი“. 14 აპრილს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებამ შალვა ისაკის ძე ნუცუბიძე ერთხმად აღადგინა აკადემიის ნამდვილ წევრად.

ერთი კვირის შემდეგ შალვა ნუცუბიძე აკადემიაში მოვიდა და კვლავ მთხოვა, მუსხელიშვილთან ერთად შეესულიყავით.

— ნიკო, შენი მადლობელი ვარ, ყველა იმათიც, ვინც სიმართლე დაიცვა. მზად ვარ, შევასრულო ყველა დავალება, რაც საქართველოს მეცნიერების წინსვლას შეუწყობს ხელს, რაც ქართველი ხალხის უკვდავებას რასმე კიდევ შემატებს. შენ იცი, მე მშობარა კაცი არასოდეს ვყოფილვარ, რაც დავიბადე, სულ მძაფრ ბრძოლაში ვარ, ყოველთვის გამიტანია ლელო, ახლაც ისევ ის ძველი შალვა ვარ.

ნიკომ სავარძელში ოდნავ უკან გადაიწია და ღიმილით ჰკითხა:

— ჩემს პრეზიდენტობას რაღა ვუყოთ, ხომ არ გექნება რაიმე წინადადება?

შალვა არც დაფიქრებულა, ისე მიაგება: ისევ შეჩვეული „ჭირი“ გვიჩვენია, იყოს, რაც არისო: ორივემ გაიცინა.

იმ დღეს აკადემიიდან შალვა ნუცუბიძე ძველებურად მტკიცე ნაბიჯით, თავაწეული წავიდა, კვლავ ლაღი, ენერგიული და შემართებული.

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში, განსაკუთრებით უკანასკნელ მეოთხედში, საზოგადო მოღვაწეთა მოთავეობით მნიშვნელოვანი მოძრაობა დაიწყო სახალხო განათლების კერების დაარსებისათვის. ასე გაიხსნა სკოლები ხელთუბანში, ვარიანში, ქვემო ხვითში...

მოსახლეობის ერთი ნაწილი სკოლის დაარსებასა და მასში „შეგირდად“ შვილის მიზარებას სიამოვნებით შეხვდა. ზოგიც სკოლას ალმაცერად უყურებდა, ოჯახისათვის საზიანოდ თვლიდა. დუბჭირი ცხოვრება და ხელმოკლეობა ბევრს აძიულვებდა, შვილები ნაადრევად ჩაება შრომაში. სკოლა კი, მათი აზრით, ამაში ხელს შეუშლიდათ. ასეთნი ერის მომავალს, პირადასა და საზოგადოს ვერ სჭვრეტდნენ და ერთი ქართული ანდაზისა არ იყოს, დღევანდელი კვერცხი ერთიან ხვალისდელი ქათამს.

ასეთ პირობებში მძიმე იყო იმ ადამიანთა მდგომარეობა, რომელთაც თავს იდეს სოფელში „ცოდნის შეტანა“. მათ, სხვა რომ არაფერი ვთქვათ (მასწავლებლისა და შენობის გამონახვა, ქირის გაღება და სხვა), ორმხრივი წინააღმდეგობის დაძლევა უხდებოდათ: ერთის მხრივ ხელისუფლებისა, რომლისთვის სკოლის გახსნის ნებართვა უნდა გამოეთხოვათ და მეორეს მხრივ თანხმობა გლეხებისა, რომელთა შვილებისათვის სკოლა უნდა გახსნილიყო. სწორედ ასეთ ყოფაში გაიხსნა სკოლა სოფელ არბოში.

მისი მოთავე ანტონ ფურცელაძე იყო — არბოელ გლეხკაცთა და არა მხოლოდ არბოელთა, ყველა გაჭირვებულის ქომაგი, შემწე და დამხმარე. მან თავის ბინაში გამოყო საკლასო ოთახი, შეიძინა საჭირო ინვენტარი, სახელმძღვანელოები და სასწავლო ნივთები. მასწავლებლად კი შვილი გაამწესა. და აი, საოცრება, როცა სწავლის დაწყების მაუწყებელი ზარი შემოჰკრა, სკოლაში არავინ გამოცხადდა, გლეხებმა სისტემა უარი თქვეს: მუშახელი გვაკლია, მწყემსი ვერ გვაშოვია და მეხრე, მორბედის სახლიდან

გაყვანა კერის დაქცევას უდრისო. მოსმენაც არ უნდოდათ, როცა ანტონი სკოლის სიკეთეზე, სწავლა-განათლების აუცილებლობაზე სიტყვას ჩამოავლებდა ხოლმე. ორჯერ სოფლის ყრილობაც მოაწყო ძველთაძველი ეკლესიის „არბოშინდას“ ეზოში. ორჯერვე უშედეგო აღმოჩნდა სოფლის თავშეყრა, მიუხედავად დიდი ხათრისა და პატივისცემისა, მაინც უარი ჰკადრეს ანტონს და შორს დაიჭირეს მისი რჩევა.

ანტონმა ახლა სხვა ხერხს მიმართა. შინ მიიხმო გვიმრაანთ სიმონა, ფიჩხნარაანთ თედო და სხვა სოფლის თავკაცნი. კარგი პურ-მარილი გაუშალა და დიდხანს ესაუბრა, მრავალი მაგალითით დაარწმუნა, რომ სკოლა და განათლება მათი შვილებისათვის აუცილებელი იყო. ჩვენ მხარს დაგიჭერთო, დაპირდნენ. ანტონმა უთხრა, მარტო თქვენი მხარდაჭერა რა ბედენაა, სხვებიც უნდა შეაგულიანოთო. გადაწყდა, კვირაძალზე დაენიშნათ ყრილობა. დათქმულ დროს აგუგუნდა ეკლესიის დიდა ზარი, ხმა შეუწყვეს მას პატარა ზარებმა, რეკდა სოფლის, გლეხკაცის მომავლის ზარი, გუგუნებდა, ხმიანობდა და ხალხს მოუხმობდა ეკლესიის ეზოსაკენ.

ყრილობა არავის გაუხსნია და არც დღის წესრიგი გამოუცხადებიათ. როცა ანტონმა ყველა იქ დაიგულა, წინ წაღვა და ჩვეული სიღინჯით დაიწყო სკოლის სიკეთეზე საუბარი. ახსენა ქართლის ბევრი სოფელი, სადაც რამდენიმე წელია სკოლა მოქმედებდა და იქაური გლეხები „სალდათში“ წასულ შვილისათვის წერილის დასაწერად, მოკითხვის ბარათის შესაღვენად მღვდელთან და ბატონთან აღარ მიდიოდნენ, შინ ჰყავდათ დამწერიც და წამკითხავიც.

— სწორია! — იყვირა ერთი კუთხიდან სვიმონ გვიმრაძემ, — ხვალვე ვგზავნი ჩემს შვილებს სკოლაში.

— მეც, მეც ვგზავნი სკოლაში ჩემს შვილებს, — ხმა მისცა თედო ფიჩხნარაშვილმა.

— მე ვიზე ნაკლები ვარ,

რად ჩამოგრჩებით, — იყო ხმა ლომოურების ჯგუფიდან. ხალხი დაიბნა, გაიხანა და მერე ერთხმად დაიძახეს: — „გვინდა სკოლა, გვინდა!“ — „გამხიარულბუღბუღა“ — ანტონ ფურცელაძემ უშობელი წამოაქცია ხალხის თვალწინ და სალამოსათვის ყველა დამსწრე შინ მიიწვია.

სუფრა ანტონის სახლის აივანზე გაიშალა, ტრიალებდნენ მზარეულნი და ფარეშნი, თავმდგომნი და მერიქიფენი, ხმიანობდნენ გახალისებული გლეხები...

დინჯმა და ჩაფიქრებულმა თამადამ პირველ რიგში ანტონ ფურცელაძის სადღეგრძელო დალია, მერე კი თანმიყოლებით სვამდა ერისა და კუთხის, მოკეთისა და ახლობლის, მეგობრისა და მეზობლის სადღეგრძელოებს; სოფლის კუთხე-კუთხულს სწვდებოდა ტაშფანდურის ხმა, გუგუნებდა ომახიანი „სუფრული“ და „ოროველა“.

სუფრის აშლის წინ, უკანასკნელი სადღეგრძელო ანტონმა იწვია. მან დიდი მადლობა გადაუხადა გლეხებს სკოლის გახსნის თანხმობისათვის და მარაში პური, ქვევრებში ღვინო, ცხვარ-ძროხის სიმრავლე, ხარის ქედის გამძლეობა, ცის ნამის დროულობა, მარჯვენის სიმტკიცე და მრავალშვილიანობა უსურვა, მერე კი სავანგებოდ მათთვის გამართულ წარმოდგენაზე მიიწვია. აქი ივონებს ელისაბედ ჩერქეზიშვილი — ანტონმა მთხოვა, „ლიზა აქაურ გლეხკაცებს წარმოდგენა ვაჩვენოთ. მეც დავთანხმდი, ანტონის გრძელ და განიერ აივანზე სცენა მოვაწყვეთ, ვითამაშეთ „ხანუმა“, ანტონმა მთელი სოფელი დაპატიჟა უსასყიდლოდ, გლეხები აღტაცებულნი იყვნენ, ხოლო ანტონი უფრო ნასიამოვნები, რადგან ხედავდა გლეხების კმაყოფილებას“.

მეორე დღეს აწკრილდა, ახმინდა დიდი დასაწყისის მაუწყებელი ზარი, რომელიც არბოელ ბავშვებს სკოლისაკენ უხმობდა და ისინიც მიიქაროდნენ, მისწრაფოდნენ ცოდნის წყაროსაკენ. იღვა სიხარულისა და აღტაცების წუთი, საათი, დღე, რომელიც შემდეგ გაგრძელდა, გახანგრძლივდა... მერე ანტონმა მთელი შენობა დაუთმო სკოლას. ახლა კი ამაყად დგას ახალი ტიპური სკოლის შენობა, არბოს მშვენიერა, არბოელ ბავშვთა სწავლისა და შრომის გზის გამკაფავი ცოდნის ტაძარი.

აპთანდილ ჩხეიკე,
რესპუბლიკის დამსახურებული
მასწავლებელი.

ბიჭი

ბიჭი ვარო ქვეყანაზე!
გიგიმ უნდა თქვას...
ზურგზე საფქვეს მოიკიდებს
და წისქვილში ფქვეს.

ვაზისათვის ჰიგოს წვერებს
ბასრი წალდით თლის.
კრუხ-წიწილას დააუტრებს,
საბუღარში თვლის.

გურისტიდან ამოიტანს
ვედროებით წყალს,
სალამოთი ბაღჩა-ბოსტანს
გულმოდგინედ რწყავს.

ზღაპრების წიგნს წაუკითხავს
პაწაწინა დას,
სიზმრად გულში ჩაიხუტებს
სანისლიას მთას.

არ გამოქვით და... კიდევ
ხატავს.

არ უჩვენებს სხვას.
...ბიჭი ვარო ქვეყანაზე!
გიგიმ უნდა თქვას.

როცა ვხატავ

მზეს რომ ვხატავ,
ვთბები...
ჰოი, როგორ ვთბები!

ყვავილს ვხატავ,
ვტკბები...
ჰოი, როგორ ვტკბები!

ცას რომ ვხატავ,
ვფრინავ
უჩინარი ფრთებით...

მაგრამ უფრო ვთბები,
მაგრამ უფრო ვტკბები,
და ამომღის უფრო
ჯაღოსნური ფრთები,

თვალის უსწრაფესად
მისრულდება ნატერა,
როცა დედას ვხედავ,
როცა დედას ვხატავ!

ნანა ჩხიქიძე

ჩემი პატარა ბიჭები

ჩემი პატარა ბიჭები,
ჩემი სამოთხის ჩიტები,
რა უცბად წამომიფრინდნენ,
რა უცბად გახდნენ დიდები!

ხანდახან გამიკვირდება —
როგორ გაზრდილან ბიჭები?!
და უცბად გამახსენდება
მათი პირველი ბიჭები;

მათი პირველი ლექსები,
მათი პირველი სიტყვები...
მე მათთვის მინდა

სიცოცხლე
და მხოლოდ მათთვის
ვირჩები!

უკვდავი

ხაერ

ლავრანტი ჟიჟინაძე

იმერეთში იშვიათია ისეთი
სოფელი, რომელსაც დიდი ან
პატარა მდინარე არ ჩამოუ-
დიოდეს. მდინარე თუ არა,
ლეღე მაინც.

ჰოდა, ერთი დიდი სოფელი
ლეღით კი არა, მდინარით არის
განთქმული. ზაფხულობით იქ
საიდან აღარ მოდიან საბანა-
ოდ. იმ მდინარემ თევზიც ბევ-
რი იცის. ამიტომ არც მება-
ღური და მოანკესე აკლია,
ბავშვები ხელითაც კი იჭერენ
თევზებს.

წყნარი, კამკამა მდინარეა!
მაგრამ...

ხანდახან წვიმიანში ოო, რო-
გორი გაგიყება იცის, ისე
აქუნდება, ისეთ ტალღებად
აგორდება, ყველაფერს წაღე-
კვით ემუქრება. მომსწრენი
ჰყვებიან, ერთხელ ამ მდინა-
რეს წისქვილის მთელი შენო-
ბა ციმციმ წაუღიაო.

მერე რა?
ხალხი მაინც არ ემღურის.
ამბობენ: ჩვენი ემბაზიაო.

ხალხს იგი აღრიდანვე თა-
ვის სამსახურში ჩაუყენებია.
მარტო იმ ერთ სოფელში ორი
წისქვილია. ქვემო წისქვილს
ქვათაძეებისას ეძახიან, ზემო-
თას — მინდაძეებისას, სოფ-
ლის უმაღლეს ადგილზე ეკ-
ლესია დგას. ახლა იმ ეკლე-
სიაში არავინ დადის, არც
მღვდელი, არც მრევლი. მდინა-
რეზე გადმოყუდებულ კლდის-
თავზე კოშკია. სკოლა სოფელ-
ში უწინაც ყოფილა. ბავშვები
ფიტრულ ქოხში სწავლობდნე-
ნო. ახლა მის ადგილზე ორ-
სართულიანი ხასხასა წითელი
აგურის შენობა დგას. ის ძვე-
ლი ქოხი სკოლის ეზოს განა-
პირა კიდეში დაუდგამთ, თით-
ქოს იმიტომ: დაინახეთ, რო-
გორ სკოლაში სწავლობდნენ
იველადო.

ახალი დროის რაც არის
სოფელში, დიდმა და პატარამ,
ყველამ კარგად იცის. მაგრამ
როდის დაარსდა სკოლა? კოშ-
კისა და ეკლესიის აგების ამ-
ბავიცი საინტერესოა.

სოფელში ამის მცოდნე კა-
ციც ხომ უნდა იყოს!
არის კიდევ.

მისი სახელი შორსაა გავარ-
დნილი.

იგი მზრუნველი კაცია.
ლხინში თანაგრძობა, საბა-
რა სათქმელია!

ვაჭირვებაში?
ნამღვილი ტალკვესია!



მეზობელს შეუძლებელს შე-
აძლებინებს, გაუჩენელს გაუ-
ჩენს. იმედს უნერგავს ყველას.
სახელიც ზედგამოჭრილი აქვს.
იმედა ჰქვია.

იმედას არ უყვარს „არ ვი-
ცის“ თქმა.

ერთხელ მან თავისთავს ჰკი-
თხა: ვინმე რომ შეგეკითხოს,
ეს ჩვენი მდინარე საიდან მო-
დის ასე უხვადო?

ეს არ იცოდა იმედამ.
მაგრამ არ წამოცდენია: „არ
ვიცი“.

სამაგიეროდ გონებაში გაუ-
ელვა: მე თვითონ წავალ იქ,
მდინარის სათავეში, ვიხილავ
საკუთარი თვალითაო.

ერთ მშვენიერ დღეს...
მაშინ გაზაფხული იწურე-
ბოდა.

ზოგი მცენარე ჯერ კიდევ
ყვავილობდა, ზოგს ყვავილობა
არამც თუ დაემთავრებინა,
დამწიფებაც მოესწრო. ბალი
მწვანე ფოთლებში წითლად
ღუღღა, ჰაერი საამო სურნე-
ლით იყო სავსე. გადიდებული
დღე გულს უხარებდა მშრო-
მელ კაცს.

იმედაც გახარებული იყო,
რადგან დღის სინათლით მოივ-
ლიდა მდინარის სათავეს, მან
სისხამ დილით აიკრა გულა-
ნაბადი...

თუმცა, არავითარი გულა არ
აუკიღია, არც ნაბადი წაუღია,

ისე შინაურულად ჩაცმულ-
დახურულ დაადგა გზას, თი-
თქოს მეზობელთან მიდიოდა.

გზა მდინარის ნაპირს მის-
დევდა.

მიდიოდა იმედა, თან ფიჭ-
რობდა:

— სხვამ შეიძლება არც
მკითხოს, მაგრამ მე ხომ მა-
ინც უნდა ვიცოდე, ჩვენი
მდინარის სათავე როგორია?

არ შორდებოდა ეს კითხვა...
იმედა შეუსვენებლად მიდის
და მიდის.

მის იღბლად არც ისე შორს
არის ის მთა, სადაც მდინარე
იხადება. გზა მდინარის ხან
ერთ მხარეზეა, ხან მეორეზე.

ხედავს: მდინარე ზემოთ და
ზემოთ სულ პატარავდება და
პატარავდება.

იმედას სანუკვარი პასუხი
ჯერ კიდევ შორსაა.

ამბობენ: გზა სიარულმა და-
ლიაო.

ეს გზაც ილევა, ხოლო იმე-
და ფიჭრით ხან აწმყოშია, ხან
წარსულში: ნეტავ, ამ მდინა-
რის ამბავი ისეთი საინტერესო
თუა, როგორც ჩვენი სოფ-
ლის კოშკისაო? იმედას კოშ-
კის აშენების ამბავი მოაგონდა.

იმ კოშკზე ერთხელ ერთი
ახალგაზრდა შეეკითხა:

— ეს ჩვენი სოფლის კოშკი,
ნეტავ ვინ ააგო?

იმედას ამ კითხვაზე ჩაეცინა.

კარუსელი ჩოხეშვილი

აკრუსუნდა დათვის ბელი: — მტკივა თავი — მტკივა წელი — ნუ მომიტან, დედა, ფიჭას, პანტა-ვაშლსაც აღარ ველი!

წუხელ ბაღში მოიტანეს ჭრილა და ძველთაძველი, მალა, ცაში მოზრიალე ბევრი ჭრელი სავარძელი.

მინდა, დავჯდე, ჩემო დედა, მოვიარო მთა და ველი... თუ მომარჩენს, თუ მიშველის მხოლოდ, მხოლოდ კარუსელი.

კატის კნუტი

ფენსაცემელში ნუ იძინებ! ნუ სეირნობ მაგიდაზე! — რად დათხუნე მელნით წიგნი? ბებიკო რომ გამიბრაზდეს?

— ვიცი, სადაც იმალები, ამოძვერი მაგ ქვაბიდან! სად წაიღე ჭრელი წინდა? — ჩემს ჯიბეში რაღა გინდა?

მორჩა, უნდა გაგებუტო, გაუზრდელო კატის კნუტო!

ნყარო

— თონით გზები გამიკვალე, კარგი ბიჭი თუკი ხარო. ხეებმა და ყვავილებმა ხომ გინდა, რომ გაიხარონ? შენს ბოსტანსაც ვესტუმრები, — მოწანწკარებს სოფლის წყარო.

აბუზანა

თავუნიამ გაამზადა აბაზანა ცხელი: — ჩქარა, ჩქარა, წრუწუნებო, საბანაოდ გელით!

თამარ აბულაქა

პერხვეპი

უკვე დაზრდილან ვერხვეპი, შენ რომ დარგე და ახარე. რა ღრმა ფესვები გაიდგეს და ტანი როგორ აყარეს...

კვლავ წამოშალეს ფოთლები დღეს უჩვეულო შრიალით. ტოტი ტოტს გადააფარეს, ხატულა და ნუქრიანი.

შრილებენ და ფოთლები სახეში შემომაყარეს... უკვე დაზრდილან ვერხვეპი, შენ რომ დარგე და ახარე!

რატომ?! უთუოდ კოშკის აშენების ამბავის გახსენებამ გამოიწვია.

— სადაც კოშკია, იმ თვალსაწიერზე უწინ თურმე ერთი თავადი ცხოვრობდა. იმ თავადის შვილს სხვა სოფელში მცხოვრები თავადის ასულის ცოლად შერთვა განუზრახა. იქიდანაც არ დარჩა უბასუხოდ. სასიძოს კოშკი არ აქვს და ქალს როგორ ვავატანო. სასიძომ მაშინვე დაიწყო კოშკის აგება. რაც რამ გააჩნდა, სულ იმ კოშკის აშენებას გადააყოლა. ასე მოიგო სასიძომ სასიძამროს გული. იმედამ ისე უამბო ეს ამბავი, თითქოს მომსწრე იყო.

— მერე რად უნდოდა ის კოშკი? — იკითხა იმავე ახალგაზრდამ.

— ძველ დროში თავდაცვის საშუალებად იყენებდნენ. — იმ თავადის შთამომავალნი დღეს რომ აღარავინ არის აქ, სად წავიდნენ?

— კოშკის აგებამ ისე გააღარბა, რომ მის შემდეგ წელში ვეღარ გაიმართა, სული სიღარიბეში ამოხდა. მისი ნაშიერი აღარ დარჩა სოფელში.

კოშკი კი არის და არის ასე ხელუხლები.

მარტო ეს კი არა, ბევრი სხვაც მოაგონდა იმედს.

მდინარე ზემოთ და ზემოთ ისე დაპატარავდა, რომ იმედა სულ იოლად ხტებოდა ერთი ნაპირიდან მეორეზე.

ის უკვე მთის ძირს მიადგა. მიდის ისევ წინ.

აღარც გზა და აღარც მდინარე. სხვადასხვა მხრიდან ლეღები მოჩუხჩუხებენ.

თურმე... აი გამოცანა.

ლეღები ერთდებიან და ასე ჩნდება მდინარე.

იმედა ხან ერთ ლეღესთან მივიდა, ხან მეორესთან.

ლეღე იქ ბევრი იყო, ბოლოს მან თავისთვის თქვა, აბა, გამგონი იქ არავინ იყო.

— ამის მცოდნე ჩვენს სოფელში როგორ არ იქნებოდა. მეკითხა? არა! თვითონ რომ ვნახე, ამას სხვა ფასი აქვს.

ეს სიტყვები ისე გარკვევით თქვა, თითქოს გვერდით ვილაც იდგა და მის გასაგონად წარმოთქვა.

მთაში მღუმარება იყო გამეფებული.

იმ სიჩუმეში უბრალო გაფაჩუნებაც კი რაღაცნაირ გაშლივინებას ჰგავდა.

არ წყდება ქვევზე მოჩხრიალე ლეღების ლიკლიკი. ვინც ყურს მიუგდებდა... თუმცა, ყველა არა, მხოლოდ ბუნების მესაიდუმლე გაიგებდა, რომ ლეღე ამბობდა: მე ამ უკაცრიელი მთის მესაიდუმლე ვარო.

იმედამ გაიგო ეს. მან გული დაიამა.

დაბრუნებისას მთას უთხრა: — მაღლობა მთაო, მთაო, სათავევ სიწმინდისა და სიანკარისაო, დედავ ჩვენი მდინარისაო! — მზრუნველ მოამაგესავით გამოემშვიდობა.

ამის შემდეგ დაუყვა ბილიკს.

გამოსცდა მთას. თავი სოფელში ამოყო.

კარგა ხანს ისე იარა, არც არავინ წამოსწევია და არც არავინ შემოხვედრია, ერთი სურვილი ჰქონდა: ნეტავი, ვინმე მოსაუბრეს ვნახავდეთ.

ნატვრაც არის და ნატვრაც! მალე აუსრულდა.

ერთ ხანდაზმულ კაცს თვითონ წამოეწია. უბრადა ხომ არ ჩაუვლიდა?

— გამარჯობა! — მიესალმა იმედა.

— კაცი ნელა შემობრუნდა, უცნობს დაკვირვებით შეხედა, თვალი აავლ-ჩაავლო, გვიან უპასუხა: — გაგიმარჯოს!

— აქაური ხართ? — შეეკითხა იმედა.

— ამ უბანში ვცხოვრობ, — უპასუხა. მერე იქით შეეკითხა: — თქვენ საიდან?

— ქვემო სოფლიდან, ვაკნარს რომ ეძახიან.

— აქ ვისთან?

— მთასთან!

ამ პასუხის გაგონებაზე ისე შეკრთა ეს ასაკით დამძიმებული კაცი, გეგონებოდა, რაღაც დაეტაკაო. გვიან იკითხა: — რაო, მთას რა ამბავი ამოუტანე?

— ამოსატანი მე არა მქონდა რა. მასთან ვიყავი ამბის ვასაგებად.

— მთამ რა იცის, რომ შენთვის ეთქვა?

— იცის, იცის!

— მაინც, რა?

— ჩვენს სოფელში მდინარე ჩამოდის და, — უთხრა რაც უნდოდა.

— ეგ არ შეეშლებოდა, —

ისე უპასუხა იმუბნელმაც, თითქოს მთაც სულიერი და მეტყველი იყო.

— მეც რა კარგი დრო შევარჩიე აქეთკენ სამგზავროდ. ახლა დიდი დღეებია. დღეს გუშინდელზე მეტი დღეა. მიხარია.

— შენ გიხარია, ახლა მე მკითხე!

— რა არის საკითხავი? ხომ ხედავ, დღე თანდათან დიდდება.

— ეგ კი დიდდება, სამაგიეროდ ჩემი სიცოცხლე მცირდება. ახლოვდება ის დრო, როცა იტყვიან: ბაჩო იყო და აღარ არისო.

— ჰოი! — გრძლად წარმოთქვა იმედამ ეს პატარა სიტყვა. ამით თითქოს თანაგრძნობა გამოხატა. მერე კი შეეკითხა: — შვილი თუ გყავს?


— შვილი კი არა, — თქვა და შეყოვნდა ბაჩო, იმედამ გაიფიქრა: უშვილიძირო ყოფილა, დარდი შემოსწოლია და ამიტომ განიცდის დღის გადიდებას თავის სიცოცხლის შემცირებადო. ალბათ, მემკვიდრე არა რჩებაო, მაგრამ, როცა ბაჩომ წარმოთქვა: შვილები მყავს! გაუხარდა იმედს, თითქოს თვითონ შეეძინა შვილი, ეკითხება: — რამდენი?

— ხუთი ვაჟი და ორი ქალი. იმედამ ჯილდომიღებულ კაცის იერი მიიღო.

— ჰოდა, ამის შემდეგ როგორ ამბობ, სიცოცხლე მიმცირდებაო. შვილი შვილი ხომ შენი სიცოცხლის გაგრძელებაა. უფრო მეტიც: ჩვენი სამშობლოს უკვდავება. მიხარია, შენისთანა ბენდიერ კაცს რომ შევხვდი დღეს. შენ უკვდავი ბაჩო ყოფილხარ.

ბაჩომ თვალი ისე გაუშტერა იმედს, თითქოს დღის სინათლე ახლა დაინახაო.





„კამაზმა“ ამოიხვეწა და გზის პირას მდგარი შარვლიანი, გამხდარი გოგოს გვერდით გაჩერდა.

— დაბამდე არ მიმიყვანო?

— რომელ დაბამდე?

— ნუ გეშინიათ, გადახვევა არ მოგიწევთ. ამ გზაზე, აკილომეტრში.

— დაჭკით.

გოგომ ზურგჩანთა კაბინაში ააგდო და თვითონაც ცოცხვით მარდად ახტა, მოუსვენარი, ცისფერი თვლებით მძღოლს გაუცინა და კარი მოიჭახუნა.

ალექსიმ მანქანა დაძრა, სიგარეტის ბოლისაგან თვალბეზღობით სანათს დახედა. შვიდი ხდებოდა. გზის ორივე მხარეს გადაჭიმულ უკიდურეს სტეპს მოავლო თვალი. ქობიცი კი არ ჩანდა არსად.

„ახე დილაადრიან ამ ტრიალ მინდორში საიდან გაჩნდა?“ — გაიფიქრა გაკვირვებულმა. ხველა აუტყდა და სიგარეტი ფანჯარაში მოისროლა.

— ცხენების რემა გზიდან ოც კილომეტრში, იქიდან მოვდივარ, — გამოეხმა აქირალა ხმით გოგო. — ზოტქენიკოსი ვარ. ამ საღამოსვე უნდა მოვასწრო დაბრუნება და ასე ადრე იმიტომ გამოვედი.

ალექსიმ თავი უსიტყვოდ დაუქნია, სიგარეტი ამოიღო და მოუკიდა.

— ბევრს ეწევით.

ალექსიმ მხრები აიჩჩია. ნაფაზი დაარტყა და წამოახველა.

— აი, ხომ ხედავთ?

— გაყვარს ცხენები? სიტყვა ბანზე აუგდო ალექსიმ.

— ძალიან!

— მეც მყავდა ბავშვობაში ცხენი. ... ცხენს „ქორია“ ერქვა. მამამ აჩუქა კვიცი. ფეხმალა და მკერდგანიერი დოღის ცხენი დადგა. ალექსის გარდა არავის იკარებდა.

ერთხელ თავმჯდომარემ ითხოვა ცხენი. ითხოვა კი არა, მოითხოვა. რაიონში მივდივარ და მჭირდება. ალექსი შინ არ იყო.

თავმჯდომარეს „ქორია“ შეუკაზმეს და ჩაბარეს. ცხენმა იუცხოვა, მაგრამ თავმჯდომარე ძველი კავალერიისტი იყო და ასე იოლად პოზიციის დათმობას არ აპირებდა. მთარაზი გადაუჭირა და გემრიელი გინებაც მიაცოლა. „ქორია“ ყალბზე შედგა, მხედრის ჩამოგდებას ეცადა. ძლიერმა ხელმა ადვილი დაქაჩა და ცხენს კისერი მოუღრცა. „ქორიამ“ თავის განთავისუფლება მოინდომა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა და გამწარებულმა ლაგამი გაღება. მთარაზმა კიდევ ერთხელ გაიშხულია და ცხენი გვერდულად, თხზარით გაქენდა.

მოსახვევს არ იყვნენ შიფარებულები, რომ საიდანაც ალექსი გაჩნდა, სირბილისაგან აქოშინებულმა სახელოთი შუბლზე ოვლი შეიწმინდა, მამას საყვედურით გადახედა, მერე უცნაურად მოხტუნავე ცხენისაკენ მიბრუნდა და მთელი ხმით იყვირა:

— ქორია!

„ქორია“ უცებ დატრიალდა ადგილზე, წინა ფეხებზე ჩაჩოქა, სწრაფად გაიმართა და მოულოდნელად მთელი ტანით ახტა ჰაერში, მერე, ძირს დაშვებულმა, ტლინკები ჰყარა. თავმჯდომარეს პორტფელი გაუვარდა და წაეცანა, ადვილი გაუსხლტა ხელიდან და ის იყო ცხენს ფაფარში უნდა სწვდომოდა, რომ მიწაზე წაღართანი მოადინა.

განთავისუფლებულმა „ქორიამ“ დაიბნინა და ბიჭისაკენ გამოქანდა. მამამ ალექსის ყასიდად მოუქნია სახრე და ჩახახულა, ხმამალა რომ არ გასცინებოდა. ჭიშკართან მოგროვილმა მეზობლებმა ფხუკუნი ატეხეს.

თავმჯდომარემ ძლივს აითრია წელი, პორტფელი აიღო, შარვალი ჩამოიფერთხა და ცხენს გამოხედა ილილიდან.

— დამთხვეულები ხართ თქვენცა და ეგ თქვენი ცხენიც! თფუი, თქვენი!.. — გადააფურთხა და კოჭლობ-კოჭლობით დაადგა გზას.

მოსიერიანი დაიშალნენ, ბიჭი და ცხენი მარტო დატოვეს.

ომი რომ დაიწყო, საყოველთაო მობილიზაცია გამოცხადდა და თავმჯდომარის განკარგულებით „ქორიაც“ წაიყვანეს...

— ეებს! ოდესღაც კარგი მოჭირითე ვიყავი... ახლა სადღა შემიძლია! — ამოიხრა ალექსიმ. ნაღველი და ტკივილი გაერია ხმაში და შეცბა, უნებური წუწუნის შერცხვა და უხერხულობის დასაფარავად ჩამქრალ სიგარეტს მოუკიდა.

გოგომ თქანაგრძნობით შეხედა.

— დიდი ხანია ცხენზე არ მჯდარხართ?

— არც კი მახსოვს, ბოლოს როდის ვიჭეკი.

— აბა, საიდან იცით, რომ ახლა აღარ შეგიძლიათ?

— გამამხნევე, გოგონი, გამამხნევე! — ჩაიცინა ალექსიმ და ღრმა ნაფაზი დაარტყა. კვლავ წამოახველა.

გოგომ საყვედურით გადააქნია თავი და ალექსიმ სიგარეტი გადააგდო. ორივეს გულიანად გაეცინა.

საოცარი სიახლოვე იგრძნეს. გოგო ხომ სულ გაშინაურდა. დაბამდე არ გაჩუმებულა. ათას რამეს მოჰყვა. ღრო შეუმჩნევლად გაფრინდა. დაბასაც მიადწიეს.

— თუ შეიძლება, აქ ჩაუხვიეთ, ხუთასიოდ მეტრში ვცხოვრობ. ზურგჩანთა რომ არა, არ შეგაწუხებდით.

მანქანა ერთხართულიან, მწვანეში

ჩაფლული სახლის ღობესთან გაჩერდა. უოლოს ბუჩქთან მოფუსფუსე ჭაღარა კაცი წელში გაიმართა, ბარი ვაშლის ხეს ფრთხილად მიაყუდა და ხელების ფშვნებით ღობეს მოადგა. გოგომ მანქანიდან ისკუპა, ადგილიდან არ დაიძრა, ალექსის „უბრძანა“ და ჭიშკარი შეაღო.

— მამა, მიხედვი! — თავით ანიშნა ჭაღარას და სახლის თეთრ კარებში გაუჩინარდა.

ალექსი ჩამოვიდა, მანქანას შემოუარა, კაბინის მეორე კარი გააღო, ზურგჩანთა აითრია და შემოგებულ სახლის პატრონს ღმილით გაუწოდა.

— შორს მიდისხართ, ალბათ, და ჩვენმა თხამ კი გზა გავიმრუდათ.

— ბევრი არაფერი დაშვებულა. პირიქით, გზა ვამიოლდა.

— სტეფანე! შემოიპატოე სტუმარი, რა კარებში გაიჩნირე? — გამოსძახა კიბის თავზე წამომდგარმა ხნიერმა ქალმა. წინსაფარი ჩამოიფერთხა და მსუბუქი ნაბიჯებით ჭიშკარს მიაშურა.

— შემობრძანდით, ცოტა ხანს დაისვენეთ!

— გმადლობთ, მეჩქარება და ვერ გავჩერდები, უნდა წავიდე. აბა, კარგად იყავით!

— კატენკა! სტუმარი მოიყვანე და მიატოვე? კარგი მასპინძლობაა, ვერაფერს იტყვის კაცი!

კატენკა, ალექსის თანამგზავრი, კარებში გამოჩნდა. ტანთ გამოცევალა. თელი ცისფერი კაბა საოცრად უხდებოდა.

სწრაფად ჩამოირბინა კიბეები. ხელში ორი პარკი ეჭირა.

— დედა, ეჩქარება, ისედაც დავაკარგვინე დრო. — ალექსის მიუბრუნდა. — აი, ესენი გამომართვით, ჩვენი ბაღის ვაშლია, ამაში კი ქათამი და შინაური ღორია.

ალექსი უხერხულად შეიშმუნა.

— ნუ გეშინიათ, მგზავრობის საფასურად არ გაძღვეთ, — გაიცინა გოგომ. — გამომართვით, თორემ მაწყენინებთ.

ალექსიმ პარკები ჩამოართვა, გაიღმა და მანქანისაკენ უკან-უკან წავიდა. კატენკა კარის ვალებში მიეშველა და გვერდზე მიდგა.

ალექსიმ მანქანა მოაბრუნა, ხელი დაუქნია და ხრეშით მოფენილ შუკას ფრთხილად მიჰყვა.

„არა, რაც არ უნდა თქვა კაცმა, კარგი ახალგაზრდები გვეზრდებიან. ცოტა უცნაური ხალხია, მაგრამ მაინც კარგები არიან. ისე, არც ჩემი ბიჭია ცუდი. ეგაა ოფოფები უზის

თავში... ჰმ! ჩვენ რა, არა გვეყავდა, თავის დროზე? აი, მე... მყავდა და მერე რამდენი!“

...საშუალოზე დაბალი, მაგრამ შეკრული, კუნთებაღვეული ალექსი ბრწყინვალე მოჭიდავე იყო, ახლომხლო სოფლებში ბადალი არა ჰყავდა.

ომი ახალი დამთავრებული იყო, მეზობელ სოფელში კვირა დღეს ჭიდაობა რომ გაიმართა.

ერთმა ქალაქელმა ახმახმა კაცი არ დატოვა წაუქცეველი. ბოლოს ალექსი დააჭიდა. ქალაქელი ორი ალექსის ხელა იყო.

ცოტა ხანი ზვერეს ერთმანეთი და მოულოდნელად გარეკავურით ეს ამხელა კაცი ალექსიმ ბეჭებზე გააკრა.

მსაჯმა რატომღაც არ ჩათვალა. ჰოდა, მაშინ მოხდა, რაც მოხდა: ალექსიმ არც აცია, არც აცხელა... თავურით შეასკდა მსაჯს. რა ამბავი ატყდა, რომ იცოდეთ.

დაერგა ეს ამდენი ხალხი ერთმანეთს და დააღლიტეს თავ-პირი. ალექსისაც ბევრი მოხვდა, მაგრამ ვინც მისი „თავური“ იგემა, კარგა ხანს არ დავიწყებია მერე.

მაშინ დაეკერა მეტსახელი — „ჭიპრანა“.

ალექსის ჩაეცინა.

შუადღეს კარგა ხნის გადაცილებული იყო, როცა შიმშილი იგრძნო. მანქანა გზიდან გადააყენა, პარკი გახსნა და ქათამი ამოიღო. შადის აღმძვრელი სურნელი დატრიალდა. ღორი რაღაც განსაკუთრებული წესით იყო დამზადებული, ალექსის ძალიან მოეწონა.


— უოჩად, სტეფანე! — წამოიძახა კმაყოფილმა, რატომღაც დარწმუნებული იყო, რომ სწორედ სტეფანეს ნახელავ ღორს მიირთმევდა.

„კარგი ხალხი. გავიცანი, მადლობა ღმერთს. კეთილი სჭარბობს ამ ქვეყანაზე.“

ცუდიც ბევრი შეხვედრია.

... სახამთროს ეხილებოდნენ ალექსის და „შავტუნას“ მანქანებით. ერთგან გზა დიდ რკალს უფილა და გადაწყვიტეს, მინდორ-მინდორ მოეჭრათ, რამდენიმე კილომეტრი მოეგოთ.

ერთი კილომეტრიც არ გაეფლოთ, წვიმამ რომ დასცხო. მყარი მიწა თვალის დახამხამებაში ფაფად იქცა და ორივე მანქანა შიგ ჩაეფლო. რამდენი არ იწვალეს და იჯახირეს, მაგრამ მანქანები არა თუ ამოათრია, უფრო ღრმად ჩაფლეს. ამასობაში ღამეც წამოეპარათ. უახლოეს დასახლებამდე ორმოცი კილომეტრი



მანც იქნებოდა და რა უნდა ექნათ, გათენებას მინდორში უნდა დალოდებოდნენ.

მთელი დღის უჭმელეებს შიშშილმა აუწვათ გულ-მუცელი, მაგრამ გრამი პურიც კი არ ჰქონდათ და ითმენდნენ, მეტი რა ჩარა იყო.

ინათა თუ არა, ტალახში ამოგანგულული ალექსი გზაზე გავიდა, იქნებ დამხმარე ვნახო.

მთელი საათის ლოდინის შემდეგ, როგორც იქნა გზაზე „გაზიკი“ გამოჩნდა. ალექსი გადაუდგა. მანქანა გაჩერდა და კაბინის ფანჯარაში დიდი, ოთხკუთხედი თავი გამოჩნდა.

— რა გინდა, რას მივარდები მანქანაში? — ავღებულად ამოიროხროხა დიდათავაშ.

— შეგობარო, — დაიწყო ალექსიმ თავაზიანად, — იქნებ გვიშველო, ა? გზიდან ერთ კილომეტრში მანქანები ჩაგვეფლო. ათ-ათი ტონა საზამთრო გვიღვეს და ფუჭდება. ვერაფრით ვერ ამოვედით. მეორე დღეა, აქა ვყრივართ. იქნებ დასახლებამდე მიმყოფანო? ან ტრაქტორს ვნახავ, ან სხვა რამეს.

— მერედა, რას მიძვრებოდით ამ სტეპში? ვერ წაგიყვან, ადგილი არა მაქვს. სხვა ვინმე ნახე. დადიან ხანდახან ამ გზაზეც, — ირონიულად გაიღრვიჯა.

— იქნებ... იქნებ ვინმე ტრაქტორისტი ნახოთ დაბაში და გამოაგზავნოთ? ფულს გადავუხდით, რა თქმა უნდა.

— მეტი საქმე არა მაქვს ტრაქტორისტი მოუძებნე ამასი.. მეჩქარება, მალევე უნდა დაგბრუნდე.

— კარგი, რა გეწყობა, — გაშალა ხელები ალექსიმ და თავჩადუნულმა დაამატა, — ორი დღის უჭმელეები ვართ და იქნებ პური გამოიყოლოთ დაბიდან უკან დაბრუნებისას.

„გაზიკმა“ ერთი შებოლოა ალექსის და თვალს მიეფარა.

შუაღლე მოახლოვებული იყო, როცა „გაზიკი“ გამოჩნდა.

ახმახი ზღაზენით გამოძვრა კაბინიდან, მუჭით მზესუმზირა ჩაიყარა პირში, ძარას მხრით მიეყრდნო და დამცინავად გამოხედა ალექსის:

— შენ, ეი, პური გინდოდა?

კაბინიდან ნითხითი მოიხმა და ალექსიმ ახალა შეამჩნია წვერგაუპარსავი მწითური კაცი. ახმახის ტონმა არასასიამოვნოდ გაჰქენწლა, ცუდის მოლოდინში ალექსი დაიძაბა.

— ორი ცალი პური მაქვს. თუ გინდა, გაგიცვლი. თითოში ოცი საზამთრო მომეცი, ნაკლებად არ იქნება! — გადმოუყარა უანგიანი კბილები. ალექსის თვალები დაუბრმავდა, სისხლმა კინაღამ ამოასხა ყელიდან. უცებ გაიშალა შეკუმშული ზამბარასავით, გაფრინდა და ახმახს თავით ეძვრა ცხვირპირში. ახმახს სახე მყის სისხლით შეედება, თვალები გადაატრიალა და ჩაიკეცა ცარიელ ტომარასავით.

მწითური კაბინიდან ჩამოხტა, ხელში ქანხალები ეჭირა. მანქანას შემოურბინა და ალექსის რკინა მოუქნია. ალექსიმ მოასწრო და სახელო დაუქირა, ზურგი შეაქცია, მხარი დაიქნია და მწითური მთელი ძალით დაასკდა ასფალტს.

ამასობაში „შავტუხა“ გონს მოეგო და ალექსის მივარდა დასამშვიდებლად. ალექსიმ ხელით მოიცლია, შებრუნდა და დაბისაკენ მიმავალ გზას დაადგა.

ერთხელ გარაუში შეესწრო, „შავტუხა“ მისი ჩხუბის ამბავს რომ ჰყვებოდა. პატივმოყვარეობის ჭიამ ხასიათონოდ შეუღიტინა.

— შენ რა ყოფილხარ, კაცი?! — აღტაცებულმა შესძახა ვიდაცამ.

— ერთი, თქვენც, მოგცილიათ! — ყასიდად გაუწყრა ალექსი და გასცილდა...

ალექსი ჰამას მორჩა, ხელები შეიწმინდა და ჯიბიდან წამალი ამოიღო. ორი პატარა აბი ხელის გულზე

დაიყარა, დახედა და გაბრაზებულმა ფანჯარაში მოისროლა.

...პირველ ხანებში, როცა ავადმყოფობა აღმოჩნდა, მაგრად შეშინდა და ექიმის დანიშნულ დიეტასაც მკაცრად იცავდა. მერე თანდათან შიშმა გაუარა და ვიღაც ახსოვდა დიეტა.

ერთ საღამოს კეფაში ისეთმა ტყვიელმა დაუარა, თვალთ დაუწუნდა. დამფრთხალმა ცოლს დაუძახა და მეზობელი მოაყვანინა. წნევა გაუსინჯეს და ნორმაზე ბევრად მაღალი აღმოჩნდა. ექიმის გამოძახება არაფრით არ დაანება, გამივლისო. მეორე დღეს, როცა უკვე უკეთ იგრძნო თავი. ცოლმა მორიდებით შესთავაზა, ექიმთან წავიდეთ, იქნებ საავადმყოფოში დაწოლააო საჭირო. რა ავად, რის ავად, შემთხვევით თავი წამომტყვიდა და შეყარეთ ახლა ქვეყანაო. არავისთან წამოგცდეთ, ალექსი ავადააო, თორემ მე ვიცო, რასაც ვიზამო, გააფრთხილა სასტიკად ცოლშვილი.

ამ ამბიდან დიდი ხანი არ იყო გასული, მეგობრები ესტუმრნენ. სანამ სუფრა გაიშლებოდა, ნარდის თამაშს შეტყვენ კაცები. ბიჭიც ეთაზნედა ალექსის და სამი ხელი ზედიზედ წააგო. ალექსიმ დასცინა, ბიჭიც აპყვა, ნარდში კი მაჭობე, მაგრამ მოდი, აბა, ხელი გადავწიოთ, ვნახოთ, ვინ მოერევაო.

ყველასათვის მოულოდნელად, ალექსიმ გაბრაზებულმა უყვირა ბიჭს, როგორ მადრე ეგაო.

ბიჭს ძალიან გაუკვირდა, მერე ყველაფერს მიხვდა და ხმა არ ამოუღია.

საქმე იმაში იყო, რომ პირველად მაშინ შეეშინდა. არა, იმის კი არა, რომ შვილი დასძალავდა, მკლავს გადაუხრიდა და შეარცხვენდა. პირიქით, უხაროდა ბიჭის დავეუკაცება. მოახლოვებული სიბერის შეეშინდა და იმიტომ დაუცაცხანა ვაიშვილს. იმასაც მიხვდა, რომ ბიჭმა გამოიცნო მისი გამწარების ნამდვილი მიზეზი და ამანაც გააბრაზა.

რამდენიმე დღის შემდეგ სამუშაოზე უფრო მოჭკრა, შორეულ რეისში აპირებდნენ მანქანის გაგზავნას და მოითხოვა, მე წავალო. შესთავაზეს ვინმე ახალგაზრდას გააყოლებთ. გზაში არ გაგიჭირდეს, ხომ იცი, დაბერდი, ძველებურად აღარ შეგიძლიაო. იწყინა. ცინგლიანებს მატენით, გზაში მაგათ გადავიძება-მოსულიერებას მოვუნდები და ისევ მარტო წავალ, ის მირჩენიაო. მოკლედ, თითოდან გამოწოვილი მიზეზით ეცადა წყენის ნამდვილი მიზეზის დამალვას. განა ადრეც არ აყოლებდნენ დამხმარეს, მაგრამ მაშინ სიბერე და შეძლება არავის არ უსენებია. თუმცა, შეიძლება უხსენებიათ კიდეც, მაგრამ არ ახსოვდა, უფრო სწორედ, საკუთარი ძალის რწმენის მღრღნელი ეჭვის ჭია ჯერ არ გასჩენოდა მაშინ...

რამდენიმე წლის წინ ამ მანძილს ერთ კვირაში ფარავდა, თითქმის არსად არ ჩერდებოდა შესასვენებლად. ახლა კი... აი უკვე ათი დღეა მოდის და ამ ოხერ გზას კიდევ არ უჩანს ბოლო.

გზისპირა მაჩვენებელმა ამოყვინთა.

„10 კილომეტრი ჯვრის უღელტეხილამდე“ — მოჭკრა წარწერას თვალი და დამიმებული გუნება ცოტათი გამოუქეთლა.

ავტონისპექციის საგულშაოისი იღე ჩაუქროლა, არ გაუჩერებინათ. „ქარგი ნიშანია“ — გაიფიქრა და სარკეს თვალი ჩაუკრა.

აღმართში მანქანას გაუქირდა, სიჩქარე დაეცა. — მიდი, ნუ მარცხვენი — შეუძახა და სიჩქარე გადაართო.

მანქანამ, თითქოს მართლა შერცხვაო, დააცემინა, მერე დაძლმუვლა და განახლებული ძალით დაიწყო გზის ყლაპვა. — აი, ეს უკვე სულ სხვა საქმეა! — შეაქო ღიმილით.

ჩახვეული დაღმართი დაიწყო. სიჩქარე სამოცდაათამდე ავიდა. მუხრუპს დააწვა და სიჩქარე სამოცამდე დაიყვანა.

სამოცი კილომეტრი ამ გზაზე საკმაოდ სახიფათოდ ითვლებოდა. ხანდახან, როცა თანამგზავრი ახლდა, განგებ უჩქარებდა მოსახვევებში და მერე გულიანად ოცინდა ფერდკარგული თანამგზავრის შემხედვარე.

არც ახლა ანელედა სიჩქარეს მოსახვევებში, ისევე იმ ძველებურ აზარტს გრძნობდა. ტბებოდა საკუთარი ოსტატობით.

ოთხი თუ ხუთი ზიგზაგიც და მერე ლარივით სწორი დაღმართი იწყებოდა.

მოსახვევთან მთიდან ჩამოგორებულ ლოლს მოჭკრა თვალი.

— გზის გასუფთავება ეზარებათ! — ჩაიბურტყუნა უკმაყოფილოდ და მუხრუპს დააწვა.

მანქანამ სვლა შეანელა. პედალიდან ფეხი აიღო და ისევ დააწვა. ასე აკეთებდა ხოლმე, ამბობდა, მანქანასაც სული აქვს, თანდათან უნდა გააჩერო, აბა წელში ხომ არ გაწყვიტავო.

დააწვა და... უცებ რაღაცამ დაისხინა, მერე დაიწვილა და გრძელი ფშინვა ამოუშვა.

„მერის რეზერვუარი გასკდა! — დასცეცხლა თავში. — მუხრუპი...“ საქმე მექანიკურად, ელვისებური სისწრაფით კლდის კედლისაკენ მიაბრუნა, ლოლს ჩაუქროლა და მოსახვევში უკვე სამოცდაათი კილომეტრით შევარდა.

„კიდევ სამი მოსახვევია.“ — გაუელვდა და საქმე ტყვიელამდე ჩაბლუჯა. სპილომეტრისაკენ გაექცა თვალი — ისარი ასხა და ასოცს შორის კანკალებდა. შუბლიდან ჩამოდენილმა ოფლმა თვალი აუწვა. საქმეს ძლივს ააღლიტა ხელი და ოფლი სწრაფად ჩამოიწმინდა.

სიჩქარის ბერკეტს დაეჯაჭურა. — პირველში მანც გადავრთო ეს ოხერი! უხ შენი!... — შეიგინა უმისამართოდ და მთელი ძალით დააწვა ბერკეტს.

მანქანა ახრიალდა, მერე ამოიღმულა და სიჩქარე ოდნავ შეანელა. მორიგი მოსახვევი საშინელი სისწრაფით ახლოვდებოდა. ხელები აუკანკალდა დაძაბულობისაგან. „კამაში“ აჭრიალდა, კული მოიქნია მკვეთრი შემობრუნებისაგან. შემდეგ გასწორდა და ისარივით გაიჭრა წინ.



ქონუ კონიონ კაირონი

ჯეალ იხაი

დეკაბრისტის საფლავი

ორ ბოროტებასთან ბრძოლა გვესხმება

ასე ითქმება თუკი, —
ერთს ჰქვია თვითმპყრობელობა,
მეორეს — თურქი.
შენი ქუსლის ანაბელები ატყვია
სენატის მოედანს მუდმივად.
გწამს: არ ღირს ცხოვრება დეკაბრისტის ნატყვიარ
მუნდირად.

ახლა განაჩენს წაგითხავენ ხმაშაღლა,
არ ჩამოგვიდებენ კახოვსკის მსგავსად.
მარსი რომ გაბრწყინდება ამაღამ,
საპურობილეში გიკრავენ თავსა.
მარსი ომის ღმერთია და გიშველის —
ჭარს ჩაგაბარებს და შვარას,
მუნდირს სამხრეები დაგიშვებენს,
ტულის ორღესული — შარვალს.
თავს მოიწონებ გენერლის სამხრეთი და
აღარ მოსცილდები უნაგირს.
მოძალბეულ თურქს გადარეკავ სამხრეთიდან,
მონახოს თავისი ბუნაგი.

ახალციხეში ქართულ პურმარხს
იღებ მეგობრების ხელიდან.
არის ქრისტიანი და არის სტუმარი —
ხიხვს შეექცევა მხედრული ელიტა.
ავბელითი ღლე გაგითენდება გენერალს,
გესვრიან (განა ამურის ისარს),
სისხლისგან იცლები, რული გირევა.
მტრისასი..

შენ გახსოვს უკან როგორ იხვედნენ
ღუშმანის ნაწილები მიჯრით...
ახალციხიდან გორის ციხემდე
ცოცხლად მობრუნება გიჭირს...
და მიგაბარებს მიწა ქართული,
ყენობის და კრივის უბანი.
შენ დეკაბრისტად ხარ მონათლული,
რითაც ამაყობს გორი — შენი ჭირისუფალი.
ჩვენ დავიწყების ავაცალეთ შენს საფლავს ჭავსი
და მეგობრობის მატანეც აქ მინდა ვფურცლო.
ამ ასწლეულში დღეს პირველად გავტეხეთ ნავსი
და ჭიქას გიქცევთ სამარტზე, მამაცო ბურცოვ!

მოგონება

ამისრულდება სიხმარი კრული:
უიმედობით მიბორგავს გული.
უბედურების ავარდა ქარი,
თვით სიყვარული, აისი, დარი
გადამიღებავს უკვე შავადა.
ჩემს ხელთ რომ იყოს,
არ ძალმიძს, თორემ
მოგონებასაც ამ ქარს გავატან!

სწუხს სული ჩემი

სწუხს სული ჩემი, დაჭიმე სიმი,
ვიდრე მე ძალმიძს, გისმენდე კიდევ.
არფის ფაქიზი ჰანგების ქვეთინს
სხვა ძალა აქვს და ვერ განვერიდე.

თუ ამ გულს სცნობდა იმედი ოდეს,
ახალ სიცოცხლეს
კვლავ მოჰგვრის ბგერა,
თუ თვალში ცრემლი ფარული კრთოდეს,
ის ჩემდა შვებდა იბრწყინებს, მჭერა!

მაგრამ იცოდე, სიმღერა შენი,
რომ უნდა იყოს მწველი, მძვინვარი.
ჩემი ხვედრია ტირილი, ცრემლი —
სხვა რით დავადნობ
დარდის მყინვარებს.

გულს ჩემსას სევდა ჰფარავდა მიწყვი
და გაითანგა უძილო ბანგით,
მას გზა ერთი აქვს —
დანებდეს სიკვდილს,
ანდა ტყვედ იქცეს ჯადოსნურ ჰანგის.

ინგლისურიდან თარგმნა ინესა მარბიშვილმა.

აკითხვია საკუთარ თავს

ღმერთი, ბუნება,
სიჭაბუკე უბადლო ეშხით
ლამპარს სათუთად სდარაჯობდნენ,
ანთებულს ჩემში.
თუმც რომანელმა,*
ვინც ამაყობს თავისი ძალით,
სამივე ერთად დაამარცხა, ჩააქრო ალი.

*. რომანელი — ერთ-ერთი ექიმის გვარია.

— დედან ვიტყვებ, იცოდე! —
გააკრძუნა კბილები ალექსიში.

ოფლმა ისევ აუწვა თვალეები. ოფ-
ლი ახლა უკვე თავის გაქნევით მოი-
ცილა და შემდეგი მოსახვევიც
ცხვირწინ გაჩნდა. საჭე „მოტეხა“.
მანქანა მარჯვენა მხარეს გადახარა
და ორ ბორბალზე დადგა. მარჯვნივ
დაქარა მკეთრად საჭე და მოსახ-
ვევს გაცილებული „კამაზი“ მძიმედ
დაეხეთქა მარცხენა მხარეს.

— არ მოგეწონა? ვერ მომერევი,
იცოდე!

უცებ წინ მიმავალი მანქანა დაინა-
ხა. „ზაპოროეცი“ ფრთხილად მი-
ლოდავდა შუა გზაზე. ალექსი სიგ-
ნალს დააწვა ინსტიქტურად. მანქა-
ნას ხმა არ ამოუღია. „უუუ... ჰაერი,
ჰაერი რომ არა მავცხ...“ გაიფიქრა
გამწარებულმა და აქსელერატორს
დაარტყა რამდენჯერმე ფეხი, „კამა-
ზი“ აღმუფელდა. „ზაპოროეცის“
მძღოლმა თავი გამოყო და საშინე-
ლი სისწრაფით მჭროლავ მახინახ
ბრყიყულად გაუღიმა. უცებ გონს
მოეგო, თავი სასწრაფოდ დაშალა
და „ზაპოროეცმა“ ბეწვზე მოასწ-
რო გვერდზე გატრიალა.

— გადარჩი, შე უტვინო, ვიღაცა
ხარ! — გამოსცრა და ბოლო მოსახ-
ვევში კლდის შვერილს გამოდებული
ძარის ჰახანიც გაიხმა. მანქანამ ჭიუ-

ტად გაიწია უფსკრულისაკენ, მაგ-
რამ რაღაც სასწაულით გასწორდა,
გზის პირას გაჩერებული „მოსკვი-
რის“ კარზე უღარდელად აუღებულ
ავტონისპექტორს მტვერი მიაყარა
და კლდეში გაჭრილ ღარში შეიჭრა.
ინსპექტორმა ფრუტუნ-ფრუტუნით
დააძრო ჭიბიდან სასტენი და მთე-
ლი ძალით ჩააბერა. ალექსის ყურს
გაბმული სტვენა მისწვდა.

— წადი, შენი!... — აღარ დაამ-
თავრა.

გზა გასწორდა, გაიშალა და ხად-
ლაც შორს დაექანა.

სპიდომეტრის ისარი ასორმოცზე
დარტობილ შემწვლედველ პატარა
პალოს გამწარებული ურტყამდა.
მოულოდნელად შუა გზაზე მშვი-
დად მდგარი წაბლისფერი ხბო გა-
მოჩნდა. ალექსიმ აქსელერატორს
დაარტყა ფეხი გამწარებით. მანქანა
ისევ აღრიალდა. ბოჩოლა ყურსაც
არ იბერტყავდა.

— გადადი, შე ოხერო, გადადი!
შენი... — აყვირდა ფერდაკარგული
ალექსი.

„დავეტაკები, დავეტაკები ამ სა-
ცოდავს!“

საჭე დაატრიალა და ბოგირზე შე-
ვარდა. ბოჩოლას ცხვირწინ ჩაუქ-
როლა მანქანამ და პიტალო კედლი-
საკენ გაქნდა.

— რა დროს თავურია! — დაქა-
ჩა საჭე უკვე თვალდაბუქულმა.

ლითონის მსხვრევის გამაყრუებე-
ლი ხმა გაისმა და მანქანა ერთი წა-
მით შედგა. ალექსი ინერციის ძა-
ლამ კინალამ ფანჯარაში ისროლა.
„კამაზი“ ისევ წინ გავარდა რაღაც
უცნაურად ყალუზე შემდგარი. ალექ-
სიმ თვალეები დაჭყიტა, უცებ ვერ
მიხვდა, რა მოხდა.

„უკანა ორივე ხიდი მოწყვიტა“ —
გაუელვა ავტომატურად. ჭერ ვერ
გაეგო, რომ გადარჩა.

მანქანა კოჭლი კალიახავით მიხტუ-
ნაობდა, მიფორთხავდა და ფხაკუნ-
ხრივინით თანდათან ანელებდა
სვლას. ბოლოს ერთი ამოიხროტინა
და შედგა.

მტვრის ბულმა კაბინას გადაასწრო
და მინას ჭუჭყიან ფარდად აეფარა.
ალექსი უაზროდ ჩაშტერებოდა
ცას, ყურები საშინლად უწიოდა.

სადღაც შორს, დაბლა, უფსკრულ-
ში თერგი ღრიალებდა.

აზრზე ბრახუნმა მოიყვანა. კარი
გაღო და მანქანიდან გაჭირვებით
ჩამოვიდა. მუხლები აუკანკალდა და
იქვე, ქვაზე ჩამოჯდა, თვალეებიდან
ნისლი თანდათან გადაეწმინდა, თავს
წამომდგარ ჩრდილს ახედა, ავტო-
ინსპექტორის ფორმა იცნო და უაზ-
როდ გაიღიმა.

ავტონისპექტორმა რაღაცის თქმა
დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა და
ისიც დაქდა.

კარგა ხანს ხმა არცერთს არ ამო-
უღია. ინსპექტორმა ალექსის გაფით-
რებულ სახეს შეავლო თვალი, ჭიბე-
ები მოიქეცა და სიგარეტის კოლო-
ფი მიაწოდა.

— ყოჩაღ... როგორ მოიფიქრე?...
როგორ მ-მომხებრე?

— რა? — შექანოყურად იკითხა
ალექსიმ.

— ბ-ბოგირისათვის უკანა ბორ-
ბლის გ-გამოდება, ასეთი ს-სიჩქა-
რით... წამის მ-მეთედში უნდა შე-შე-
ხვიდე და გ-გამოსვლაც მოასწრო...
მ-მე ვერ გ-გავაკეთებდი! — ლაპარაკში
ხელებს იშველიებდა ინსპექტორი.

ალექსიმ აკანკალებული ხელით
ძლივს ამოიღო სიგარეტი, მოუკიდა,
ღრმა ნაფაზი დაარტყა და ნაძალადე-
ვად გაიღიმა.

— რეაქცია, ძმაო, რეაქცია უნდა
გქონდეს.

მოთვინიერებული მხეცივით ჩამ-
ჭადარ მანქანას ცახედა.

— გააბთი... შენ რომ არა, დავი-
ჭებდები, რომ აღარ ვვარგვიარ, —
ჩაიჩურჩულა.



პოლიტ. გავიხსენოთ!

ჟურნალისტის უბის წიგნაკმა უამრავი ჩანაწერი შემოინახა. ვფიქრობ, ზოგიერთი მათგანი ჰაინტერესო იქნება ჟურნალ „დროის“ მკითხველებისათვის.
ამჟამად გთავაზობთ რამდენიმე ჩანაწერს, რომლებიც ფეხბურთს შეეხება.

მსაჯის გამოცემა

1935 წელს ამიერკავკასიის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი ტურნეს ატარებდა სკანდინავიის ქვეყნებში.

ნაკრებში თბილისელთაგან შედიოდნენ: ა. დოროხოვი, შ. შავგულიძე, გ. ჭუმბურიძე, მ. ანიკინი, ი. პანინი, მ. ბერძენიშვილი, მ. ბოლოტინი; ამიერკავკასიის ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდში ბაქოდან თამაშობდნენ: ვ. პაკევიჩი, პ. რეიხი, ა. ამირეჯიბი, ს. პეტროსიანი, ა. მარქაროვი და ვ. მაკაგოროვი.

ოსლოში მატჩის დროს მასპინძელთა კარში თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმა დაინიშნა. პენალტის ოსტატმა, მიხეილ ბერძენიშვილმა ბურთი დანიშნულ ადგილზე დადო, კარს გახედა და უკან დაიხია.

გაისმა მსაჯის სასტვენის ხმა. ბერძენიშვილი გამოქანდა და დაარტყა. მეკარე თავგანწირვით გადახტა მარჯვნივ, ბურთი კარის მარცხენა კუთხეში შეგორდა.

მსაჯი კარგა ხანი ვაგონებულ იდგა. ვერ გაეგო, საბჭოთა ფეხბურთელმა როგორი აკრძალული ილეთით მოახერხა გამოცდილი მეკარის ასე ოსტატურად გაყურება.

ბოლოს ხელი ჩაიქნია და ხელმეორედ მოითხოვა პენალტის დარტყმა.

— რატომ? რისთვის? — გაიძახოდნენ ჩვენი აღშფოთებული ბიჭები.

ბერძენიშვილს კრინტიც არ გაუღია. დინჯად დადო ბურთი. მოწინააღმდეგის კარს გახედა და უკან დაიხია.

გაისმა მსაჯის სასტვენის ხმა. დარტყმა. მეკარე თავგანწირვით გადახტა მარცხნივ, ბურთი კარის მარჯვენა კუთხეში შეგორდა.

ვიდრე მსაჯი გონს მოეგებოდა, ბერძენიშვილი ბურთს ეცა, თერთმეტმეტრიანი საჯარიმოს მინიშნულ ადგილზე დადო და მშვიდად იკითხა:

— კიდევ დავარტყა?
პირველმა, რომელმაც ტაში დასცხო, მსაჯი გახლდათ.

ფეხზე წამომდგარმა მაყურებელმა ოსტატურად დარტყმული პენალტებისათვის ოვაცია გაუმართა ქართველ ფეხბურთელს.

ორ ფრონტზე

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში 1941 წელს დიდმა სამამულო ომმა შეწყვიტა.

პირველობის გათამაშება 1945 წელს განახლდა. ომისწინა რამდენიმე მატჩი წარუშლულ მოგონებად დარჩა ფეხბურთის გულშემატკივრებში. ერთ-ერთი მათგანია ომის დაწყებამდე სამი კვირით ადრე — 1941 წლის 1 ივნისს ლენინგრადში გამართული შეხვედრა ადგილობრივ „სპარტაკსა“ და თბილისის „დინამოს“ შორის.

აი, რას მომიყვია ამ შეხვედრის შესახებ აწ გარდაცვლილი ცნობილი ქართველი ფეხბურთელი შოთა შავგულიძე:

— მატჩი ჩვენი უპირატესობით მიმდინარეობდა.

და. პირველ ტაიმში განსაკუთრებით აქტიურად თამაშობდა ვიქტორ პანიუკოვი. პირველი ბურთი სწორედ მან გაიტანა. გავიდა რამდენიმე წუთი და პანიუკოვმა მეორედ შეარხია მოწინააღმდეგის კარის ბაღე.

მეორე ტაიმში მასპინძლები გააქტიურდნენ. ორივე ფლანგიდან შემოგვიტყეს. ლენინგრადის „სპარტაკს“ თავდამსხმელმა სმაგინმა კუთხურიდან ჩამოწოდებული ბურთით მიიღო, კარგად დაამუშავა და ერთი საპასუხო გოლი გაიტანა.

ზუსტად წუთნახევრის შემდეგ ბ. პაიჭაძე ჩვეული ოსტატობით გასხლტა დამცველთა შორის და ბურთი მოწინააღმდეგის ბაღეში მოათავსა.

თამაში უფრო დაიძაბა. ლენინგრადელები იხტიბარს არ იტეხდნენ და იერიში იერიშზე მოქონდნენ.

ერთ-ერთი იერიშის დროს, როცა ჩვენს კართან სახიფათო მდგომარეობა შეიქმნა, თბილისის „დინამოს“ მეკარემ, ტყეზუჩავამ, თამაშის წესებში დაარღვია და მსაჯმა მინდვრიდან გააძევა.

მოთამაშის შეცვლა აღარ შეიძლებოდა. სხვა გზა არ იყო; პანიუკოვმა ტყეზუჩავას მისური ჩაიცივა და კარში მეკარედ ჩაღდა.

წაგება თითქმის გარდაუვალი იყო. ფრთაშესხმულმა ლენინგრადელებმა უფრო უმატეს ტემპს და ჩვენს კარში წამდაუწყებლად ურტყამდნენ ბურთს.

მეკარე პანიუკოვმა უმალღესი კლასი უჩვენა. მან რამდენიმე ძლიერი ბურთი მოიგერია.

თამაშის დამთავრებას ბევრი აღარ აკლდა, როცა მოწინააღმდეგის დარტყმული ბურთი ჩვენს მცველს, ფროლოვს, ფეხზე მოხვდა, ასხლტა და რეკოშტით კარის კუთხისაკენ გაქანდა.

პანიუკოვმა ლამის იყო, სასწაული მოახდინა, ისკუპა და ამ ბურთის დაჭერაც შეძლო.

გავიდა რამდენიმე წუთი. ჩვენს კართან პენალტი დაინიშნა.

პანიუკოვი ისევ გადახტა. გადახტა და თერთმეტმეტრიდან ძლიერად დარტყმული ბურთი ისევ ხელთ იგდო.

ამით როდი დამთავრდა ყველაფერი. თბილისის „დინამოს“ კარში მალე მეორეჯერ დაინიშნა თერთმეტმეტრიანი საჯარიმო.

დარტყმა. პანიუკოვმა ზუსტად ისკუპა. ამაოდ... ბურთი კარს ასცადა.

უაღრესად მძიმე თამაში დამთავრდა თბილისის „დინამოს“ გამარჯვებით — 4:1.

ამ მოგებაში, ცხადია, უდიდესი და უპირველესი წვლილი ვიქტორ პანიუკოვს მიუძღოდა.

ნამო, ვითაგაშოთ!

ომის შემდგომ წლებში, ცდკ-ის ფეხბურთელთა გუნდში თანდათან გამოიკვეთა თავდამსხმელთა ხუთეული: გრინინი, ნიკოლაევი, ფედოტოვი, დიომინი, ბობროვი, რომლებმაც საყოველთაო პოპულარობა მოიხვეჭეს.

არმიელებმა დიდი ანგარიშით მოუგეს მოსკოვის „სპარტაკს“, მინსკის „დინამოს“, ექვსი ბურთი გაუტანეს სტალინგრადის „ტრაქტორს“, შვიდ-შვიდი ბურთი — კიევის „დინამოს“ და მოსკოვის „ლოკომოტივს“...

არმიელები ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერები გახდნენ.

პირველი წრის დასასრულს, ცდკ-ს გუნდი ჩვენს დედაქალაქს ეწვია თბილისის „დინამოსთან“ მორიგი კალენდარული მატჩის ჩასატარებლად.

ნახევარმცველი მიხო ჭელიძე, რომელიც მარ-

ცენა ფრთაზე თამაშობდა, სწრაფი და ტექნიკური დომინანტის პერსონალური კონტროლის გასაწევად, ამჯერად მარჯვენა ფრთაზე სათამაშოდ გადაიყვანეს.

მწვრთნელის დავალება ჭელიძემ პირნათლად შეასრულა. იგი აჩრდილივით დასდევდა დომინს, აკონტროლებდა, თავბრუს ახვევდა ცრუ მოძრაობით, ერთთავად გვერდში ედგა და წამითაც არ აშორებდა თვალს.

თამაშიდან გამორთული გაცეცხლებული დომინი ამაოდ ცდილობდა, თავი დაეღწია „აბეზარი“ მოწინააღმდეგისაგან.

მაშინაც კი, როცა დომინი მინდვრიდან გავიდა, ასფალტზე ჩაიშხლა და გახსნილი თასმის შეკვრა დაიწყო, — ანაზღად ჭელიძე წამოაღდა თავზე.

დომინმა თავი ვეღარ შეიკავა:

— არც აქ მასვენებ?! ახლა მაინც მაცალე თავისუფლად ამოვისუნთქო!

პასუხი ღიწი იყო:

— თამაშის შემდეგ ისუნთქე თავისუფლად. ახლა კი წამო, ვითამაშოთ!

ჩემთან დავა არ ღირს!

მიხეილ ბერძენიშვილის ოსტატურად შესრულებულ თერთმეტმეტრიან დარტყმას კარგად იცნობდნენ ფეხბურთის მოყვარულებიცა და ფეხბურთელებიც.

წვრთნის დროს ბერძენიშვილი კარში ხშირად აყენებდა მეკარეს და პენალტის დარტყმაში ვარჯიშობდა.

ერთ-ერთ ასეთ ვარჯიშზე, რომელიც თბილისის ცენტრალურ სტადიონზე მიმდინარეობდა, კარში „დინამოს“ მეკარე სერგო შულრა იდგა, კარის უკან კი მისი შემცველი ვალტერ სანაია.

შულრა იშვითად ახერხებდა ბურთის მოგერიებას. გულმოდგინე მოწინააღმდეგის მიუხედავად, გოლი ზედიზედ გადიოდა კარში.

— ბევრ ბურთს უშვებ! — მოულოდნელად შემოესმა შულრას კარის უკან მდგარი სანაიას შეძახილი.

ეს შეძახილი მიხეილ ბერძენიშვილმაც გაიგონა.

— ათი დარტყმიდან, როგორ ფიქრობ, რამდენ პენალტს აიღებ?

სანაია ჩაფიქრდა და რიხით უპასუხა:

— სულ ცოტა, სამს!

— მიზრძანდი და კარში ჩაღექი.

პენალტის ოსტატმა ბერძენიშვილმა ათჯერ დაარტყა. ყოველ დარტყმაზე გამორბენს ცვლიდა: ბურთამდე ხან მარჯვნივ გამორბოდა, ხან — მარცხნივ, ხან — პირდაპირ, ხან — ზიგზაგებით, ხან — ხტუნვით...

ათივე ბურთი ბაღეში გაეხვია. სახტად დარჩენილი მეკარე გაცივდა ვერ მალავდა, როცა ხედავდა, რომ ყველა ბურთი მისგან მარჯვნივ, კარის ქვედა კუთხეში გადიოდა.

— ვფიქრობ, ჩემთან დავა არ ღირს! — ღიმილით შეეხმინა პენალტების ოსტატი დაღუემებულ მეკარეს.



ჯონ ლენონი

დროს, ასე მრავალი წლის წინათ“, რომელშიც უსახვრო წუხილი და სინანული ჩაქაჩა სოვეს.

შეძრწუნებულმა შეგობრებულმა

ყველას გასაგონად განაცხადეს: „მუსიკაში, ხელოვნებასა და მშვიდობის საქმეში გაწეული უდიდესი წვლილისთვის, ჯონი მუდამ ემახსოვრებათ!“

ამერიკელ კომუნისტთა გაზეთი „დეილი უორლდი“ წერდა: „ბითლზების“ დამსახურება ის არის, რომ მათ როკი უფრო გააზრებული გახადეს. როკი უფროსი ასაკის ადამიანებმაც აღიქვეს. „ბითლზის“ აუდიტორია იზრდებოდა იმდენად, რამდენადაც იზრდებოდა მათი ექსპერიმენტები. პარალელურად იზრდებოდა მათი ფილოსოფია, მათი ემოციურობა. „ბითლზის“ სიმღერების ტექსტებმა სოციალური მნიშვნელობა შეიძინეს.“

მაინც ვინ არის დამნაშავე ასეთი ნიჭიერი მომღერლისა და კომპოზიტორის მკვლელთაში? ამ შეკითხვაზე პასუხი ამერიკის შეერთებული შტატების კაპიტალისტურ სამყაროში უნდა ვეძიოთ. ამერიკაში, როგორც ცნობილია, დანაშაულთა რიცხვი კატასტროფულად იზრდება. ამერიკის დღევანდელი სინამდვილე, შინაგანი წინააღმდეგობის დაძლევის ცდა, მმართველ წრეებში ახალ-ახალ დანაშაულს ბადებს. სწორედ ასეთმა გარემოებამ განაპირობა საერთაშორისო ტერორი, რომელსაც ხშირად მიმართავენ დასავლეთის სამყაროს „აღთქმულ ქვეყანაში“. მითი საბჭოთა კავშირის მუქარის შესახებ იქითკენ არის მიმართული, რომ გააღვივონ სამხედრო ფსიქოზი, მოსახლეობის ყურადღება ჩამოაშორონ მწვავე ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემებს, შეიქმნას ხელსაყრელი პირობები არასასურველ, საექვო პირთა მოსასპობად.

ახლა, როცა რეიგანის ადმინისტრაცია ბირთვული ომის რეალურ საფრთხეს უქმნის კაცობრიობას, კიდევ უფრო ნათლად ბრწყინდება 5 წლის წინათ მოკლული ჯონ ლენონის კოლორიტული სახე. კიდევ უფრო მკვეთრად გაისმის მისი შთამბეჭდავი სიტყვები: „მიეცით მსოფლიოს მშვიდობის შანსი!“

ალექსი ბაბიროვი

მიმდინარე წელს მას 45 წელი შეუსრულდებოდა.

ტრაგედია 1980 წლის 8 დეკემბერს მოხდა. ლენონს ტყვია ესროლეს, როცა იგი თავის სახლში შედიოდა.

მკვლელმა აღიარა, რომ დანაშაული წინასწარგანზრახვით ჩაიდინა. მას სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს. დანაშაულის ნამდვილი მიზეზი კი დღემდე მაინც უცნობია.

ჯონ უინსტონ ლენონი, რომლის სიმღერები მთელ მსოფლიოში შეიყვარეს, ბოლომდე მეოცნებე დარჩა. დღემდე პოპულარული სიმღერა „იმეჯინი“, მუსიკაში ლენონის გრძნობათა გამოვლენის და სამყაროსადმი მისი მშვიდობისმოყვარული დამოკიდებულების მწვერვალი იყო: „თქვენ შეგიძლიათ, მიწოდოთ მეოცნებე, მაგრამ როდი ვარ მარტო! მე მჯერა, ოდესმე თქვენც ჩემთან დადგებით და მთელი სამყარო ერთიანი იქნება!“

ლივერპულის ქუჩებში გაიზარდა. ჯონი მუშის ოჯახში დაიბადა და ამიტომაც ასე ახლობელი და გასაგები იყო მისთვის მშრომელი ხალხის გულსთქმა. ჯონ უინსტონ ლენონი 16 წლისა იყო, როცა დედა გარდაეცვალა. სწორედ დედას მიუძღვნა მან თავისი ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო სიმღერა „ჯულია“.

ბალეტისა და მუსიკის ცნობილმა ამერიკელმა კრიტიკოსმა რიჩარდ ბაკლმა, როცა ნახა თანამედროვე ბალეტი „მოდები და როკერები“, რომელშიც გამოყენებული იყო „ბითლზის“ მუსიკა, აღტაცებით შესძახა: „ბახის და ბეთჰოვენის შემდეგ, მუსიკის სამყაროში ყველაზე მნიშვნელოვანი და პოპულარული ბითლზია“.

სახელი და დიდება უცბად არ მოსულა. ძიებაში რამდენიმე წელი გავიდა. „ბითლზი“

მხოლოდ 1963 წლის ოქტომბერში აღიარეს. აღიარეს ერთხმად, ელვის უსწრაფესად.

პოპულარობა „ბითლზისა“, რომლის შემადგენლობაში ოთხი ახალგაზრდა მუსიკოსი შედიოდა, მსოფლიოს მოედო.

ლენონის განცხადებამ: „დღეს ჩვენ უფრო პოპულარული ვართ, ვიდრე თვით იესო ქრისტე“, რელიგიური ფანატიკოსების გაუგონარი ამხედრება გამოიწვია. ეს 1965 წელს მოხდა. რასისტულმა ორგანიზაციამ „კუ-კლუქს-კლანმა“ ჯვაროსნული ლაშქრობა გამოაცხადა ოთხეულის წინააღმდეგ. ამერიკის ქუჩებსა და მოედნებზე გაჩნდა კოცონები, ცეცხლის ალში ინთქმებოდა ყველაფერი, რაც „ბითლზთან“ იყო დაკავშირებული. ესპანეთის, საფრანგეთის, სამხრეთ აფრიკის რადიოსადგურებმა აკრძალეს „ბითლზის“ წევრების სიმღერების გადაცემა.

ეს არც იყო გასაკვირი: ლივერპულელი ბიჭები თავიანთი სიმღერებით, ყოველდღიური საქმიანობით ხმას იმაღლებდნენ რასიზმისა და კოლონიალიზმის წინააღმდეგ აქტიურად საბრძოლველად.

ნიგერიის საშინაო ამბებში ინგლისის ჩარევისა და ვიეტნამში ამერიკის აგრესიისათვის მხარდაჭერის საპროტესტოდ, ლენონმა 1969 წელს ბუკინგემის სასახლეს უკან დაუბრუნა თავისი „ბრიტანეთის იმპერიის“ ორდენი.

იყო ასეთი ფაქტიც: აზიის ქვეყნებში გასტროლების დროს, „ბითლზს“ შესთავაზეს, სამხრეთ ვიეტნამში მყოფი ამერიკელი ჯარისკაცებისათვის კონცერტი გაემართა. ბიჭებმა სარფიანი წინადადება მაშინვე უარყვეს: „ჩვენ ფეხს არ დავდგამთ იმ მიწაზე, სადაც უღანაშაულო ადამიანთა სისხლი იღვრება“. უფრო მეტიც: „ბითლ-

ზმა“ ვიეტნამის განთავისუფლებისათვის მებრძოლ ფონდში რამდენიმე მილიონი დოლარი გადაიციხა.

1968 წელს, სტუდენტთა მასობრივი მანიფესტაციის ქარიშხლიან დღეებში, „ბითლზმა“ ჩაწერა და მასიურად გაავრცელა რეაქციული ძალებისადმი მიმართული ოპტიმისტური სიმღერის ფირფიტა „რევოლუცია“.

„როდესაც ქადაგებთ განადგურებას — იცოდეთ, ჩვენი იმედი ნუ გაქნებათ! ჩვენ ყველას გვინდა, შევცვალოთ სამყარო, მაგრამ არა მისი მოსპობის ფასად!“

1970 წელს, „ბითლზის“ დაშლის შემდეგ, ლენონი უფრო აქტიურად ჩაება ანტიიმპერიალისტურ მოძრაობაში. ამავე პერიოდში შეიქმნა მისი სიმღერა: „მიეცით მსოფლიოს მშვიდობის შანსი“, რომელიც ხალხთა მშვიდობის ჰიმნად გადაიქცა.

ინგლისიდან წასულმა ჯონ ლენონმა 1976 წელს, როგორც იქნა, მოიგო ხანგრძლივი სასამართლო პროცესი და ნიუ-იორკში ლეგალური ცხოვრების უფლება მოიპოვა. ამ დღიდან მკვლელობამდე ლენონი მუდმივად იმყოფებოდა გამოძიების ფედერალური ბიუროსა და ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს კონტროლის ქვეშ.

ჯონ უინსტონ ლენონის მუხანათურმა მკვლელობამ თავზარი დასცა მსოფლიოს. ტრაგიკულად დაღუპული მეგობრის ხსოვნის აღსანიშნავად, „ბითლზის“ წევრებმა ჯორჯ პარისონმა, პოლ მაკარტნიმ და რინგო ხტარმა შექმნეს, ჩაწერეს და გაავრცელეს სიმღერა „იმ

დათო გურგენიძე თბილისის სახე-
ლმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-გე-
ოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი
იყო... ხალისიანი ბიჭი, თვალბში
მუდამ ფიქრის, ოცნების ნაკვალევი
რომ ეტყობოდა, უყვარდათ მეგობ-
რებს, პროფესორ-მასწავლებლებს,
ყველას, ვინც მას იცნობდა.

დათოს მრავალმხრივი ნიჭი ჰქონ-
და. თავისუფლად შეეძლო რთული
მათემატიკური ამოცანების გამოყვა-
ნა, გატაცებული იყო სპორტით, წე-
რდა ლექსებსა და მოთხრობებს, ხა-
ტავდა კიდევ... მისი სიცოცხლე კი
ისე ნაადრევად დასრულდა, ვერ მო-
ასწრო დადუღებდა...

გთავაზობთ დათო გურგენიძის
მოთხრობას „მამა და შვილი“ და
ნაწყვეტს დღიურიდან.



მამა და შვილი

საქართველო
საბავშვო ჟურნალი

დათო გურგენიძე

წვიმამ გადაიღო. ცა კვლავ ნაც-
რისფერი რჩებოდა. კაცმა წიგნი გა-
დლო; ეწარებოდა ადგომა, მაგრამ
ოფლისაგან დასველებულ ლოგინშიც
მოსწინდა წოლა. ადგა, ჩაიცვა და
სამზარეულოში დაჯდა. შიოდა და
კამა ეწარებოდა. საათს შეხედა—ათი
სრულდებოდა. ფეხსაცმელი ჩაიცვა.
მხოლოდ შემდეგ დააკვირდა, ტალახ-
ში ამოვლებულს ჰგავდა.

„არა უშავს“ — გაიფიქრა — სა-
მსახურში, სანამ სხვა შემხედვებებს,
ვიტყვი, ჩვენკენ ტალახია-მეთქი.

ძლივს დაეწია ავტობუსს და მერე
გაახსენდა, რომ ტოლიკასათვის გა-
ხაგზავნი წერილი კიდევ სახლში და-
რჩა. მოაგონდა, ლენინის პრესბექ-
ტი, სვეტებთან დარბაზი...

კბეებზე სირბილით ავიდა და
ოთახში შევიდა. ქალები მშვიდად
ქსოვდნენ.

— უფროსი არ მოსულა?
— ნწ! — თავი გაიქინა ახალგაზრ-
და გოგომ.

— ე, ლიზიკო, ნახე, რას დავემს-
გავსე, ჩვენკენ იცი, როგორი ტალა-
ხია?!

— ხო, გუშინ ქვეყანა იქცოდა.
ექვსი საათი ხდებოდა, კაცს არ
უნდოდა შინ წახვლა, აქ წყნარად,
შეუწუხებლად იჯდა და ფიქრობდა.
ახსენდებოდა მოსკოვი.

— ლიზიკო, მე და ვიტია, იცნობ
ვიტიას? კარგი ბიჭი იყო, სანამ გა-
ლოთდებოდა, შევიდოდით ხოლმე
აბანოში, პარნიოში, ჩავაბარებდით
სამოსს სამრეცხაოში და ვიბანავებ-
დით, მოვიშორებდით ამ ცხოვრების
ჭუჭუქს და ტანსაცმლის მოლოდინში
ცივ ღუდს გეახლებოდით. ემ! ოცი
წელია, იმ აბანოში აღარ ვყოფილ-
ვარ. აბა! წვევდი ახლა მე.

კაცი მხრებში მოხრილი, თავდახ-
რილი მიდიოდა სველ ქუჩაში. პური
იყიდა. მოსინჯა ხურდა ფულით დამ-
ძიმებული ჭიბე და სიგარეტიც იყი-
და. ნელა, მშვიდად გაემართა სალი-
საკენ.

შინ არავინ იყო. ივანშმა ცივად,
შემდეგ პიანინოს მიუჭდა. არავინ,
არავინ მთელ ქვეყანაზე, გარდა ტა-
ნიასი არ იცოდა, რომ კაცი უკ-
რავდა...

კაცი უკრავდა. უკრავდა ბახს და
ახსენდებოდა ტანიას მუდრო ბინა.
სავარძელში ჩაძირული ტანია თვალ-
დახუებული რომ უხმენდა „ავემარია-
ს“.

კაცმა შეწყვიტა დაკვრა. ბაღში გა-
ვიდა და დინჯად დაიწყო ბარვა.

ბიჭი შემოვიდა ეზოში.
— სად იყავი?
— ვმეცადინებოდი.

ბიჭი კარებისკენ წავიდა და შემო-
ბრუნდა.

— მამა, ფული მომე, რა?
— რა?
— ფეხსაცმელი მინდა ვიყიდო.

— კარგი, ვისესხებ სადმე.
— დედა მოვიდა?
— არა.

— მამა, საოცარია, ყველა ქალაქი
სხვადასხვა ფერად მაქვს წარმოდგე-
ნილი; თბილისი მწვანედ, ქუთაისი
ყვითლად, ერევანი წითლად, ლონ-
დონი და ლენინგრადი ნაცრისფერად;
მოსკოვი რა ფერია?

— მოსკოვი? მოსკოვი... მრავალ-
ფეროვანი.

* * *

ბიჭი საპირფარეოში შევიდა და
კარგახანს არ გამოხსულა იქიდან. კა-
ცმა იცოდა, შვილი სიგარეტს ეწეო-
და. მაგრამ ისიც გაახსენდა, თვითონ
ნაც რომ ჩუმად ეწეოდა, სანამ მოს-
კოვში წავიდოდა.

ტელევიზორი ჩართო. ფილმი გა-
დიოდა.

— რა არის კაცო, ასე უნაქმოდ
რომ ზინხარ? — მოადგა ცოლი.

— ტელევიზორს ვუყურებ.
— ან ლოგინი ვერ გააწვორებ, ან
საჭმელი ვერ გაცხელებ?

კაცს გაახსენდა თავისი მოხუცი,
თბილი დედა, სახლში ხელს რომ არ
ანძრევინებდა არც მას და არც მამა-
მისს და გაეღიმა. ადგა, ლოგინის
დალაგება დაიწყო. ქალი ახლა ბიჭს
მიადგა, მაგრამ ბიჭი ქუჩაში მხრებ-
მოხრილი არ დადიოდა და ისეთი
უღრიალა, ქალი დააწყენა.

შუალამე ახლოვდებოდა. კაცი იწ-
ვა და კვლავ მოსკოვი ედგა თვალ-
წინ. აღრე არ მოსდიოდა ასე. უკვი-
რდა. ბიჭი და ქალი მეორე ოთახში
ისხდნენ და ქალი უყვებოდა ბიჭს,
თუ როგორ მოაბეჭრა მამამისმა თა-
ვი, როგორ არ ასვენებდა დღისით

და ღამით, როგორ გახდა იძულებუ-
ლი, მას გაჰყოლოდა და როგორ ინა-
ნა. მერე ჩამოვალა ავეჯი, ტელე-
ვიზორი, სახლი, ყველაფერი მას ეკუ-
თვნოდა. ბიჭისათვის კი სულერთი
იყო, ვისი ნაყიდი იყო ეს ყველაფე-
რი, დედისა თუ სხვისა.

კვლავ გათენდა. წამოდგა კაცი,
ჩაიცვა და სასოწარკვეთილი ჩააშტე-
რდა უფერო სივრცეს. მან დიდი ხა-
ნა იცოდა, რომ არავის არ სჭირდე-
ბოდა. კაუჭზე თოკი მოაბა, სკამზე
შედეგა და თოკი ყელზე შემოიჭირა.

უცებ გააურთოლა რაღაც უცნობი
შეშით და სასწრაფოდ მოიხსნა თო-
კი. ჩაიცვა ფეხსაცმელები, ერთი გა-
იფიქრა, „ჩვენკენ ტალახიაო“ და
კვლავ სამსახურისკენ გაიქცა. გახაგ-
ზავნი წერილი, რა თქმა უნდა, გადა-
ავიწყდა. იგი იმაზე ფიქრობდა, რომ
მშობრები თავს ვერ იკლავენ.

სამსახურში ისევ იმ ძველ საქანცე-
ლარო მაგიდას მიუჭდა.

ის დღეც ისეთივე იყო, როგორც
კაცის ბევრი სხვა დღე.

ღამით დაეხიზმრა დიდი თეატრი,
მოსკოვის უნივერსიტეტი... გულთან
მწვავე ტკივილი იგრძნო. გაღვიძება
ვერ მოასწრო...

ბიჭი იწვა და მამაზე ფიქრობდა,
მამაზე, რომელსაც ყოველთვის შე-
ეძლო საპირო რჩევა მიეცა, თვითონ
კი წყნარად, უიღბლოდ ცხოვრობდა.

ბიჭი უცებ შეერთა და მამის ოთა-
ხისაკენ გაემართა.

ჩუმად დაუძახა:
— მამა! — მამა დუმდა.

ბიჭმა შეახო მამის ხელს ხელი და
გაცია. მერე იატაკზე დაჯდა და სი-
ბნელეს ჩააშტერდა. მას მამა აღარ
ჰქავდა.

სტუდენტის დღიურიდან
ქარი ქროდა; ძლიერი ქარი. ქარი
ხვეტდა ფოთლებს და სახლებზე მა-
ლდა აპქონდა. უცებ ძალიან მომინ-
და ჰადრად გადაქცევა, რათა შემ-
დეგ ქარს ემტვრია ჩემი ტოტები და
ის თითო-ორი ფოთლი, შემოდ-
გომის შემდეგ რომ დარჩა, შემოეფ-
ლითა და მალა-მალა აეტანა. მო-
მინდა, რომ მეც ყოველ წამთარს
მოვმკვდარიყავ და გაზაფხულზე
კვლავ აღვდგენილიყავ. გავცოცხლდე-
ბოდი და ხალხს გავახარებდი — გა-
ზაფხული მოვიდაო — იტყოდნენ.

შემდეგ გაზაფხულის თბილი წვიმა
გამბანდა და ჩემი ფოთლების ქვეშ
ვიღაცა თავს შეფარებდა იმ წვიმას,
რომელსაც მე სახეს მიფუშვებდი და

დავტკებოდი მისი სველი სითბოთი.

შემდეგ, როცა წვიმა გადაიღებდა,
შარში ისეთი სინოტივე და სისუფ-
თავე იქნებოდა, რომ ერთს ამოვი-
სუნთქავდი და ფილტვები ნეკნებს
მიაწყებოდნენ, შემდეგ ადგილი
რომ აღარ ეყოფოდათ, ნეკნებს გას-
წი-გამოსწევდნენ, თუმცა ხეს ხომ
ფილტვები არა აქვს.

ოთახში შემოვიდი. ცხრა საათი
იყო. საოცარი სიცოცხლე სუფევე-
და ოთახში. დაკვრა მომინდა, მაგრამ
ვერ დავუკარი. ბაბუაჩემის ძმა გარ-
დაიცვალა.

მე ახლა თვრამეტი წლისა ვარ.
როგორც სხვები მეუბნებიან: განათ-
ლებული ვარ, ღამაში, განსაკუთრე-
ბით თვალები მაქვს ღამაში. თუმცა
კბილი მაქვს ჩამტვრეული, დანარ-
ჩენს ალბათ მიმაღავენ.

იმასაც მეუბნებიან, რომ ახარებთ
ჩემი შეხედვა.

სწორად თმარჩილი და ვერმომოშვე-
ბული დავდივარ. თანაც წვერი უღალი
ფერისა მაქვს, თმა კი მუქი...

მე ძალიან ცოტას ვუყვარვარ და
კიდევ ცოტა მცემს პატვის, სამაგი-
ეროდ, ბევრს არ ვუყვარვარ და
კიდევ უფრო ბევრისთვის სულერთი
ვარ.

ვსწავლობ უნივერსიტეტში. აკა-
დემიური მოსწრებით ვერავის განვა-
ცვიფრებ, თუმცა ძალიან ნიჭიერი
ვარ.

ბავშვობაში დავდიოდი ფეხბურთ-
ზე, ჰადრაკზე, კალათბურთზე, ხელ-
ბურთზე, კარატოზე, კილაობაზე და
აკადემიურ ნიხონობაზე. ჩემი იმე-
დით იყო სკოლა სირბილით და ტყვი-
ით სროლაში. ზემოთ ჩამოთვლილ
სპორტის ყველა სახეობაში პერსპე-
ქტიულად ვითვლებოდი, მაგრამ შე-
მდეგში გამოუყენებელ რეზერვად
ვიქცევი.

ცეკვაზე დავდიოდი, თავი დავანე-
ბე, მუსიკაზე დავდიოდი, დავანებე,
ხატვასაც თავი დავანებე. პიონერთა
სახალღოში ვიყავი: ფიზიკის, მათემა-
ტიკის, გეოგრაფიის, ინგლისურის,
ქიმიის და მხატვრული კითხვის წრე-
ების მუდმივი წევრი.

რატომ დავანებე თავი ყველა-
ფერს? — იმიტომ, რომ ყველაფერი
მიყვარდა და ყველაფრით მინდოდა
ყოფილიყავი დაკავებული.

კალათბურთის დროს ხატვა მენატ-
რებოდა, ხატვის დროს მუსიკა...

მოკლედ, ძალზე დაბნეული ვარ...

13 დეკემბერი, 1983.

„ივერიას“ ქართულ ლოთოზას

ილია ზავთავაძის „ივერია“
ოკაბატრულად ეგზავრებოდა იმ-
დროინდელი ყოფის ყველა აქ-
ტუალურ საპირბოროტო პრობლე-
მას. მას არც სპირტიანი სასმელ-
ების წინააღმდეგ ბრძოლა გამო-
ჩინია. „ივერიას“ ფურცლებზე
ხშირად ძველად მოხატულია
ორგანიზმი ალკოჰოლის მავნე
გავლენის შესახებ, მოთხრობილი

იყო სპირტიანი სასმელის ზარ-
ბი მიღებით გამოწვეული საზა-
ლალო შემთხვევები...

ჩვენა კორპორაციამ ალკო-
სანდო სიგუა „ივერიას“ ნომრ-
ბიდან ამოკრიბა მასალა, რომ-
ლებიც ალკოჰოლის მავნე გავ-
ლენას, მის წინააღმდეგ ბრძოლ-
ას და პროფილაქტიკას შეეხება.

ბაზეტი „ივერია“, № 223,
1898 წ.

ამას წინათ კრება ჰქონია ხა-
ლხის ჯანმრთელობის დამცვე-
ლი საზოგადოების იმ კომისი-
ას, რომელსაც მინდობილი
აქვს ლოთობისა და ალკოჰო-
ლის ბოროტად ხმარების წინა-
აღმდეგი საშუალებანი იღონოს.
კომისიამ რამდენიმე მოხსენება
მოისმინა, და აი, რა დაადგი-
ნაო, სწერს გაზეთი «Новости».

ალკოჰოლი მავნებელი ნივ-
თიერებაა, მომწამველი ადა-
მიანის სხეულისა, განსაკუთრე-
ბით ნერვებისა. ალკოჰოლი
აღუწებს, აჩლუნგებს ადამიანს
ცოტოდენი გაცხოველების და
ამოძრავების შემდეგ. ხოლო
მეცნიერება სცდომობს გამოი-
ყენოს ისეთი ნივთიერებანი,
ადამიანის გაცხოველება შეეძ-
ლოს და მისი მომღუწებელი
თვისება კი არა ჰქონდეს; ასე-
თია, მაგალითებ, ჩაი, ყავა...

მხედ უნდა ვეცადოთ, რომ
რაც კი შეიძლება, შევზღუდოთ
და შევამციროთ ხმარება არყი-
სა ხალხში.

რაც უნდა კარგად და საუკე-
თესოდ იყოს არაყი დაწმენდი-
ლი, იგი ჯანსაღის მარგებელ
სასმელად ვერ ჩაითვლება, თუ-
ნდა ადამიანი ძალიან ზომიერა-
დაც ჰხმარობდეს. ისკი ძნელად
დასაჯერებელია და საეჭვოა,
რომ ხალხმა ზომიერად იხმა-
როს იგი, რადგან ალკოჰოლს,
როგორც ყველა სხვა დამატო-
ბელს ნივთიერებას, თვისებად
აქვს შეიჩვიოს, მიიზიდოს ადა-
მიანი და თანდათან უფრო დი-
დად შეაყვაროს თავი. ეს მიჩ-
ვევა და სიყვარული ხშირად
ძნელი დასაძლევია, მით უმე-
ტეს, რომ რაც უფრო მეტს
ალკოჰოლსა ჰხმარობს ადამი-
ანი, მით უფრო სუსტდება და
ლაჩრდება.

შეუძლებელია, რომ ღვინო,
ლუდი და სხვა ამგვარი სასმე-
ლები, რომელშიაც კი სპირტი
ურევია, მარგებელ, უვნებელ
სასმელად იქმნას აღიარებული;
ხოლო რადგან ამ სასმელებში

ალკოჰოლი ნაკლებად ურევია,
თუ კარგის ღირსებისა და შე-
ურეველი, უპირატესობა ამით
უნდა მიეცეთ არაყთან შედარე-
ბით. მეორეს მხრივ სახეში მი-
საღებია ის გარემოებაც, რომ
თუ ეს სასმელები უზომოდ იხ-
მარა ადამიანმა, ასეთი ხმარება
არაყზე ნაკლებ ზიანს არ მის-
ცემს.

რათა შევამციროთ ის ვნება,
რომელიც სპირტანრევი სასმე-
ლების ხმარებას მოაქვს, უნდა
ხელი შევუწყოთ სუსტი სასმე-
ლების ხმარებას; სასტიკი მე-
თვალყურეობა უნდა იყოს და-
წესებული, რათა ნარევი და
შეზავებული ღვინის გაყიდვა
არაგის შეეძლოს; სასურველია,
რომ მავარ სასმელებს დიდი
სააქციზო გარდასახადი დაედოს
და დაწესებულ იქმნას, რომ
ღვინო 12° მავარი არ იყოს,
ხოლო ლუდი 3°-ზედ მავარი,
თუ უნდათ, რომ გარდასახადი
არა დაედოს-რათა.

ბაზეტი „ივერია“, № 256,
1898 წ.

სასამართლო მატანე

გუშინ, 30 ნოემბერს, ტვი-
ლისის ოლქის სასამართლომ
გაარჩია საქმე აზნაურის გიორ-
გი კობიაშვილისა.

საქმის გარემოება შემდეგია:
24 აგვისტოს, 1897 წელს, დი-
ლის 4-5 საათზედ, ეგრედ წო-
დებულ „ნოვი სვეტში“ მივიდა
აზნაური გიორგი კობიაშვილი,
რომელიც ამ დროს ცოტა შე-
ზარბოებული იყო. ავიდა ამ
სახლის მეორე სართულში და
იქ მოსვენებას არ აძლევდა
„ნოვი სვეტში“ მყოფ ქალებს.
ბოლოს რევოლვერით ხელში
დაემუქრა ერთს ქალს, გვარად
პანაიოტისას. ქალები მიიმალ-
ნენ. ამ დროს თავისს ოთახისა-
კენ მიდიოდა ერთი ქალი მა-
რიამ ოხრომენკო. კობიაშვილ-
მა დაინახა მიმავალი ქალი, და-
ემუქვა კიბით მეორე სართული-
დან, გამოუღვა ქალს და როდე-
საც ქალი თავისს ოთახში შევი-
და და კარი ჩაიკეტა, დაუწყო

კარებს რაკუნი და თან ემუქ-
რებოდა, თუ კარებს არ გამი-
ლებ, რევოლვერს გესვრიო. კო-
ბიაშვილმა, გაბრაზებულმა იმის
გამო, რომ ოხრომენკო კარებს
არ აღებდა, რევოლვერი დაუ-
მიზნა და ესროლა, მაგრამ
ტყვიას ქალს ასცდა და მოხვდა
კედელს.

ოლქის სასამართლომ კობია-
შვილი დამნაშავედ სცნა და მი-
უსაჯა ყოველივე უფლებისა და
პირადი ღირსების ახდა და ტო-
ბოლსკის გუბერნიაში საცხოვ-
რებლად გავზავნა.

ბაზეტი „ივერია“, № 111,
1888 წ.

ლოთობა და იმისი მავნებელი ზედ-მოქმედება

ლოთობაზე დიდი ლექცია
წაიკითხა მოსკოვში პროფესო-
რმა იანკულმა. მეტი არ იქნე-
ბა, მოკლედ გავაცნოთ მკითხ-
ველებს შენაარსი ამ საყურად-
ღებო ლექციისა.

რა არის ლოთობა? ლექტო-
რის აზრით, ლოთობა ისეთი
ხმარებაა მათრობელის სასმე-
ლებისა, როცა ადამიანს აღარ
შეუძლიან ჩვეულებრივ კვალ-
ში იდგეს და ადამიანურად მო-
ქმედდეს. ლოთობას დიდი
ხანია ყურადღება მიაქციეს კა-
ნონმდებლებმა, ზნეობის მოძ-
ღვრებმა და მკურნალებმა.
მკურნალი ლოთობას ასე უც-
ქერის, როგორც ავადმყოფო-
ბას, რომელიც ცუდად მოქმე-
დობს ადამიანის ჯანზე. ლოთო-
ბა ისეთი მდგომარეობაა, როცა
ადამიანის ნება და სურვილი
სუსტდება და აღარა მოქმე-
დობს. ზნეობის მოძღვრისათ-
ვის ლოთობა სენია, რომელიც
ჰრყენის ადამიანის ზნეობასა
და დედა ყოველის ბოროტე-
ბისა; სოციოლოგისა და ეკო-
ნომისტისათვის ლოთობა მავ-
ნებელი ჩვეულებაა ერისა, ისე-
თი მავნებელი ჩვეულება, რო-
მელსაც მოსდევს ფლანგვა სიმ-
დიდრისა და რომელიც ძირს
უფხვრის ერის წარმოებასა და
ნაყოფიერს შრომას.

ლოთობა ისეთივე ძველი ამ-
ბავია, როგორც თვით კაცობრი-
ობის გაჩენა ძველი ამბავი.
კაცი დაბადებითვე ეტანება
მათრობელ სასმელს. არ არის
დელამიწის ზურგზე ისეთი ერი,
რომ რომელისაზე მათრობელი
სასმელის ხმარება არ იცოდეს.
ას მილიონამდე კაცი ჰლეკავს
რასმე მათრობელს, ორასი მი-
ლიონი სწევს და ხმარობს ჰა-
შიშს, ოთხას მილიონამდე კაცი
კიდევ ხმარობს თრიაქს.

კანონმდებლობა და სარწმუ-
ნობა, რაც შეეძლო, ებრძოდა
ამ სენს, მაგრამ — კი ვერ მოს-
პობდა ხოლმე.

ფრანგებს თუშტა მრავლად
მოსდით ღვინო, ლოთობა მინც
არ არის და მხოლოდ ბოლოს
დროს იჩინა თავი, მას შემდეგ
რაკი ვენახებზე ფლანგვა
გააფუჭა და ღვინის გაძვირების
გამო, არაყი შემოვიდა ხმარე-
ბაში. გერმანელებმაც ძალიან
წინ წადგეს ნაბიჯი და დღად
შეამცირეს თავიანთს ქვეყანაში
ლოთობა; ინგლისში ჯერ კიდევ
ძრეულ არის ლოთობა გავრცე-
ლებული, მაგრამ რუსეთში
უფრო კიდევ მეტად ძრეულ
იჩინა თავი ამ სენმა. ლოთობა
რუსეთში იმისგან კი არ წარ-
მოსდგება, რომ ვითომ რუსეთ-
ში უფრო ბევრსა სმენ მათრო-
ბელს სასმელს; არა, სცდებიან
ისინი, ვინც ასე ჰფიქრობენ.
რუსეთში ლოთობის მიზეზი ის
არის, რომ სმენ ერთბაშად და
სმენ ბლომად, თორემ ზედი-
ზედ რომ ვიანგარიშოთ, ორთა-
შუა რიცხვით, რუსეთშიაც იმ-
დენი ისმის სასმელი კაცის თა-
ვზე, რამდენიც ევროპაში.

რუსეთში ლოთობის მიზეზი
ის-კი არ არის, რომ ბევრსა
სმენ, არამედ ისა, თუ როგორა
სმენ.

მერე დაიწყო ლაპარაკი იან-
კულმა იმ ღონისძიებათა შესა-
ხებ, რომელსაც ხმარობდნენ,
ან დღეს ხმარობენ კერძო კაც-
ნი, საზოგადოებანი და სახელ-
მწიფონი ამ მავნებლის ჩვეუ-
ლების საწინააღმდეგოდ. პრო-
ფესორმა მოუთხრო მსმენელთ,
თუ რა ვნება და ზარალი მო-
აქვს ლოთობას ადამიანის ჯა-
ნისათვის, როგორ უმოკლებს
ლოთობა ადამიანს სიცოცხლეს
და ჩაჰყავს ბოლოს საფლავში.
ლოთობა ხშირად სიღარიბის
ბრალია, მაგრამ თვით სიღარი-
ბე, მომეტებულ ნაწილად, ლო-
თობისაგან წარმოსდგებაო.

ბაზეტი „ივერია“, № 135,
1898 წ.

ქ. გორი. სასწორის მახლობ-
ლად, მდ. ფშანთან, სოფ. ტი-
ნისხიდის მცხოვრებელს, გლეხს
სასმელების დუქანი აქვს გა-
მართული, სადაც მუდამ აუ-
რებელი ხალხი დადის ღვინის
სასმელად და სალოთად. ამ
დუქნის მახლობლად მცხოვ-
რებელთ არც დღე აქვთ მოსვე-
ნება და არც ღამე, რადგან ამ
დუქნიდან მუდამ ყვირილ-
ღიალისა და სიმღერის ხმა
გამოსმის: კაცს ფანჯარაში
ვერ გამოუხედნია და აივანზე
ვერ დამდგარა პატარა ხანს,
რადგან ლანძღვა-გინების მეტს
ვერას გაიგონებს და მოზარბა-
ცე კაცზედ მეტს ვერავის დაი-
ნახავს! სწორედ საკვირველია,
ასე უყურადღებოდ მიტოვება
ამ დუქნისა. იმედია, ეხლა მა-
ინც ყურადღებას მიაქცევს ის,
ვისაც ვერ არს და ჯეროვანს
წესრიგს დაიცავს.

მშენებელი სასი ტყვი

იუმორისტული მოთხრობა

მშენებელი საათს სახელად ტიკი ერქვა. იგი პროფესორ პორაციოს-ჯონ-მორისს დიდი ხნის წინათ, ზამთრის ერთ სუხიან დღეს, ჩამოუტანია შვეიცარიიდან. იმ დროიდან და მეგობრდნენ პროფესორი და საათი.

პროფესორს არ მოსწონდა, როცა მას „პროფესორ პორაციოსს“ ეძახდნენ. ამიტომ ტიკიც „პროფესორ მორისს“ ეძახდა, უფრო მოგვიანებით კი შინაურულად „პროფესორ ჯონს“ უწოდებდა. პროფესორს ეს ძალიან სიამოვნებდა.

ტიკი თავის საყვარელ ადგილზე, ბუხრის გვერდით მაგიდაზე იდგა.

ყოველ დამით, თერთმეტის თხუთმეტ წუთზე, პროფესორი წერას დაამთავრებდა თუ არა, საათს მიმართავდა და ყურს დაუგდებდა ტიკის გულისცემას. შემდეგ მაჯის საათს გაასწორებდა, ბოლოს ოჯახის დანარჩენი საათებისთვისაც მოიცდიდა.

— „შენ ყველაზე მშენებელი ხარ, ტიკ, — უთხრა პროფესორმა ერთ დამეს, — ყოველთვის ზუსტი ხარ, არასდროს გარბიხარ წინ და არც არასდროს აგვიანებ. ჩემს მეგობრებს შორის შენ ყველაზე მეტად გენდობი, ყველაზე უტყუარი და საიმედო ხარ.“

„როგორ მიხარია თქვენგან ამის გაგონება, პროფესორ ჯონ, — უბასუხა ტიკმა, — წარმომიდგენია, როგორ იამაყებდა ბაბუაჩემი თქვენთვის რომ მოესმინა. იგი ავსტრიაში ცხოვრობს მაღალ მთაზე, უძველეს ციხე-სიმაგრეში.“

„მართალი რომ ვითხრა, ტიკ დიდად მაინცდამაინც არ მომწონს ბაბუას საათები. ისინი ისეთი აწოწილები არიან, ძნელია თვალი გაუსწორო და გაიგო, რას ფიქრობენ.“

პროფესორს ოთხი მეგობარი ჰყავდა, ოთხივე პროფესორი: სთერჯ ბოლდუენ პარკერი, ნორმან ბელიუ, რაიმონ ოფენბახი და მაქსიმელიან როსმანი. ოთხივე ისეთივე ცნობილი და ჰქვიანი გახლდათ, როგორც თავად პროფესორი ჯონი. ტი-

მიურიალ სპარკი

კის მიმართაც კეთილად იყვნენ განწყობილი.

ისინი ხუთშაბათობით მოდიოდნენ თავიანთ მეგობართან და გვიანობამდე რჩებოდნენ, ბევრ საინტერესო ამბავს ყვებოდნენ. ტიკიც გატაცებით უსმენდა მათ მონათბრობს პლანეტებზე, ვარსკვლავებზე, მთვარეზე...

ერთ ხუთშაბათ საღამოს ნორმან ბელიუმ უთხრა ტიკს:

„იცი, ტიკ, შენ ჩვენს შორის ყველაზე ჰქვიანი ხარ, რადგან შეგიძლია ზუსტად გამოიცნო დრო.“

ყველანი დაეთანხმნენ პროფესორ ბელს.

„ვერც ერთი ჩვენთაგანი ვერ იტყვის ზუსტ დროს საათის გარეშე, ტიკმა კი ყოველთვის ზუსტად იცის.“ — თქვა პროფესორმა ჯონმა და აღფრთოვანებით გადახედა საათს.

ტიკი ჩვეულებრივი ხის საათი იყო, მრგვალი თეთრი ციფერბლატით და გრძელი შავი ისრებით.

ტიკი მადლიერების გრძობით აივსო პროფესორების გულწრფელი ქათინაურების გამო. კვლავ ბაბუა გაიხსენა, როგორ იამაყებდა იგი, ეს სიტყვები რომ მოესმინა!

„მე, რა თქმა უნდა, დროს ზუსტად განვსაზღვრავ, — დიწყო მორიდებით ტიკმა, — მხოლოდ ჩემი მეგობრის, პროფესორ ჯონის დახმარებით, რომელიც ყოველ საღამოს, ზუსტად თერთმეტის თხუთმეტ წუთზე მომმართავს ხოლმე.“

„კი, მაგრამ, — საუბარში ჩაერია პროფესორი სთერჯ ბოლდუენ პარკერი, — თერთმეტის თხუთმეტ წუთია?“

შემდეგ პროფესორი მაქსიმელიან როსმანი მიუბრუნდა მეგობრებს:

„მინდა ერთი აზრი გაგიზიაროთ. რადგან ტიკი ისეთივე ჰქვიანია, როგორც თითოეული ჩვენთაგანი, რატომ არ უნდა ვუწოდოთ მას „პროფესორი ტიკი?“

ოთხივე პროფესორი დაეთა-

ნხმა ბატონ როსმანს. რაიმონ ოფენბახმა ტაშიც კი შემოპკრა.

„ბრაუო, ბრაუო, პროფესორ ტიკ!“

შემდეგ ტიკი ატიკტიკდა:

„ბატონებო, მიხარია, რომ ასე მაფასებთ, მაგრამ ერთი რამ მაფიქრებს. აი, რაშია საქმე: მე რომ პროფესორი ვაგხლები, ასე მგონია, ვეღარ ვიმეგობრებ ოჯახის სხვა საათებთან. იცით, როცა პროფესორი ჯონი დილით უნივერსიტეტში მიდის, როცა მოსამსახურეები ოთახებს დაალაგებენ, მთელ სახლში სიწყნარე ისადგურებს — მხოლოდ საათების ხმა ისმის სხვადასხვა ოთახიდან. სწორედ მაშინ ვიწყებთ საუბარს, ერთმანეთს ვუყვებით ჩვენი ცხოვრების ამბებს, წიქწიქით მოვუთხრობთ ერთმანეთს ჩვენს თავგადასავალს... სამზარეულოს საათი ძალიან მხიარულია და ყოველთვის ხმამაღლა ტიკტიკებს. ყველაზე მეტად პეპიტა მიყვარს, სადაფის ობოლი, ესპანური საათი, სათადარიგო საძინებელ ოთახში რომ დგას მარტო, მოწყენით. ბატონებო, ბაბუასაგან განაგონი ერთი ძველი ანდაზა მახსენდება „გულმა გული იცნო“. ამ სახლში ეს გამოთქმა ყველაზე ჰქვიანია. ამგვარად, ჩემო ძვირფასო პროფესორებო, უარის თქმა მომიწევს „პროფესორ ტიკის“ სახელზე, რამეთუ ჩემი მე-

გობარი საათები ყველაფერს თქვენსავით ვერ გაიგებენ და იფიქრებენ, ვითომ მე ძალიან ვაგზვიადლი, მათთან საუბარს აღარ ვკადრულობ. მე კი გამიჭირდება უმათოდ. გემუდარებით, ამას უმადურობაში ნუ ჩამომართმევთ...“

პროფესორებმა ტიკის სიტყვა მოისმინეს, ყველამ ერთხმად წამოიძახა, რომ დღეს უფრო მეტად მოიხიბლნენ და აღფრთოვანდნენ მისით, ვიდრე ოდესმე.


„ტიკ, — მიმართა პროფესორმა ჯონმა, — შენი მუდამ მჯეროდა, რომ ყველაზე მშენებელი საათი იყავი, ახლა კი უფრო დიდებული ხარ. მართალია, სხვა საათები შენსავით უტყუარნი არ არიან, მაგრამ შენ დიდი კეთილშობილება გამოიჩინე, უარი რომ თქვი პროფესორობაზე და მათი გულისათვის კვლავინდებურად ჩვეულებრივ საათად რჩები.“

ტიკმა გაიღიმა და ისრებით უშალამე აჩვენა.

სტუმრები მალე წამოიშალნენ და წავიდნენ. ტიკი ოცნებამ გაიტაცა:

„შეპიტას ხომ არ შეუძლია წარმოთქვას სიტყვა „პროფესორი“! ის მხოლოდ ჩემს სახელს ტიკტიკებს დღე და ღამე: „ტიკ-ტიკ, ტიკ-ტიკ“... ასე მესმის მე მისი მომხიბლავი ძაბილი.“

ინგლისურიდან თარგმანა ლიპა ბაჩიჩილაძე.



ბარეჰანის კირველ და მეოთხე გვერდზე: რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში (სურათი პირველი); შრომის დიდების ორდენოსანი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ომარ წითლიძე მომავალ მეფოლადებთან. ფოტო ბონდო დვალისვილისა.


გადაეცა წარმოებას 4. VI. 85. ხელმოწერილია დასაბეჭდად 19. 07. 85. უე 05284. ქაღალდი ზომა 70x103/8. იბეჭდება: გარეკანი და ჩანართი — მაღალი ბეჭდვით, ტექსტი — ოფსეტური წიხით. ფიზიკური ფურცელი 8, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 4,2 სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,09. ტირაჟი 47.700. შეკვ. 1280. ფასი 85 კაპ.

880096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, საქართველოს კ. ც. კ. გამომცემლობის სტამბა.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» («Знамя»), (на грузинском языке). 380096, Тбилиси, ул. Ленина, 14. Типография издательства ЦК КП Грузии. Адрес редакции: 380008, Тбилиси 8, по. Руставели, 42.

რედაქციის მისამართი: 380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42. ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-54-66, მთ. რედაქტორის მოადგილის — 99-82-69, პ/მგ. მდივნის — 99-01-89, განყოფილებათა გამგეების — 98-28-49, რედაქციის სამდივნოსი — 99-54-66.

რედაქციაში უამრუსული მასალა აპრობის არ უბრუნდება.



კინოსტუდია „ქართული ფილმი“ ესპანეთის ტელევიზიისა და საფრანგეთის კინოსტუდია „პანტე სინემასთან“ ერთად იღებს მრავალსერიან სატელევიზიო მხატვრულ ფილმს „დონ-კიხოტი“.

სცენარის ავტორები: მარსიალ სუარესი, სულიკო უდენტი და რევაზ ჩხეიძე.

დამდგმელი რეჟისორი — სსრ კავშირის სახალხო არტისტი რევაზ ჩხეიძე.

დამდგმელი ოპერატორი — ლომერ ახვლედიანი.

მხატვრები — გიორგი გიგაური და ზურაბ მეძმარიაშვილი.

კომპოზიტორი — გია ყანჩელი.

რეჟისორები — მანანა ანასაშვილი და ირა ბილანიშვილი.

როლებს ასრულებენ: კახი კავსაძე, მამუკა კიკალეიშვილი, ინოკენტი სმოკტუნოვსკი, რამაზ ჩხიკვაძე, ინა ჩურიკოვა, ლიკა ქავეარაძე და სხვები.

სურათებზე: ფილმის პირველი კადრები.



დაგეგმვა

0525360 76056

